



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia



IOM • OIM
International Organization for Migration (IOM)
The UN Migration Agency



საქართველოში მიგრანტების
დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო
დახმარების სისტემა

კონსულტანტის გზამკვლევი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia



საქართველოში მიგრანტების დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების სისტემა

კონსულტანტის გზამკვლევი

თბილისი 2017

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ IOM და პუბლიკაციის
შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
აბრევიატურა (შემოკლებების შინაარსი)	4
ნაწილი 1. მიგრანტების საქართველოში დაბრუნება	5
1.1. საქართველოში დაბრუნება	5
1.1.1. მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ფორმები და დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები	5
1.1.2. საქართველოში მიგრანტთა ნებაყოფლობით დაბრუნების მხარდამჭერი პროექტები	7
1.1.3. საქართველოში შემოსვლის სასაზღვრო პროცედურები	7
1.1.4. ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესაძლებლობები	10
1.2. პირადი დოკუმენტებისა და მოქალაქეობის სტატუსის აღდგენა, ქონების რეგისტრაცია	14
1.2.1. პირადი დოკუმენტების განახლება/აღდგენა	14
1.2.2. საქართველოს მოქალაქის სტატუსის აღდგენა	17
1.2.3. ქონების რეგისტრაცია	19
1.2.4. მართვის მონაწილეობა	23
1.2.5. ცნობა ნასამართლობის შესახებ	27
1.2.6. ცნობა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის შესახებ	27
1.3. საცხოვრისით უზრუნველყოფა	30
1.3.1. საცხოვრისით უზრუნველყოფის შესაძლებლობები	30
1.3.2. საცხოვრისის ფასი	32
1.3.3. იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები	33
ნაწილი 2. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები	35
2.1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები	35
2.2. ბიზნეს გარემოს სიტუაციური ანალიზი	36
2.2.1. ბიზნეს გარემოს ძირითადი მახასიათებლები	36
2.2.2. სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია	37
2.2.3. გადასახადები	41
2.2.4. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები	44
2.3. ბიზნესის დაწყება/განვითარებისა და თვითდასაქმების მხარდამჭერი პროგრამები/პროექტები	48
2.3.1. ბიზნესის დაწყება/განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები	48
2.3.2. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები	52
2.3.3. ბიზნესის დაწყება/განვითარებისა და თვითდასაქმების მხარდამჭერი სხვა პროგრამები/ პროექტები	56
2.3.4. ბიზნეს სესხები	57
2.4. დასაქმების შესაძლებლობები	64
2.4.1. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები	64
2.4.2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო დაწესებულებები და პროგრამები	65
2.4.3. დასაქმების კერძო სააგენტოები	71
2.4.4. დასაქმების მხარდამჭერი სხვა პროგრამები/პროექტები	72
2.5. განათლება	75
2.5.1. საქართველოს განათლების სისტემა	75
2.5.2. უცხოეთში მიღებული განათლების ან კვალიფიკაციის აღიარება	80
2.5.3. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება	82
2.5.4. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია	83
2.5.5. ქართული ენის სწავლების პროგრამები და კურსები	84

2.6. ჯანდაცვა	86
2.6.1. საქართველოს ჯანდაცვის სისტემა	86
2.6.2. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა	86
2.6.3. C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამა	89
2.6.4. ჯანდაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამები	90
2.6.5. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები	96
2.7. სოციალური დაცვის სისტემა	97
2.7.1. საპენსიო სისტემა	97
2.7.2. სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია	99
2.7.3. საყოფაცხოვრებო სუბსიდია	100
2.7.4. სოციალური დახმარებები	101
2.7.5. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურება	104
2.7.6. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა	105
2.7.7. სხვა სოციალური პროგრამები	106
2.7.8. სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამები	107
2.8. ადამიანის უფლებების დაცვა	110
2.8.1. საქართველოს მოქალაქის ძირითადი უფლებები და მოვალეობები	110
2.8.2. სასამართლო სისტემა	112
2.8.3. სახალხო დამცველი	113
2.8.4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	114
2.8.5. სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციები	119
2.8.6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა	120
2.9. სამხედრო სამსახური	121
2.9.1. სავალდებულო სამხედრო სამსახური	121
2.9.2. სამხედრო საკონტრაქტო სამსახური	123
2.9.3. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური	123
2.9.4. სამხედრო სარეზერვო სამსახური	125
ნაწილი 3. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების მიზნობრივი პროგრამები	127
3.1. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამა	128
3.2. მიგრანტთა ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა (AVVR)	130
3.3. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სხვა პროგრამები/პროექტები	132
ნაწილი 4. დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესში მონაწილე და პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციების საკონტრაქტო ინფორმაცია	134
4.1. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები	135
4.1.1. ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებები	135
4.1.2. რეგიონული და მუნიციპალური მმართველობის ორგანოები	136
4.2. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	145
ბიბლიოგრაფია	149

წინასიტყვაობა

საქართველო მაღალი მიგრაციული ინტენსივობის მქონე ქვეყანაა - დიდია როგორც ემიგრაციული, ისე იმიგრაციული ნაკადების მოცულობა, სულ უფრო ფართოვდება მიგრაციის გეოგრაფია, იცვლება მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორები და მოტივები.

მიგრაციის პრობლემა საქართველოსთვის აქტუალური გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან გახდა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსახლეობამ სხვადასხვა მიზეზით დაიწყო საზღვარგარეთ ინტენსიური გადინება. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა და პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ ემიგრაციასთან ერთად, სულ უფრო აქტუალური ხდებოდა შრომითი ემიგრაცია. ემიგრაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 1989-2014 წლებში თითქმის 2 მილიონი კაცით შემცირდა. მათგან დიდი წილი შრომით მიგრანტებზე მოდის.

საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტების უმეტესობა საზღვარგარეთ არალეგალურად მუშაობს, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის როგორც მიმღებ, ისე დონორ ქვეყნებს, მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს. მიმღები ქვეყნებისათვის პრობლემურია ასევე საქართველოდან წასული თავშესაფრის მაძიებლების საკმაოდ დიდი რაოდენობა. უკანასკნელ წლებში ასეთი კატეგორიის ემიგრანტების კლების მიუხედავად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში მათი რიცხვი ჯერ კიდევ დიდია.

ზოგადად, მსოფლიოში მიგრაციის მართვის საჭიროების გაზრდისა და მიგრაციული პოლიტიკის გამკაცრების კვალობაზე, არსებობს არალეგალური მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა სამშობლოში დაბრუნების პროცესების გააქტიურების რეალური მოლოდინი. ევროკავშირთან უკიბო რეჟიმის ამოქმედების პირობებში ეს მოლოდინი კიდევ უფრო იზრდება. ამასთან, იძულებით დაბრუნების სტრატეგიის ნაცვლად, ევროკავშირის (და არა მარტო ევროკავშირის) ქვეყნების დიდმა ნაწილმა უპირატესობა არალეგალური მიგრანტების სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების ნახალისებასა და დაბრუნების შემდეგ რეინტეგრაციის მხარდაჭერას მიანიჭა. შესაბამისად, შემუშავდა და განხორციელდა სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების არაერთი პროგრამა. ეს სტრატეგია დღესაც აქტუალურია და გრძელდება საქართველოსთან მიმართებაშიც.

ევროკავშირი 2010 წლიდან საქართველოში აფინანსებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების პროექტებს. გარდა ამისა, მსგავს პროექტებს ახორციელებენ ქვეყანაში მოქმედი სხვა საერთაშორისო და დონორი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. 2015 წლიდან დაიწყო და გრძელდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება. აღნიშნული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში არაერთმა დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო დახმარება. ამასთან, გამოიკვეთა მიგრანტთა მომსახურების გაუმჯობესების, მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფისა და სარეინტეგრაციო დახმარების ეფექტიანობის გაზრდის საჭიროება.

სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მხარდაჭერის მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელება, რამდენადაც დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საჭიროებები მრავალფეროვანია. ამ ღონისძიებების ეფექტიანობა არსებითად არის განპირობებული დაბრუნებული მიგრანტების საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისის ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, კონსულტანტის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

საქართველოში უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ორგანიზაციების (DRC, CiDA, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო და სხვ.) მიერ მომზადებული და გამოცემული იქნა გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის, მაგრამ მსგავსი გზამკვლევი რეინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე კონსულტანტებისთვის დღემდე არ მომზადებულა. წინამდებარე გზამკვლევი არის პირველი მცდელობა, რათა მოპოვებულ-გაანალიზებული და სისტემატიზირებული სახით მიწოდებული იქნეს რეინტეგრაციის სფეროსთან დაკავშირებული მრავალმხრივი ინფორმაცია ამ სფეროში მომუშავე კონსულტანტებისთვის. წინამდებარე გზამკვლევის მიზანია დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო მხარდაჭერის საკითხებზე მომუშავე კონსულტანტებს გაუადვილოს საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მიღება ყველა იმ თემასა და საკითხზე, რომელიც მათ შეიძლება დაჭირდეთ ბენეფიციართა ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში, ასევე საქმიანობის კოორდინაციისა და რეფერალული აქტივობებისათვის. ამასთან, აქცენტი გაკეთდა მოცემულ მომენტში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასა და სამომავლო პროექტებზე, რათა უფრო მიზნობრივი იყოს ამ გზამკვლევის გამოყენების შესაძლებლობა.

გზამკვლევის ავტორები მადლიერების გრძნობით მიიღებენ ყველა მოსაზრებასა და რჩევას წინამდებარე გამოცემის სრულყოფასთან დაკავშირებით. შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნეთ ელ. ფოსტაზე: tantadze@iom.int

აბრევიატურა (შემოკლებების შინაარსი)

AVR	ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
AVRR	ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა
CARE-CAUCASUS	ქვა საერთაშორისო კავკასიაში
CIIDA	სამოქალაქო განვითარების სააგენტო
DRC	ლტოლვილთა დანიის საბჭო
DVV International	სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი
EU	ევროპის კავშირი/ევროკავშირი
GYLA	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
IFRC	ითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაცია
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - გაერო-ს მიგრაციის სააგენტო
IRC	ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
MRA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
OSGF	ღია საზოგადოება საქართველო - ფონდი
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNHCR	გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
WB	მსოფლიო ბანკი

ნაწილი 1. მიგრანტების საქართველოში დაბრუნება

1.1. საქართველოში დაბრუნება

1.1.1. მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ფორმები და დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები



საზღვარგარეთ მყოფი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

- ნებაყოფლობით
- დეპორტაციით
- რეადმისიით

ნებაყოფლობით დაბრუნება არის წარმოშობის, სატრანზიტო თუ მესამე ქვეყანაში პირის დამოუკიდებლად დაბრუნება ან

ხელშეწყობა დაბრუნებაში, მისი თავისუფლად გამოხატული სურვილის საფუძველზე. განასხვავებენ ნებაყოფლობით დაბრუნების ორ სახეს: ა) ნებაყოფლობით ორგანიზებულად დაბრუნება და ბ) ნებაყოფლობით არაორგანიზებულად დაბრუნება. პირის ნებაყოფლობით ორგანიზებულად დაბრუნებას აქვს ადგილი, როცა ხდება ნებაყოფლობით დაბრუნების ხელშეწყობა (დოკუმენტების მოწესრიგებაში დახმარება, სამგზავრო ბილეთით უზრუნველყოფა და ა.შ.), ხოლო ნებაყოფლობით არაორგანიზებულად დაბრუნება ნიშნავს შემთხვევას, როცა პირი დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე, ბრუნდება სამშობლოში.

დეპორტაცია არის ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის სახელმწიფოდან **გაძევება**. იგი ძირითადად გამოიყენება უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გადმოლახეს სახელმწიფო საზღვარი, ან დაარღვიეს სავიზო რეჟიმი. დეპორტაცია გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა უცხოელი სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს უქმნის.

რეადმისია ნიშნავს სახელმწიფოს აქტს დაუშვას საკუთარი მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის დაბრუნება (re-entry) თავის სახელმწიფოში, რომელიც უნებართვოდ შევიდა, იმყოფება ან ცხოვრობს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. რეადმისია გულისხმობს ამ სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე შეთანხმებას.

რეადმისიის შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის

ევროკავშირსა და საქართველოს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას (შემდგომში „რეადმისიის შეთანხმება“) ხელი მოეწერა 2010 წლის 22 ნოემბერს და ძალაში შევიდა 2011 წლის პირველი მარტიდან.

რეადმისიის შეთანხმების მთავარი მიზანი ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის თანამშრომლობის გაძლიერებაა, რომელიც ორივე მხარეს თანაბრად აკისრებს ვალდებულებებს და ანიჭებს უფლებამოსილებებს.

ევროკავშირის მხრიდან შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები არიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, კვიპროსი, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

ერთის მხრივ, შეთანხმების მონაწილე ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები, მეორეს მხრივ კი საქართველო, **ახორციელებენ იმ პირთა „უსაფრთხო და ორგანიზებულ დაბრუნებას, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ საქართველოს ან ევროკავშირის რომელიმე წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისათვის დადგენილ მოთხოვნებს“**. შეთანხმება

განსაზღვრავს, თუ ვინ და რა შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს რეადმისიას, ადგენს რეადმისიის პროცედურას, რეადმისიის განაცხადის წარდგენის პირობებსა და ვადებს.

შეთანხმების სრული ტექსტი იხ. ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1250250>

დეპორტაცია და რეადმისია ეხება მიმღებ ქვეყანაში არალეგალურად მყოფ მიგრანტებს და გულისხმობს წარმოშობის ქვეყანაში მათ იძულებით დაბრუნებას.

ტერმინი „არალეგალური ყოფნა“ განმარტებულია ევროპის საბჭოს 2002 წლის რეკომენდაციებში არალეგალურ მიგრაციასთან და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის განმარტებით, არალეგალურად მყოფი პირები არიან ისინი, ვინც:

- ✓ არალეგალურად გადაკვეთეს წევრი-სახელმწიფოს ტერიტორია დოკუმენტის გარეშე ან ყალბი დოკუმენტით;
- ✓ ისინი, ვისაც აქვთ ქვეყანაში ბინადრობისა და მუშაობის უფლება, თუმცა დაარღვიეს სახელმწიფოში ლეგალურად ყოფნის ვადები, ან დაარღვიეს სახელმწიფოში ყოფნის სხვა პირობები;
- ✓ ისინი, ვინც ლეგალურად იმყოფებიან წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ ეწევიან ისეთ საქმიანობას, რომელსაც არ ითვალისწინებს მათზე გაცემული ვიზა/ბინადრობის უფლება (ანუ არ ჰქონდათ ე.წ. „სამუშაო ვიზა“);
- ✓ ვინც მოქმედი ვიზით/ბინადრობის უფლებით გადაკვეთეს ტერიტორია, მაგრამ დარჩნენ უფრო მეტი ხნით, ვიდრე ამას ითვალისწინებდა კონკრეტულ პირზე გაცემული ვიზა/ბინადრობის უფლება.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებასთან ერთად კიდევ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირთან რეადმისიის ხელშეკრულების მნიშვნელობა. **საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც სავიზო წესების დარღვევით არალეგალურად იმყოფებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, ვერ ისარგებლებენ უვიზო მომისვლით მომავალში, თუ არ დაბრუნდებიან საქართველოში და არ ამოიწურება მათ მიმართ განსაზღვრული შესვლის აკრძალვის ვადა.**

დეტალური ინფორმაცია ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ იხ. ვებ-გვერდებზე:

<http://psh.gov.ge/main/page/1/512>;

http://migration.commission.ge/files/eu_10.03.2017.pdf; <http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები

საქართველოში დასაბრუნებლად მიგრანტს უნდა ჰქონდეს საქართველოს პასპორტი (ვადიანი), ან საქართველოში დასაბრუნებელი მონშობა.



საქართველოს მოქალაქის პასპორტის დაკარგვის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია ახალი პასპორტის აღება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოებში. პასპორტი გაიცემა როგორც სრულწლოვან მოქალაქეზე, ისე არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) პირზე. პირს პასპორტის მიღება ასევე შეუძლია წარმომადგენლის მეშვეობით ან სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურში განაცხადის ელექტრონული ფორმით წარდგენის გზით, თუ მასზე გაცემული იყო ბიომეტრიული პასპორტი და მისი ბიომეტრიული მონაცემების განმეორებით გამოყენება შესაძლებელია.

სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურთან კომუნიკაცია შესაძლებელია ვებ- გვერდის მეშვეობით: http://sda.gov.ge/?page_id=4118

საქართველოში დასაბრუნებელი მონშობა წარმოადგენს უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელ დროებით სამგზავრო დოკუმენტს. საქართველოში დასაბრუნებელი მონშობის გაცემა ხდება მოქმედების ვადაგასული ან დაკარგული, ან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისათვის (მგზავრობისთვის) უვარგისი (გაცვეთა, დაზიანება) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პასპორტი და სხვ.) სანაცვლოდ, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, საქართველოში დაბრუნების მიზნით. დასაბრუნებელი მონშობის აღება საჭიროა როგორც სრულწლოვან მოქალაქეზე, ისე არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) პირზე.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს საკონსულოს მოცემულ ქვეყანაში ან დარეგისტრირდეს საკონსულოს ვებ-გვერდზე.

საქართველოს საკონსულოების საკონტაქტო ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.geoconsul.gov.ge/ka/consularOffices>

1.1.2. საქართველოში მიგრანტთა ნებაყოფლობით დაბრუნების მხარდაჭერი პროექტები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეხმარება იქ მყოფ უცხოელებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში. ზოგჯერ ეს შემოიფარგლება დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სამგზავრო ბილეთის აღებით (AVR - ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამა), რიგ შემთხვევაში აძლევენ ასევე ე.წ. "ჯიბის ფულს" (ქვეყნებისა და პროგრამების მიხედვით ეს თანხა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს), ზოგჯერ კი მხარდაჭერა შეიძლება დაბრუნების შემდეგ სარეინტეგრაციო დახმარებასაც მოიცავდეს (AVRR - ნებაყოფლობით დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა).

IOM-ის დახმარებით დაბრუნების მსურველებმა უნდა მიმართონ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობას მოცემულ ქვეყანაში. IOM-ის წარმომადგენლობების საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.iom.int/contact-us>

IOM-ის საქართველოს მისია 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე თანამშრომლობს ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების სფეროში. ამჟამად IOM-ის საქართველოს მისია ევროკავშირის 26 ქვეყანასთან, ასევე შვეიცარიასთან, კანადასთან და ისრაელთან ერთად ახორციელებს საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების პროექტებს (AVRR). დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხ. პარაგრაფში 3.2.

1.1.3. საქართველოში შემოსვლის სასაზღვრო პროცედურები



საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა და სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლისა და შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე. მგზავრი საპასპორტო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს შესამოწმებლად წარუდგენს სამგზავრო დოკუმენტებს (პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია საზღვრის გადაკვეთა).

სატრანსპორტო საშუალებით საზღვრის გადაკვეთისას, გემთ ალნიშნულ დოკუმენტებთან ერთად, პირმა უნდა წარადგინოს: ა) იმ კატეგორიის მართვის უფლების მოწმობა, რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებასაც მართავს; ბ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი; გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პირის კანონიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული გარემოება არ დასტურდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტით.

თუ პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის გაყალბების ნიშნები და ეჭვს არ იწვევს წარმოდგენი პირისათვის მიკუთვნებაში, შემოწმების შემდეგ პასპორტში კეთდება სათანადო აღნიშვნა¹ - „შემოსვლა“, რეგისტრაცია ხდება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში და მიიღება მგზავრისა და სატრანსპორტო საშუალების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის გადანაცვტილება.

თუ პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შეინიშნება გაყალბების ნიშნები, ან ისინი ეჭვს

1 2005 წლიდან სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ პასპორტში სათანადო აღნიშვნის გაკეთება (ბეჭდის ჩარტყმა) საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო არ არის, თუმცა პირის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშვნის გაკეთება შესაძლებელია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბრუნებული მიგრანტებისთვის, რომლებიც სარეინტეგრაციო დახმარების პროექტის/პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია.

ინვევენ წარმომდგენი პირისათვის მიკუთვნებაში, მათ მიმართ ტარდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შენიშვნა: სასაზღვრო კონტროლის სამსახურის მუშაკებს შესაბამისი სამსახურების სათანადო ინფორმაციის საფუძველზე უფლება აქვთ განახორციელონ მგზავრის ბარგისა და ხელბარგის შემოწმება, აუცილებლად საბაჟო სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მგზავრი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლისას მებაჟეს წარუდგენს ხელბარგს და ბარგს, გაუხსნის ავტოსატრანსპორტო საშუალების საბარგულსა და სალონს დათვალიერებისთვის. მგზავრის პირად შემოწმებას, მისი ბარგისა და ხელბარგის გახსნისა და დათვალიერების აუცილებლობას განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელი მუშაკი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თუ საბაჟო კონტროლის განხორციელების შედეგად დადგინდა საბაჟო წესების ან სხვა სახის დარღვევა, მებაჟე ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასაზღვრო კონტროლის სამსახურს და ორივე სამსახურის თანამდებობის პირები იღებენ გადაწყვეტილებას მგზავრის საზღვარზე გადაადგილების მიზანშეწონილობის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა პირების მიერ წარმოებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში. ეს პუნქტებია:

სასაზღვრო-გამტარი პუნქტი	მოსაზღვრე ქვეყანა	კატეგორია/სტატუსი
• სარფი	თურქეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• ვალე	თურქეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• ნინოწმინდა	სომხეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• გუგუთი	სომხეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• ახკერპი	სომხეთი	საავტომობილო/ სახელმწიფოთაშორისი
• სადახლო	სომხეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• სადახლო	სომხეთი	სარკინიგზო/ საერთაშორისო
• წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• ვახტანგისი/მტკვარი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/ სახელმწიფოთაშორისი
• სამთაწყარო	აზერბაიჯანი	საავტომობილო/ სახელმწიფოთაშორისი
• ცოდნა/ ლაგოდეხი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/ საერთაშორისო
• გარდაბანი	აზერბაიჯანი	სარკინიგზო/ საერთაშორისო
• დარიალი/ყაზბეგი	რუსეთი	საავტომობილო/ საერთაშორისო

საერთაშორისო აეროპორტები:

- თბილისი;
- ბათუმი;
- ქუთაისი.

საზღვაო პორტები:

- ფოთი;
- სუფსის საზღვაო ნავსადგური;
- ბათუმი;
- ყულევი.

საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, სახელმწიფო საზღვარს კვეთენ იმ საბუთებით, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

ინფორმაცია საბაჟო კონტროლის განხორციელების (საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის) პროცედურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://>

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, **იმპორტის გადასახადებისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ:**

- კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის² 02, 04, 06, 12, 15, 21 ჯგუფებისა და 0302, 0307, 2201, 2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის. ამ ჯგუფებსა და სასაქონლო პოზიციებში შედის ისეთი საქონელი, როგორიცაა: ბოსტნეული, ხილი, რძე და რძის პროდუქტები, მაკარონი და მსგავსი მზა პროდუქტები, თხილეული, შაქარი, კანფეტი და სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმი, საფუარი, ძეხვეული და სხვ.;
- 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფებით გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის (ამ ჯგუფებში შედის ისეთი საქონელი, როგორიცაა: ფარმაცევტული პროდუქცია, წიგნები, გაზეთები, ხალიჩები, ტანსაცმელი, ბენჯეული, ფეხსაცმელი, კერამიკული ნაწარმი, ძვირფასი ლითონები, ავტომობილები, სუნამოები, საათები, კოსმეტიკური საშუალებები, სათამაშოები, ავეჯი, ხელოვნების ნიმუშები, მინის ნაწარმი, მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი და სხვ.);
- საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.;
- საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;
- უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე – 97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის; ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი.
- საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.
- საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი.

დამატებითი ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4723&lang=1&-catid=58

სავალუტო კონტროლი

საქართველოში ნებისმიერი ოდენობით ვალუტის შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდება

² ინფორმაცია “საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის” შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1697179>

გადასახდელებისგან, თუმცა, პირის მიერ ნაღდი ფულის (ეროვნული, უცხოური ვალუტა), ჩეკების, სხვა ფასიანი ქაღალდების საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას, თუკი მათი ჯამური ნომინალური ღირებულება აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში (წყარო: <http://www.rs.ge/5011>).

1.1.4. ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესაძლებლობები

ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება შესაძლებელია როგორც საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, ისე ადგილობრივი (შიდა) ავია რეისებით.



ადგილობრივი (შიდა) ავიარეისები

ადგილობრივი (შიდა) ავიარეისები საქართველოში ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის მიმართულებით ხორციელდება. ტურისტულ სეზონზე შიდა რეისებზე ფრენები მეტი მიმართულებით და სიხშირით ხორციელდება. 2017 წლის მაისის მდგომარეობით, რეისების მიმართულებები და მგზავრობის ღირებულება შემდეგია:

- ავიარეისი **ნატახტარი-მესტია/მესტია-ნატახტარის** მიმართულებით ხორციელდება კვირაში 6 დღე, შაბათის გარდა. მგზავრობის საფასური ბრძანსრულთათვის 65 ლარია, 3 დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - 45,50 ლარი, 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - ფრენა უფასოა.
- **ქუთაისი-მესტია/მესტია-ქუთაისი** - ფრენა ხორციელდება ორშაბათსა და პარასკევს. მგზავრობის საფასური ბრძანსრულთათვის 40 ლარი, 3-12 წლის ასაკის ბავშვებისათვის - 28 ლარი, 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - ფრენა უფასოა.
- **ნატახტარი-ამბროლაური/ამბროლაური-ნატახტარი** - ფრენა ხორციელდება ოთხშაბათსა და კვირას. მგზავრობის საფასური ბრძანსრულთათვის 50 ლარი, 3-12 წლის ასაკის ბავშვებისათვის - 35 ლარი, 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - ფრენა უფასოა.

შენიშვნა: ფრენა დამოკიდებულია ამინდზე. პილოტი იღებს გადაწყვეტილებას ფრენამდე 1 საათით ადრე. დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით:

აეროდრომი “ნატახტარი”- მობ.: (+995) 599 659099; ელ. ფოსტა: mari@vanillasky.ge

რკინიგზით (მატარებლით) გადაადგილება



საქართველოს რკინიგზა საკმაოდ განვითარებულია და ფარავს ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს. ქ. თბილისიდან ძირითადი სამგზავრო მარშრუტები დასავლეთ საქართველოს მიმართულებითაა (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ფოთი). ამ მიმართულებებით მოძრაობს დღისა და ღამის ჩქაროსნული მატარებელი. ღამის სამგზავრო მატარებელი თბილისიდან გადის ზუგდიდისა და ოზურგეთის მიმართულებით; სამგზავრო ელექტრო მატარებელი მოძრაობს თბილისსა და ქუთაისს, თბილისსა და ბორჯომს, თბილისსა და სადახლოს, თბილისსა და ნიქოზს, ქუთაისსა და საჩხერეს, ქუთაისსა და

ზუგდიდს შორის. გარდა ამისა, განვითარებულია თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ხაშურის, ბორჯომის საგარეუბნო ელექტრო მატარებლების ქსელიც.

დეტალური ინფორმაცია მატარებლების მოძრაობის მიმართულებებისა და განრიგის შესახებ იხ. “საქართველოს რკინიგზის” ვებ-გვერდზე: http://schema.railway.ge/?web=1&action=page&p_id=478&lang=geo

მატარებლის სამგზავრო ბილეთის შეძენა

- სამგზავრო ბილეთის შეძენა შესაძლებელია მატარებლის გასვლამდე 40 დღით ადრე შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბილეთო სალაროებში, მომენტალური გადახდის აპარატებისა (შეძენის წესები იხ. ვებ-გვერდზე: <http://schema.railway.ge/files/paybox.pdf>) და ინტერნეტის მეშვეობით (<http://tickets.railway.ge/login.aspx>);

- სამგზავრო ბილეთის გაფორმებისას აუცილებელია მგზავრის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - დაბადების მოწმობა ან პასპორტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, კომპიუტერული სისტემით ბილეთების გაყიდვა სალაროებში წყდება მატარებლის გასვლამდე 10 წუთით ადრე;
- მგზავრი მატარებელში დაიშვება სამგზავრო დოკუმენტის და პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში;
- მგზავრთან ერთად უფასოდ შეიძლება მგზავრობდეს 5 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი, თუ იგი არ იკავებს ცალკე ადგილს, ხოლო ცალკე ადგილის დაკავების სურვილის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი საბავშვო სამგზავრო დოკუმენტის შექმნა;
- მგზავრთან ერთად 5 წლამდე ასაკის ერთზე მეტი ბავშვის მგზავრობისას, აგრეთვე 5-დან 10 წლამდე ასაკის თითოეული ბავშვისათვის, აუცილებელია საბავშვო სამგზავრო დოკუმენტის შექმნა;
- 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვები მგზავრობენ მოზრდილთათვის დადგენილი წესის შესაბამისად;
- დაკარგული ან გაფუჭებული (გახეული, დამწვარი, დასველებული და ა.შ) სამგზავრო დოკუმენტის განახლება ან ღირებულების ანაზღაურება დაუშვებელია;
- გამოუყენებელი სამგზავრო დოკუმენტის დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ პიროვნების მიერ, ვის სახელზეც გაფორმებულია სამგზავრო დოკუმენტი, შესაბამისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;
- მგზავრს უფლება აქვს დააბრუნოს გამოუყენებელი სამგზავრო დოკუმენტი (ბილეთი) და მიიღოს:
 - ა) ბილეთის მთლიანი საფასური - მატარებლის გასვლამდე არა უგვიანეს 15 საათისა;
 - ბ) ბილეთის საფასურის 85% - მატარებლის გასვლამდე 15-დან 4 საათამდე დროში;
 - გ) ბილეთის საფასურის 70% - მატარებლის გასვლამდე 4 საათზე ნაკლებ დროში ან მატარებლის გასვლის მომენტიდან არა უმეტეს 3 საათისა.

საქალაქთაშორისო გადაადგილება საავტომობილო ტრანსპორტით

საქართველოს შიგნით საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტით საქალაქთაშორისო გადაადგილებისათვის გამოიყენება მიკროავტობუსები და ავტობუსები, ასევე ტაქსი.

საქართველოს ყველა მუნიციპალური ცენტრის, ასევე სხვა ტიპის დასახლებული პუნქტების (დაბა, სასოფლო დასახლება) მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა ძირითადად ხდება ავტობუსით და/ან მიკროავტობუსით. კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში მგზავრობის საფასური დამოკიდებულია სამარშრუტო ხაზის მანძილზე.

საქალაქთაშორისო გადაადგილების ავტობუსების მარშრუტების, განრიგისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტულ ავტოსადგურებში:

- **თბილისის ცენტრალური ავტოსადგური - ორთაქალის ავტოსადგური**

მის.: თბილისი, გულიას ქ. #1

ტელ.: (0 32) 275 05 95; 275 34 33; 275 40 14

მობ.: 577 15 94 15

სამუშაო საათები: 08:00-01:00

- **შპს ავტოსადგური “ექსპრეს-91”**

მის.: თბილისი, ფიროსმანის ქ. #31

მობ.: (599) 73 11 06

- **შპს “ტრანს ლოჯისტიკ” - გლდანის ახალი ავტოსადგური**

მის.: თბილისი. გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარე ტერიტორია, მარათ

ნობადის ქ.

ტელ: 2 132 132

ელ. ფოსტა: ltdregionlogistic@gmail.com

- **შპს “ოკრიბა” - ავტოსადგური**

მის.: თბილისი. კარალეთის ქ. 5

ტელ: 234 26 92

- **სს დიდუბის ავტოვაგზალი - დიდუბის ავტოსადგური**

თბილისი. კარალეთის ქ. 4

ტელ: 234 49 24

- **ბათუმის ავტოსადგური**

მის.: ბათუმი, ახალი ავტოსადგური, გოგოლის ქ. #1

ტელ.: (0 422) 242 244

მობ.: 577 15 94 00

მობ.: 514 24 22 44

სამუშაო საათები: 24/7

- **ქუთაისის ცენტრალური ავტოსადგური**

მის.: ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა 67

ტელ.: (+995 431)271 163; (+995 431) 270 327

მობ.: 595 60 14 60

სამუშაო საათები: 07:00-19:00

სამუშაო დღეები ყოველ დღე

- **თელავის ავტოსადგური (ძველი)**

მის.: ალაზნის გამზირი #6

ტელ.: (+995 350) 27 16 19

- **თელავის ავტოსადგური „როკი“**

მის.: თელავი, ალაზნის გამზირი #71

ტელ: (+995 350) 27 43 90 (მიკროავტობუსები თბილისის მიმართულებით)

- **ზუგდიდის ავტოსადგური**

მის.: ზუგდიდი, ქუჩის #1

მობ: 593 94-88-04

შენიშვნა: ამავე სადგურებიდან ხშირად რეგულირდება მიკროავტობუსების მოძრაობაც.

საქართველოს გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=pages&func=menu&pid=1386667041>



გადაადგილება ქალაქს შიგნით

საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, რუსთავი) გადაადგილება შესაძლებელია მუნიციპალური ტრანსპორტით, ასევე კერძო მიკროავტობუსებითა და ტაქსით. ქ. თბილისში არის ასევე მეტროპოლიტენი.

თბილისის მეტროპოლიტენის სამუშაო გრაფიკა: დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. სადღესასწაულო დღეებში მუშაობის გრაფიკი

უფრო ხანგრძლივია. მეტროპოლიტენში მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური „მეტრომანის“ ან საქართველოს ბანკის „EXPRESS CARD“-ის³ ბარათით.

ავტობუსით და მიკროავტობუსით მგზავრობის ღირებულების გადახდა შესაძლებელია როგორც „მეტრომანის“ ან საქართველოს ბანკის „EXPRESS CARD“-ის ბარათით, ისე ნაღდი ფულითაც.

„მეტრომანის“ შეძენა შესაძლებელია მეტროპოლიტენის ნებისმიერ სადგურში და რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის სალაროებში. ბარათის შეძენის ღირებულება ერთჯერადად 2 ლარს შეადგენს. **ბარათის ასაღებად რაიმე სახის დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის.**

ბარათის შესყიდვის შემდეგ საჭიროა ბარათზე თანხის დარიცხვა. თანხის დარიცხვა შესაძლებელია:

- მეტროს ნებისმიერი სადგურის სალაროში;
- რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის ორივე სადგურის სალაროში;
- „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადახდის აპარატებში და სერვის-ცენტრებში.

„EXPRESS CARD“-ის აღება ხდება საქართველოს ბანკის ფილიალებში.

ქ. თბილისში მეტროთი და ავტობუსით ერთჯერადი მგზავრობის საფასურია 50 თეთრი. **მგზავრობის შეღავათიანი ტარიფებია დადგენილი** შემდეგი კატეგორიის მგზავრებისათვის: სოციალურად დაუცველები, სტუდენტები, მასწავლებლები, პენსიონერები. სკოლის მოსწავლეებისა და ვეტერანებისათვის მეტროთი და ავტობუსით მგზავრობა უფასოა. ამასთან, 1,5 საათის განმავლობაში ტრანსპორტის გამოცვლა (გადაჯდომა) უფასოა, თუმცა ბილეთის აღება სავალდებულოა.

შეღავათები და ფასდაკლებები მოქმედებს მხოლოდ ბარათით გადახდის შემთხვევაში. კონტროლიორს უფლება აქვს მოითხოვოს შეღავათიანი კატეგორიისადმი პიროვნების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა (მაგ. სკოლის მოსწავლის ბარათი, საპენსიო მონმობა, სოციალურად დაუცველის მონმობა და სხვ.)

შენიშვნა: აუცილებელია ავტობუსის სამგზავრო ბილეთის შენახვა მგზავრობის დასრულებამდე, ვინაიდან შესაძლოა მისი შემოწმება მოხდეს როგორც მგზავრობისას, ისე ავტობუსიდან ჩამოსვლის მომენტში, ავტობუსის გაჩერებაზე. უბილეთოდ მგზავრობა ჯარიმდება 5 ლარით. ჯარიმა უნდა დაიფაროს 30 დღის განმავლობაში. 30 დღის განმავლობაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმის თანხას დაემატება საურავი 50 ლარის ოდენობით. მგზავრს უფლება აქვს ჯარიმის გამონერიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

მიკროავტობუსი

მიკროავტობუსით მგზავრობა გადაყვანას ქ. თბილისში უზრუნველყოფს შპს „თბილისის მიკროავტობუსი.“ მიკროავტობუსების სამუშაო საათები განსხვავებულია მარშუტიდან გამომდინარე. ძირითადი სავაჭრო ობიექტების (ვაგზლის მოედნის, სამგორის და ლილოს) მიმართულებით მომუშავე მიკროავტობუსები მგზავრების გადაყვანას იწყებენ დილის 6 საათიდან. სხვა სამარშრუტო ხაზებზე მგზავრობა გადაყვანა იწყება დილის 7 საათიდან და ძირითადად ღამის 11 საათამდე გრძელდება.

მიკროავტობუსით მგზავრობის ღირებულების გადახდა შესაძლებელია როგორც ბარათით („მეტრომანი“, „EXPRESS CARD“), ასევე ნაღდი ფულის საშუალებითაც.

მგზავრობის ტარიფები განსხვავებულია მიკროავტობუსების მარშრუტის მიხედვით და შეადგენს 50 ან 80 თეთრს. მიკროავტობუსებზე, რომლის ტარიფია 80 თეთრი და გადახდა ხდება ბარათით („მეტრომანი“, „EXPRESS CARD“), დღის განმავლობაში მეორედ და მომდევნო მგზავრობებზე მოქმედებს ფასდაკლება და მგზავრობის საფასური შეადგენს 65 თეთრს. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ პირებზე ვრცელდება 50%-ანი ფასდაკლება. შესაბამისად, მიკროავტობუსებზე, რომლით მგზავრობის ღირებულება შეადგენს 80 თეთრს, სოციალურად დაუცველთათვის პირველი მგზავრობის საფასურია 40 თეთრი.

ქ. ბათუმში მუნიციპალური ტრანსპორტი წარმოდგენილია ავტობუსებისა და მიკროავტობუსების სახით. ავტობუსით ერთჯერადი ბილეთის საფასურია 80 თეთრი და დღის განმავლობაში ამ ბილეთით შესაძლებელია 2-ჯერ მგზავრობა. მიკროავტობუსით ერთჯერადი მგზავრობის საფასურია 40 თეთრი.

³„EXPRESS CARD“ არის საბანკო მოსახურების პლასტიკური ბარათი, რომლის მიღება შესაძლებელია საქართველოს ბანკის ყველა ფილიალში. მგზავრობის ღირებულების „EXPRESS CARD“-ით გადახდისას მგზავრობის ღირებულება თქვენი „EXPRESS CARD“-ის საბანკო ანგარიშიდან დაიფარება და არ იქნება საჭირო სპეციალურად მგზავრობისთვის დეპოზიტის შევსება. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.expresscard.ge

ქ. ქუთაისში მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის და გადაადგილება ხდება კერძო სატრანსპორტო კომპანიების კუთვნილი ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით. ავტობუსით ერთჯერადი მგზავრობის საფასურია 30 თეთრი. მიკროავტობუსით მგზავრობის საფასურია 40 ან 50 თეთრი (მარშრუტის სიგრძის მიხედვით).

ქ. რუსთავში შიდა საქალაქო გადაადგილება შესაძლებელია მუნიციპალური ტრანსპორტითა (ავტობუსი) და კერძო სამარშრუტო ტაქსით. მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის საფასური შეადგენს 20 თეთრს. შიდა საქალაქო მარშრუტებზე მოძრავი კერძო მიკრო ავტობუსებით მგზავრობის ღირებულება შეადგენს 50 თეთრს. რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების მგზავრობის საფასური მარშრუტების მიხედვით, 1.30-დან-2 ლარამდე მერყეობს. ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო ტაქსობარკების რაოდენობა, რამაც ხელი შეუწყო ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და მომხმარებლებისთვის 24-საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი, იაფი მომსახურების მიწოდებას.

შეღავათები რუსთავის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე:

რუსთავის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათები ვრცელდება გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებზე. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უფასო პოლისები, რომლითაც სარგებლობენ ვეტერანები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები სარეიტინგო ქულით 0-დან 150 000-მდე, ასევე საჯარო სკოლების, მუნიციპალური თეატრის, სამუსიკო სკოლების, ისტორიული მუზეუმის, სამხატვრო სკოლების, კულტურის ცენტრის, შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირათა ცენტრის, შშმ პირთა (სტატუსი უსინათლო), საბიბლიოთეკო გაერთიანებების, ბაგა-ბაღების გაერთიანებებისა და ფილიალებისა და სასპორტო სკოლის თანამშრომლები.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://rustavi.gov.ge/page/231#sthash.guPauHY9.dpuf>
მოსახლეობის მოწყობად კატეგორიები შეღავათებით სარგებლობენ ყველა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებისას.

1.2. პირადი დოკუმენტებისა და მოქალაქეობის სტატუსის აღდგენა, ქონების რეგისტრაცია

1.2.1. პირადი დოკუმენტების განახლება/აღდგენა



სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების ნაწილს შესაძლოა არ ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დაკარგვის, ვადის გასვლის და სხვ. მიზეზით) და სამშობლოში დაბრუნდა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობით. ამ შემთხვევაში მას აუცილებლად დაჭირდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, ვალდებულია აიღოს პირადობის მოწმობა, ხოლო პასპორტის აღება ნებაყოფლობითია და არ არის სავალდებულო.

პირადობის ელექტრონული მონმობა

საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, ვალდებულია ჰქონდეს პირადობის ელექტრონული მონმობა. კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მონმობის დამზადება შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირებზეც.

პირადობის ელექტრონული მონმობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს:

- იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

- საზოგადოებრივ ცენტრებს (საზოგადოებრივი ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.centri.gov.ge/>);
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დანესებულებას.

თუ პირადობის მონმობის დამზადებასთან ერთად **პირს სურს მისამართზე რეგისტრაცია ან რეგისტრაციის ცვლილება, მაშინ მან უნდა მიმართოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, ან საზოგადოებრივ ცენტრებს.**

პირადობის ელექტრონული მონმობის მიღებისთვის დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ სამსახურში უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- დაბადების მონმობა;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გახსოვდეთ:

- დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

- ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამონმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამონმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პირადობის ელექტრონული მონმობის საფასური მომსახურების ვადის მიხედვით განსხვავებულია და შეადგენს:

მომსახურების ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	30 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	40 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	50 ლარი
24 საათში	60 ლარი
იმავე დღეს	65 ლარი

პირადობის ელექტრონული მონმობის საფასურის გადახდისას **შეღავათით სარგებლობენ ან საფასურის გადახდისაგან სრულად თავისუფლდებიან:**

- სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 001-ს - სრულად;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები - სრულად;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები - სრულად;
- პირები, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭათ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით - სრულად;
- სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში და რომელთა სტატუსის გადამონმება შესაძლებელია სააგენტოს მონაცემთა ბაზის მეშვეობით, პირადობის ელექტრონული მონმობის აღნიშნული სტატუსით პირველად

აღების შემთხვევაში თავისუფლდებიან განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან - 10 ლარით, ხოლო ფოტოსურათის საფასურის გადახდისაგან - სრულად;

- სტუდენტები, სტუდენტური მონაცემით პირადობის ელექტრონული მონმობის განმეორებით მიღების დროს - 10% - ით.

პირადობის ელექტრონული მონმობა გაიცემა:

- 18 წლამდე პირებზე - 4 წლის ვადით;
- 18 წლის ასაკის ზემოთ პირებზე - 10 წლის ვადით.

პირადობის ელექტრონული მონმობა ექვემდებარება შეცვლას შემდეგ შემთხვევებში:

- მოქმედების ვადის გასვლისას;
- სახელის ან გვარის შეცვლისას;
- ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;
- ხმარებისათვის უვარგისობისას;
- დაკარგვისას.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე: <http://psh.gov.ge/main/page/1/15/437>; http://sda.gov.ge/?page_id=5090;

პასპორტი

საქართველოს მოქალაქის პასპორტი არის პირადობისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ბიომეტრიული პასპორტი არის დოკუმენტი, რომელიც არაბიომეტრიული პასპორტისგან განსხვავებით შეიცავს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს, რომელზეც დატანილია პასპორტის მფლობელი პირის პერსონალური მონაცემები - ბიომეტრიული ფოტოსურათი, ხელმოწერა და თითის ანაბეჭდები.

დაინტერესებული პირი უფლებამოსილია პასპორტის მისაღებად მიმართოს:

- იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;
- საზოგადოებრივ ცენტრებს;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ასევე ელექტრონული კომუნიკაციით, სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით.

პასპორტის მიღების მოთხოვნით განცხადებას წარადგენს:

- ✓ დაინტერესებული სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი პირადად;
- ✓ არასრულწლოვანი (18 წლამდე) პირის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი), გარდა 16-დან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა;
- ✓ არასრულწლოვანი პირი 14 წლის ასაკიდან, თუ მასზე გაცემულია პირადობის მონმობა;
- ✓ სათანადო წესით დამონმებული მინდობილობის მქონე პირი, თუ დაინტერესებული საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირი პასპორტზე განცხადების წარდგენის მომენტისათვის იმყოფება საზღვარგარეთ და მასზე გაცემულია პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით და ახალი პასპორტის გაცემის მიზნებისთვის ბიომეტრიული მონაცემების ხელმეორედ გამოყენება შესაძლებელია.

სრულწლოვანი პირის პასპორტის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

- პირადობის მონმობა;

- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

არასრულწლოვანი პირის პასპორტის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

- არასრულწლოვანი პირის დაბადების მონძობა;
- პირადობის მონძობა - 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანის შემთხვევაში;
- 16 წლამდე არასრულწლოვანი პირის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა;
- 16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანი პირის პასპორტის გასაცემად საკმარისია ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

შენიშვნა: რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ 16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანს საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად არ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ჩამოთვლილ დოკუმენტებს ორგანოში წარადგენს უფლებამოსილი დაინტერესებული პირი.

ბიომეტრიული პასპორტის საფასური სრულწლოვანი პირისთვის:

მომსახურეობის ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	100 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	120 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	150 ლარი
24 საათში	190 ლარი
იმავე დღეს	205 ლარი

პასპორტის აღებასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და წესებზე დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე: <http://psh.gov.ge/main/page/1/8/9>; http://sda.gov.ge/?page_id=5103.

1.2.2. საქართველოს მოქალაქის სტატუსის აღდგენა

რიგ შემთხვევაში დაბრუნებული მიგრანტისათვის შეიძლება აქტუალური იყოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა.

საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

- არამართლზომიერად;
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით გზით;
- მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად.

სრულწლოვან ქმედუნარიან დაინტერესებულ პირს აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება, თუ მან დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა.

საქართველოს სახელმწიფო ენის დადგენილ ფარგლებში ცოდნა არ მონძდება იმ პირების მიმართ, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ არამართლზომიერად.

შენიშვნა: პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად შეუწყდა, საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სრულწლოვანი გახდება.

დაინტერესებული პირი განცხადებას აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე წარადგენს:

- იუსტიციის სახლის ან სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში;

➤ საზღვარგარეთ , საკონსულო დაწესებულებაში ან დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭებაზე წარადგენს:

- სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი პირადად;
- არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენელი, გარდა 16-დან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა;
- 16-დან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი;
- მხარდაჭერის მიმღები, მხარდამჭერის თანხმობით;
- დაინტერესებული პირის წარმომადგენელი სათანადო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე.

შენიშვნა: არასრულწლოვანის პირის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე ერთ-ერთი მშობლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს მეორე მშობლის (არსებობის შემთხვევაში) წერილობითი თანხმობა. 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის მოქალაქეობის მინიჭება დასაშვებია მისი თანხმობით.

აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება;
- პასპორტი ან მოქალაქეობისა და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაბადების მოწმობა;
- იმ დოკუმენტების ასლები, რომლებითაც დასტურდება, რომ დაინტერესებული პირი კანონის შესაბამისად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ;
- ფოტოსურათი;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლების გათვალისწინებით ერთ-ერთი დოკუმენტი:
 - ა) საქართველოს მოქალაქეობის არამართლზომიერად შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) მშობლების არჩევნის შედეგად მოქალაქეობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

აუცილებელია **სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამონმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამონმების შემდეგ**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მომსახურების საფასური:

- 30-ე კალენდარულ დღეს - 100 ლარი;
- მე-20 კალენდარულ დღეს - 150 ლარი.

შენიშვნა: გადახდის ქვითრის წარდგენა საჭირო არ არის, თუ მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და სააგენტოს აქვს შესაძლებლობა, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეამოწმოს ანგარიშსწორების განხორციელების ფაქტი.

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით განაცხადის წარდგენის დროს გადახდილი საფასური

პირს დაუბრუნდება, თუ დადგინდა რომ მას საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეუწყდა.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ გადაიხდებიან, თუ განცხადების განხილვის საფუძველია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვა იმ პირთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფება ამ ორგანოს მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://psh.gov.ge/main/menus/1/69> ; http://sda.gov.ge/?page_id=5123

1.2.3. ქონების რეგისტრაცია



დაბრუნებული მიგრანტებისთვის ხშირად აქტუალურია ქონების დაკანონებისა და რეგისტრაციის საკითხები. საქართველოში რეგისტრაციას ექვემდებარება საკუთრების უფლების რეგისტრაცია როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებაზე.

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება - მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა (საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა

სახის მილსადენი, გვირაბი, საჰაერო-საბაგრო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნიკულიორი, დამბა, არხი).

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოშობილად ითვლება ამ უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემის მომენტიდან.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან მესაკუთრე უფლებამოსილია, განკარგოს (გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ.) უძრავი ნივთი.

რეგისტრაციას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ასევე საკარმიდამო მიწა.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი არის მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის – მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია – საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი;

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი არის მიწა, რომელიც არ გამოიყენა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის – მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე.

საკარმიდამო მიწა არის ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული.

საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხდება როგორც **რეფორმით მიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** (ეს არის 1992-1999 წლებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები), ასევე **მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე** (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელია 1994 წლამდე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული გეგმის საფუძველზე და თუ მიწის ნაკვეთი სარგებლობაშია 2007 წლამდე).

რეგისტრაციას ექვემდებარება აგრეთვე **თვითნებურად დაკავებული მიწა** –“საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტიდან დასაწყისიდან მიერ არ არის განკარგული.

აღნიშნული კატეგორიის მიწების რეგისტრაციის წესებისა და წარსადგენი დოკუმენტების, ასევე რეგისტრაციის საფასურის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე: <http://psh.gov.ge/main/menus/3/113> ; <http://napr.gov.ge/>

უძრავი ქონების რეგისტრაცია მოიცავს მომსახურებას შემდეგი სახის უფლების რეგისტრაციაზე:

- ✓ საკუთრების უფლების რეგისტრაცია;
- ✓ აღნაგობის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ აღნაგობის უფლებაზე იპოთეკის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ უზუფრუქტის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ სერვიტუტის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ თხოვების უფლების რეგისტრაცია;
- ✓ ქირავნობის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ იჯარის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ ლიზინგის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ ქვეიჯარის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ ქვექირავნობის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ იპოთეკის უფლების რეგისტრაცია;
- ✓ უფლების წინასწარი რეგისტრაცია;
- ✓ საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლების რეგისტრაცია;
- ✓ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების რეგისტრაცია;
- ✓ მიბმული ვალდებულების რეგისტრაცია;
- ✓ უძრავი ქონების ლეგალიზების რეგისტრაცია;
- ✓ მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების რეგისტრაცია;

- ✓ ტყის ფონდის ცვლილების რეგისტრაცია;
- ✓ უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია;
- ✓ სასამართლო აქტის საფუძველზე უფლების რეგისტრაცია.

დეტალური ინფორმაცია ცალკეული სახის სარეგისტრაციო მომსახურებაზე იხ. ვებ-გვერდზე: http://psh.gov.ge/main/all_services/3/111/112

უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი, ბინა) რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - **“საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო”-ში.**

სააგენტოს სათაო ოფისი

- მის.: თბილისი, სანაპიროს ქ. N2
- ტელ.: (+995 32) 405 405
- ელ. ფოსტა: info@napr.gov.ge
- ვებ. გვერდი: www.napr.gov.ge
- სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი; 09:00 -18:00 სთ.

სააგენტოს ტერიტორიული (რეგიონული) სამსახურები:

- იმერეთის რეგიონული ოფისი - ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძისქ. #20
- სამეგრელოს რეგიონული ოფისი - ქ. ზუგდიდი, თეატრის ქ. #2
- კახეთის რეგიონული ოფისი - ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. N 3
- ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი - ქ. რუსთავი, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი - ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩის მიმდებარედ
- გურიის რეგიონული ოფისი - ქ. ოზურგეთი, ი. პეტრინის ქ. N 9
- აჭარის რეგიონული ოფისი - ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. N 7
- შიდა ქართლის რეგიონული ოფისი - ქ. გორი, დ. გურამიშვილის ქ. N5-ის მიმდებარედ.

მუნიციპალიტეტების მიხედვით სააგენტოს ფილიალების მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://napr.gov.ge/p/812>

იუსტიციის სახლსა და მის ფილიალებში ხდება როგორც პირის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია, ასევე მემკვიდრეობით, ნასყიდობით, ჩუქებით მიღებული უძრავ ქონების რეგისტრაციაც. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://psh.gov.ge/main/menu/3>

მოძრავი ქონების რეგისტრაცია

მოძრავი ქონება იურიდიული ცნებაა და მოიცავს ყველა უფლებას, ინტერესსა და სარგებელს რაც დაკავშირებულია უძრავი ნივთის გარდა სხვა ნივთების საკუთრებასთან.

მოძრავი ქონების ელემენტები შეიძლება იყოს მატერიალური, როგორცაა, მაგალითად მოძრავი პირადი ნივთები, ან არამატერიალური, მაგალითად ვალი ან პატენტი. მოძრავი ქონების ელემენტებია მანქანა - მოწყობილობები და დანადგარები, ასევე სატრანსპორტო საშუალებები.

საქართველოში მოძრავი ქონებიდან რეგისტრაციას ექვემდებარება სატრანსპორტო საშუალება და იარაღი. მათ რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია

ქვეყანაში 90 დღეზე მეტი ვადით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალების დროებითი რეგისტრაცია ხორციელდება შსს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, მიუხედავად საცხოვრებელი თუ იურიდიული მისამართისა. ქვეყნის ფარგლებს გარედან საქართველოში რეგისტრაციის მიზნით შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დარეგისტრირება უნდა მოხდეს 60 დღის

განმავლობაში.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პირველად რეგისტრაციისათვის მესაკუთრის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ უნდა იქნას:

- განცხადება (ივსება ადგილზე);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დათვალიერების აქტი;
- კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანომრე ნიშნის საფასური 35 ლარი; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის საფასური 35 ლარი);
- შიდა ტრანზიტი.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაცია ან დროებითი რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულების შესრულების ან ასეთი ვალდებულების წარმოუშობლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილის ან მესაკუთრის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის შეცვლისას სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებისათვის აუცილებელია სააგენტოში შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- ✓ განცხადება (ივსება ადგილზე);
- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა;
- ✓ დათვალიერების აქტი;
- ✓ პირადობის მოწმობა ან იურიდიული მისამართის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ კანონით განსაზღვრული საფასურის (35 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დეტალური ინფორმაცია რეგისტრაციის პირობებზე იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/vehicle/registration>

სატრანსპორტო საშუალებების გადაფორმება

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გადაფორმება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის შეცვლისას (რეალიზაცია, ჩუქება, გაცვლა და ა.შ)

ამ შემთხვევაში მომსახურების სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნას:

- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირადობის მოწმობა;
- დათვალიერების აქტი (იბეჭდება ადგილზე);
- ერთობლივი განცხადება;
- კანონით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანომრე ნიშნის საფასური - 35 ლარი; სატრანსპორტო სარეგისტრაციო მოწმობის საფასური - 35 ლარი).
- დეტალური ინფორმაცია გადაფორმების პირობებზე იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/vehicle/transfer>

სატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღება

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში **მემკვიდრეს შეუძლია სატრანსპორტო საშუალება გაიფორმოს** თავის სახელზე, ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო ცნობის საფუძველზე, რომელიც გაიცემა გარდაცვალებიდან 6 თვეში. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის გარდაცვალებიდან გასულია 6 თვეზე მეტი, ცნობა გაიცემა სასამართლოს მიერ.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ახალ მესაკუთრეზე გადაფორმებისთვის მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება (ივსება ადგილზე);
- ✓ სამკვიდრო მონძობა (ნოტარიუსის ან სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი);
- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მონძობა;
- ✓ დათვალიერების აქტი;
- ✓ პირადობის მონძობა;
- ✓ კანონით განსაზღვრული საფასურის (სანომრე ნიშნის საფასური - 35 ლარი; სატრანსპორტო სარეგისტრაციო მონძობის საფასური - 35 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/vehicle/inheritance>

მოდრავი ქონების გირავნობისა (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა) და ლიზინგის უფლების რეგისტრაცია, ასევე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხდება იუსტიციის სახლსა და მის ტერიტორიულ განყოფილებებში (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://psh.gov.ge/main/all_services/257/258), მაგრამ ცნობას სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ - **ყადაღის, გირავნობის, საგადასახადო გირავნობისა და ძებნის შესახებ გაცემს შსს მომსახურების სააგენტო** (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/notice/vehicle-legal-status>). ამასთან, სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციასა და გირავნობის მონძობის გაცემას ახროციელებს შსს მომსახურების სააგენტო.

1.2.4. მართვის მონძობა



საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, **სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ კატეგორიებად :**

- კატეგორია "A" - მოტოციკლი;
- კატეგორია "B" - ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „A1“ ქვეკატეგორიას ან „A“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, არ აღემატება 8-ს. აგრეთვე „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს, ან „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს;
- კატეგორია "C" - ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1“ ან „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3500 კგ-ს, აგრეთვე „C“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;
- კატეგორია "D" - ავტომობილი, რომელიც მგზავრთა გადასაცვანადაა განკუთვნილი და რომლის დასასხდომი ადგილები, მძღოლის ადგილის გარდა 8-ს აღემატება, აგრეთვე „D“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 750 კგ-ს არ აღემატება;
- კატეგორია "BE" - "B" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750კგ-ს და ავტომობილის დაუტვირთავ მასას, აგრეთვე „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს;

- კატეგორია “CE” - “C” კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;
- კატეგორია “D” - “D” კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;
- კატეგორია “T” - სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ან მუხლუხა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, აგრეთვე „T“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;
- კატეგორია “S” - საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ან მუხლუხა სპეციალიზებული თვითმავალი მანქანა, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არის 6 კმ/სთ-ზე მეტი და 45 კმ/სთ-ზე ნაკლები, აგრეთვე „S“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან.

“A,B,C,CE,D,DE” - კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ ქვეკატეგორიებად:

- ქვეკატეგორია “A1” - მოტოციკლი, რომლის ძრავას მუშა მოცულობა არ აღემატება 125 სმ³-ს, ხოლო მაქსიმალური სიძლიავრე - 11 კვტ-ს (მსუბუქი მოტოციკლი);
- ქვეკატეგორია “B1” - მოტორიზებული ტრიციკლი და კვადროციკლი;
- ქვეკატეგორია “C1” - ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1“ ქვეკატეგორიას ან „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს, აგრეთვე „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;
- ქვეკატეგორია “D1” - მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილი, რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;
- ქვეკატეგორია “C1E” - „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს;
- ქვეკატეგორია “D1E” - „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომელიც არ არის განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად და რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს.

ნებისმიერი კატეგორიის მართვის უფლების მისაღებად პირმა უნდა ჩააბაროს თეორიული და პრაქტიკული გამოცდა. **თეორიულ გამოცდაზე** დასაშვებად კანდიდატმა უსს მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება (ივსება ადგილზე);
- ✓ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV 100/ა);
- ✓ პირადობის მოწმობა;
- ✓ კანონით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. (მართვის უფლების მისაღებ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვების საფასური - 40 ლარი; მართვის მოწმობის გაცემის საფასური - 15 ლარი, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკილებისა, როგორცაა სტუდენტის პირველადი დაშვება მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე და მართვის მოწმობის გაცემა - 15 ლარი, ასევე ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკულ გამოცდაზე ერთჯერადი დაშვებისთვის 40 ლარი);
- ✓ სატრანსპორტო საშუალების იმ კატეგორიის შესაბამისი სწავლების დამადასტურებელი მოწმობა, რომელზეც გავლილია პროფესიული მომზადება ან გადამზადება (“A” და “B” კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებად დასაშვებია

მძღოლობის კანდიდატთა დამოუკიდებელი მომზადება, გარდა "B" კატეგორიის მართვის უფლების მძღოლობის კანდიდატისა, რომელსაც არ შესრულება 18 წელი).

კანდიდატს საშუალება აქვს გამოცდისთვის განკუთვნილი ტესტი სასურველ ენაზე ჩააბაროს, მათ შორის: ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენაზე. საგამოცდო ტესტების გაცნობის საშუალება პირს აქვს შსს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ:

<https://my.sa.gov.ge/Account/Login?ReturnUrl=%2f>

თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატს საშუალება აქვს 30 დღის განმავლობაში, 7 დღეში ერთხელ გავიდეს პრაქტიკულ გამოცდაზე ულიმიტოდ (უფასო გასვლა), ამასთან მას აქვს საშუალება გავიდეს რიგგარეშე ფასიან გამოცდაზე, რომლის საფასურია 30 ლარი. აღნიშნული საფასური არ ეხება ავტომობილზე გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკულ გამოცდას, რომელზეც ერთჯერადი დაშვების საფასურია 40 ლარი. თეორიულ გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, თეორიულ გამოცდაზე განმეორებით დაიშვება 7 დღის შემდეგ, საფასურის თავიდან გადახდის შემთხვევაში.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/driver-license/theoretical-test>

პრაქტიკულ გამოცდაზე დასაშვებად, ნებისმიერი კატეგორიის მართვის მოწმობის მსურველს უნდა ქონდეს ჩაბარებული თეორიული გამოცდა. გამოცდის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში კანდიდატს, 7 დღეში ერთხელ, შეუძლია პრაქტიკულ ნაწილზე გასვლა. შეზღუდვა არ არის დაწესებული ფასიანი გასვლის შემთხვევებში. იმ შემთხვევაში თუ 30 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, კანდიდატი თეორიულ გამოცდას აბარებს თავიდან.

პრაქტიკული გამოცდის შეფასების წესი და ელემენტები შეგიძლიათ იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/driver-license/practical-test>

მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი **მართვის მოწმობის ვადები** განისაზღვრება კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების მიხედვით:

- ✓ A, B, BE, T, S, A1, B1 - კატეგორია და ქვეკატეგორიები - მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 15 წლით;
- ✓ C, CE, D, DE, C1, C1E, D1, D1E და ტრამვაის -კატეგორია და ქვეკატეგორიები - მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით;
- ✓ საერთაშორისო მართვის მოწმობა - განურჩევლად კატეგორიის და ქვეკატეგორიების - მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 3 წლით.

მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ მართვის მოწმობის შეცვლა მოხდება მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) წარდგენის საფუძველზე.

ზღვრული ასაკი სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

- "A" კატეგორიის მისაღებად გამოცდებზე დაიშვებიან 24 წლის ასაკიდან (21 წლიდან, თუ ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მოთხოვნამდე არანაკლებ 2 წლით ადრე პირს მინიჭებული აქვს „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, "A1" კატეგორია - 17 წლიდან);
- "B" კატეგორია - 17 წლიდან;
- "B1" კატეგორია - 16 წლიდან;
- "BE" კატეგორია - 18 წლიდან;
- "C" კატეგორია - 21 წლიდან;
- "C1" კატეგორია - 18 წლიდან;
- "CE" კატეგორია - 21 წლიდან;
- "C1E" კატეგორია - 18 წლიდან;
- "D" კატეგორია - 24 წლიდან;

- “D1” კატეგორია - 21 წლიდან;
- “DE” კატეგორია - 24 წლიდან;
- “D1E” კატეგორია - 21 წლიდან;
- “T” კატეგორია - 17 წლიდან;
- “S” კატეგორია - 18 წლიდან;
- “ტრ” კატეგორია - 21 წლიდან.

შენიშვნა: პირს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ უფლების მოქმედების ვადაში ეკრძალება:

- მგზავრთა გადაყვანა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებით, ტაქსით ან/და შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით;
- შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, მძღოლად (გარდა „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მუშაობა.

მართვის მონმობის შეცვლა-აღდგენა

სატრანსპორტო საშუალების მართვის მონმობის შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს:

- მართვის მონმობის მფლობელის მოთხოვნა;
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მონმობის საფუძველზე ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მონმობის გაცემა;
- მართვის მონმობის მოქმედების ვადის გასვლა;
- მართვის მონმობის გამოყენებისთვის უვარგისობა (გაცვეთა, დაზიანება);
- მართვის მონმობაში ასახული რომელიმე მონაცემის შეცვლა ან უზუსტობის გამოსწორება;
- მართვის მონმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების შეცვლა ან უზუსტობის გამოსწორება;
- მართვის მონმობაში აღნიშნული მონაცემების მართვის მონმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერებთან შეუსაბამობა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

მართვის მონმობის შესაცვლელად მომსახურების სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება (ივსება ადგილზე);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შესაცვლელი მართვის მონმობა;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV-100/ა);
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ქვითრის საფასურია 15 ლარი).

დაკარგული მართვის მონმობის აღსადგენად დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება დაკარგული მართვის მონმობის აღდგენის თაობაზე (ივსება ადგილზე);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV 100/ა);
- ✓ საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები (ქვითრის საფასურია 35 ლარი).

შეცვლილი მართვის მონმობა გაიცემა იმავე დღეს.

უცხო ქვეყნის მართვის მონშობის შეცვლა

საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ვადიანი მართვის მონშობა, შესაცვლელად შსს მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება (ივსება ადგილზე);
- ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მონშობა;
- ✓ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მონშობა;
- ✓ მართვის მონშობის დასტური (მძღოლის მონშობის დასტური უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამონშებული. დოკუმენტი არ საჭიროებს ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამონშებას თუ იგი შედგენილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ასევე მიზანშეწონილია, მითითებული იყოს მართვის მონშობით გათვალისწინებული კატეგორიის განსაზღვრება);
- ✓ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV-100/ა);
- ✓ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითრის საფასურია 15 ლარი).

შეცვლილი მართვის მონშობას გაიცემა იმავე დღეს.

1.2.5. ცნობა ნასამართლობის შესახებ

ნასამართლობის შესახებ ცნობას გასცემს სსიპ - საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო. ცნობაში აისახება ინფორმაცია პირის ნასამართლობისა და ძებნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების ან/და სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნასამართლობის ცნობის ასაღებად, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს მომსახურების სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს და წარადგინოს:

- ✓ განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) (ივსება ადგილზე);
- ✓ პირადობის მონშობა, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია - იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ თუ ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა მოითხოვა შესამე პირმა სააგენტოში ცნობის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში).

ცნობა გაიცემა უფასოდ განაცხადის შეტანიდან ხუთი სამუშაო დღის შემდეგ და **მოქმედებს მისი გაცემიდან (დამზადებიდან) 15 კალენდარული დღის განმავლობაში**. დაჩქარებული წესით 1 სამუშაო დღეში ცნობის აღების საფასურია 25 ლარი, ხოლო 3 სამუშაო დღეში - 15 ლარი.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/notice/person-conviction>

1.2.6. ცნობა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის შესახებ

შსს მომსახურების სააგენტო გასცემს ცნობას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის შესახებ, სადაც შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების საფუძველზე ასახულია ინფორმაცია პირის მიერ საქართველოს საზღვრის

კვეთის შესახებ (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.sa.gov.ge/p/notice/border-crossing>).

საზღვრის კვეთის ცნობის ასაღებად დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) (ივსება სააგენტოში);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მომსახურების განწვევა ხორციელდება მესამე პირის მოთხოვნით ;
- ✓ მომსახურების განწვევისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა გაიცემა 5 დღეში და მისი საფასურია 20 ლარი; არსებობს დაჩქარებული მომსახურებაც. ცნობის 1 სამუშაო დღეში გაცემის საფასურია 45 ლარი, ხოლო სამ სამუშაო დღეში - 35 ლარი).

შსს მომსახურების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია

სათაო ოფისი:

- მის.: ქ. თბილისი, წითელი ხიდის გბტ. 21კმ
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00
- კვირა: 10:00 - 16:00

თბილისის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 5ა
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ბათუმის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ბათუმი, სულხან საბას ქ. #2
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ქუთაისის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი #19 ბ
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

გორის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. გორი, სუხიშვილის ქ. #40
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

თელავის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი #5
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ზუგდიდის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ზუგდიდი, შ. ხუბულავას ქ. #9
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ფოთის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. #146
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ახალციხის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი #2
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ახალქალაქის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქ. #50
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ოზურგეთის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ოზურგეთი, ნატანები, წვერმაღალას გზის 1კმ
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

ამბროლაურის სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. ამბროლაური
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

მესტიის სერვის-ცენტრი

- მის.: მესტია
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

საჩხერეს სერვის-ცენტრი

- მის.: ქ. საჩხერე, საჩხერე-ჭიათურის გზატკეცილი 4კმ
- ელ. ფოსტა: info@sa.gov.ge
- ტელ.: (+995 32) 241 91 91
- ორშაბათი - პარასკევი: 09:30 - 17:30
- შაბათი: 09:30 - 16:00

წყარო: <https://www.sa.gov.ge/contact>

1.3. საცხოვრისით უზრუნველყოფა



1.3.1. საცხოვრისით უზრუნველყოფის შესაძლებლობები

საქართველოდან წასული მიგრანტების დიდი ნაწილს, წასასვლელად საჭირო ფინანსების შესაგროვებლად, უწევს საცხოვრებლის გაყიდვა ან დაგირავება, ან ვალის აღება. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (განსაკუთრებით, დაუგეგმავი დაბრუნებისას) მათ ექმნებათ საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემები და საჭიროებენ მხარდაჭერას.

დღეისათვის **დაბრუნებულ მიგრანტების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამები საქართველოში არ არსებობს**, თუ არ ჩავთვლით “საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამით” გათვალისწინებულ დახმარებას განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში დროებით (მაქსიმუმ 4 დღით) სასტუმროში ცხოვრების შესაძლებლობას (დეტალური ინფორმაცია იხ. პარაგრაფში 3.1).

საქართველოში საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები მხოლოდ ცალკეული კატეგორიის მოქალაქეებზე ვრცელდება. ეს კატეგორიებია:

- იძულებით გადაადგილებული პირები (იკპ);
- სტიქიით შედეგად დაზარალებულები (ე.წ. ეკომიგრანტები);
- უსახლკაროები.

დაბრუნებულ მიგრანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო თუ მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვა, თუ იგი მიეკუთვნება აღნიშნული კატეგორიებიდან ერთ-ერთს და აკმაყოფილებს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

- **იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამები**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს **“დევნილთათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციისა”** (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://mra.gov.ge/geo/static/2653>) და **“დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის” სახელმწიფო პროგრამებს**. ეს უკანასკნელი მოიცავს აქტივობებს შემდეგი მიმართულებებით: ა) რეაბიტირებული და ახალაშენებულ შენობებში დევნილთა განსახლება; ბ) დევნილი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლებისა და ბინების შექმნა; გ) კერძო საკუთრებაში არსებული დევნილთა ჩასახლების ობიექტების გამოსყიდვა და დევნილებისთვის გადაცემა.

დეტალური ინფორმაცია ამ პროექტების შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://mra.gov.ge/geo/stat-ic/3189>.

“იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში” აქცენტი კეთდება საცხოვრებლის მშენებლობასა და სოფლად სახლის შექმნაზე; შედარებით ნაკლები იქნება ბინების რეაბილიტაცია, რაც იმითაა განპირობებული, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კარკასული შენობების რესურსი ამონურვადია (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://mra.gov.ge/res/docs/2017022718021215542.pdf>)

- **“სტიქიით დაზარალებულთა განსახლების” სახელმწიფო პროგრამა**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს ასევე **“სტიქიით დაზარალებულთა განსახლების”** სახელმწიფო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ხდება იმ ოჯახებისათვის საცხოვრებლის შესყიდვა (25 ათას ლარამდე), რომლებიც დაზიანდნენ სტიქიური მოვლენების შედეგად და ექვემდებარებიან გადაადგილებას (ე.წ. ეკომიგრანტები). პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებზე, წესებსა და პირობებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტს):

მის.: 0186, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N 15ა

ცხელი ხაზი: (995 32) 2 43 11 00

ტელ.: (995 32) 2 31 15 24

ელ. ფოსტა: info@mra.gov.ge; d.kaikacishvili@mra.gov.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო 2016 წლიდან ასევე ახორციელებს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამას.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=345440&gid=3#.WRW4EVWGM8>

• **უსახლკაროების საცხოვრისით უზრუნველყოფა**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **უსახლკაროების საცხოვრისით უზრუნველყოფა** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებაა.

საქართველოს მუნიციპალიტეტები, ყოველწლიურად დამტკიცებული სოციალური პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ **უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრისის შეძენას ან დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფას**. სამწუხაროდ, პროგრამული თანხების ოდენობა ბევრად ნაკლებია არსებულ საჭიროებაზე, მაგრამ მაინც მისასალმებელია უსახლკარო მოქალაქეებისთვის ამ ტიპის მხარდაჭერა. უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თუ მუდმივი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესებსა და პირობებს ადგენს ადგილობრივი მმართველობა (საკრებულო).

ქ. თბილისში ფუნქციონირებს ააიპ - **თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი**, სადაც ხდება ქ. თბილისში მცხოვრებ მიუსაფარ (უსახლკარო) პირთა თავშესაფრით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით და საჭიროებებით, მათ შორის, საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა.

პროგრამის ბენეფიციარები არიან ქ. თბილისში მცხოვრები მიუსაფარი პირები.

ბენეფიციარები თავშესაფარში თვითდინებით ან საპატრულო პოლიციის მიერ მიყვანის შედეგად შეიძლება მოხვდნენ. მისამართი: მოსკოვის გამზირი, მე-18 კორპუსის მიმდებარედ. (იხ. ქ. თბილისის მერიის 2017 წლის სოციალური პროგრამების ქვეპროგრამა “თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა” - <http://tbilisi.gov.ge/page/3167>).

“ქ.თბილისის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის” თანახმად, ფიზიკური პირი უსახლკაროდ დარეგისტრირდება, თუ აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

- ა) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ბ) არ აქვს საკუთრების, მართლობითი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე;
- გ) საკუთრებაში, მართლობითი მფლობელობაში ან სარგებლობაში არ აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა სხვა უძრავი ქონება ან, როცა პირს ასეთი ქონება გააჩნია და იგი ასაბუთებს, რომ აღნიშნული ქონება სხვა შემოსავლებთან ერთობლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის;
- დ) არ აქვს შემოსავალი, ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში, პირი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი სხვა ქონებასთან ერთობლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის;
- ე) არ ფიქსირდება მის მიერ სახელმწიფო საზღვრის ინტენსიური გადაკვეთა, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების გამო სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ, შესაბამისი ცნობის წარმოდგენით.

დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3066600>

მსგავსი ტიპის მუნიციპალური პროგრამები აქვთ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს.

ქ. თბილისში მოქმედებს ასევე “დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის”

მუნიციპალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც გამგეობას ავარიული შენობიდან მოსახლეობა გაყავს ქირით, განუსაზღვრელი ვადით.

დროებითი დამის თავშესაფარი ფუნქციონირებს ასევე ქ. ბათუმში. აჭარის არ-ში ხორციელდება **“მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის”** სახელმწიფო პროგრამაც.

აღსანიშნავია ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით იგეგმება **“იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს”** პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ხელმისაწვდომი საცხოვრისით უზრუნველყოს ის ოჯახები, რომელთაც საკუთარი ხარჯებით ღირსეულ საცხოვრისზე ხელი არ მიუწვდებათ.

ზოგიერთი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაცია (მაგალითად, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თბილისის, ქუთაისი, ბათუმი, ბოლნისი) ახორციელებს პროგრამას **“სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში”**, რომელიც გათვალისწინებულია სოციალურად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის. სოციალურ საცხოვრისში განსათავსებელი ოჯახების იდენტიფიკაციას ახდენს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუ დაბრუნებული მიგრანტი არ არის აღნიშნული სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ბენეფიციარი, მას რჩება მხოლოდ ის შესაძლებლობა, რომ იყიდოს, დაიქირაოს ან გირათი აიღოს საცხოვრებელი.

1.3.2 საცხოვრისის ფასი



საცხოვრისის ყიდვა შესაძლებელია როგორც ადრე აშენებულ, ისე მშენებარე კორპუსებში. ფასები მნიშვნელოვნად განსხვავებულია არა მარტო რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, არამედ ქალაქის უბნების მიხედვითაც. ფასები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ასევე საცხოვრისის აშენების დროისა და მდგომარეობის მიხედვით.

საქართველოს დიდი ქალაქების მიხედვით ერთ-ოთახიანი იზოლირებული ბინის (დაახ. 40 მ2) ფასი საშუალოდ შემდეგია:

- ქ. თბილისი - ადრე აშენებული ერთ-ოთახიანი იზოლირებული ბინის ფასი მერყეობს 20-დან (გლდანში) 45 ათას აშშ დოლარამდე (ვაკეში); ახალაშენებულ კორპუსებში იმავე ფართის ბინა ე.წ. “შავი კარკასით” ღირს 16-დან 35 ათას აშშ დოლარამდე, დასრულებული რემონტით - 30-დან 55 ათას აშშ დოლარამდე.
- ქ. ქუთაისი - ადრე აშენებული ბინის ფასი 6-დან 20 ათას აშშ დოლარამდეა, ახალაშენებულ კორპუსებში იმავე ფართის ბინა ე.წ. “შავი კარკასით” ღირს 12-20 ათასი აშშ დოლარი, დასრულებული რემონტით - 24-35 ათასი აშშ დოლარი.
- ქ. ბათუმი - ადრე აშენებული ბინის ფასი 18-დან 30 ათას აშშ დოლარამდეა, ახალაშენებულ კორპუსებში იმავე ფართის ბინა ე.წ. “შავი კარკასით” - 15-40 ათასი აშშ დოლარი, დასრულებული რემონტით - 20-45 ათასი აშშ დოლარი.
- ქ. რუსთავი - ადრე აშენებული ბინის ფასი 10-25 ათასი აშშ დოლარია.
- ქ. თელავი - ადრე აშენებული ბინის ფასი 10-20 ათასი აშშ დოლარია.
- ქ. ზუგდიდი - ადრე აშენებული ბინის ფასი 5-20 ათასი აშშ დოლარია.

გირაოს ოდენობა, ცხადია, დამოკიდებულია მეპატრონისა და დამგირავებლის შეთანხმებაზე, თუმცა მასზე არსებით გავლენას ახდენს დასაგირავებელი საცხოვრისის ფართი, მდებარეობა, დაგირავების ვადა და სხვა. საქართველოს დიდი ქალაქების მიხედვით გირაოს ოდენობა საშუალოდ შემდეგია:

- ქ. თბილისი - 8-30 ათასი აშშ დოლარი;
- ქ. ქუთაისი - 5-10 ათასი აშშ დოლარი;
- ქ. ბათუმი - 8-20 ათასი აშშ დოლარი;
- ქ. რუსთავი - 5-15 ათასი აშშ დოლარი;
- ქ. თელავი - 3-6 ათასი აშშ დოლარი;

- ქ. ზუგდიდი - 3-15 ათასი აშშ დოლარი.

ქირა: საქართველოს დიდი ქალაქების მიხედვით ერთ-ოთახიანი იზოლირებული ბინის (დაახ. 40 მ2) ქირის ოდენობა საშუალოდ შემდეგია:

- ქ. თბილისი - 150-450 აშშ დოლარი;
- ქ. ქუთაისი - 60-100 აშშ დოლარი;
- ქ. ბათუმი - 100-200 აშშ დოლარი;
- ქ. რუსთავი - 80-180 აშშ დოლარი;
- ქ. თელავი - 50-250 აშშ დოლარი;
- ქ. ზუგდიდი - 50-300 აშშ დოლარი.

დეტალური ინფორმაცია საცხოვრისის ფასების შესახებ იხ. ვებ-გვერდებზე:

- www.myhome.ge
- www.place.ge
- www.saqme.ge
- www.home.ge
- www.allproperty.ge

1.3.3. იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები



საცხოვრებლის (ბინა, კერძო სახლი) შესაძენად, გასარემონტებლად ან ასაშენებლად კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ იპოთეკურ სესხებს.

იპოთეკური სესხის მისაღებად აუცილებელი წინაპირობაა მისი უზრუნველყოფა უძრავი ქონებით (საცხოვრებელი ბინა, სახლი, კომერციული ფართი, მიწის ნაკვეთი). **იპოთეკური სესხის** მაქსიმალური ოდენობა და სესხით სარგებლობის პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, წამყვანი კომერციული ბანკები იპოთეკური სესხით დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ ასეთ პირობებს:

- **“თი ბი სი” ბანკი** - სესხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 400 000 ლარს; სესხის მაქსიმალური ვადა 180 თვე; სესხის გაცემის საკომისიო - 0,4%; საპროცენტო განაკვეთი - 8,5%-დან; ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 10,1%-დან. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/loans>
- **საქართველოს ბანკი** - სესხის თანხა 3 000 აშშ დოლარიდან (ეკვივალენტი ლარში); მაქსიმალური ვადა - 240 თვე; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 6.5%-დან; წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 6.9%-დან. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://bankof-georgia.ge/retail/ge/loans/mortgages/ipo-plus>
- **პროკრედიტ ბანკი** - მაქსიმალური თანხა - 220 000 აშშ დოლარი ან 200 000 ევრო; სესხის მაქსიმალური ვადა 144 თვე; საპროცენტო განაკვეთი - 6%; ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 6,5%. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://www.procreditbank.ge/index.php?item_id=50&component=STATIC_CONTENT&menu_id=1&sub_menu_id=41

საცხოვრებლის რემონტისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების, ასევე სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკისა თუ მობილური ტელეფონის შესაძენად შესაძლებელია **სამომხმარებლო სესხის** აღება. სამომხმარებლო სესხებს გასცემს თითქმის ყველა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხით სარგებლობის პირობები განსხვავებულია. წამყვანი ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პირობები ასეთია:

- **“თი ბი სი” ბანკი** - სესხის მაქსიმალური ოდენობა - 160 000 ლარი ან 100 000 ლარის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში; სესხის გაცემის საკომისიო - 2%, მინ. 20 აშშ დოლარი; სესხის ვადა - 3-დან 120 თვემდე; საპროცენტო განაკვეთი - 11,5%-დან; ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი - 15,1%-დან.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/loans>

- **საქართველოს ბანკი** - სესხის მაქსიმალური ოდენობა - 140 000 ლარი (ეკვივალენტი სხვა ვალუტაში); მაქსიმალური ვადა - 120 თვე; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 9%-დან; წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 14,41%-დან.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://bankofgeorgia.ge/retail/ge/loans>

- **პროკრედიტ ბანკი** - მაქსიმალური თანხა - 26 000 ლარი; სესხის მაქსიმალური ვადა 36 თვე; საპროცენტო განაკვეთი - განისაზღვრება ინდივიდუალურად.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://www.procreditbank.ge/index.php?item_id=47&component=STATIC_CONTENT&menu_id=1&sub_menu_id=24

- **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “ზიპკრედიტი”** - მაქსიმალური თანხა 5 000 ლარი; მაქსიმალური ვადა - 36 თვე; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 71% (თვეში 5,9%). დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.zipcredit.ge/faq/>.

ინფორმაცია საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებისა და მათი კოორდინატების შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529>

ნაწილი 2. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები

2.1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოს ეკონომიკა ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. 2016 წელს **მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)** მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში, წინასწარი მონაცემებით⁴, 33,921.6 მლნ. ლარი, ხოლო მუდმივ (2010 წლის) ფასებში 27,044.8 მლნ. ლარი შეადგინა. მშპ-ს რეალური ზრდა 2015 წელთან შედარებით 2,7%-ით განისაზღვრა.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (17,1%) და ვაჭრობა (16,3%), შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,1%), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,3%), სახელმწიფო მმართველობა (9,1%), მშენებლობა (8,3%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განევა (6,6%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,8%).

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ** 2016 წელს 1,645.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5,2%-ით აღემატება 2015 წლის დაბუსტებულ მონაცემებს. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის მხრივ პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი (35%), მეორეზე - თურქეთი (17%), ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო (7 %). ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტის სექტორში განხორციელდა და 658 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40 %-ია; მეორე ადგილზე იმყოფება ენერჯეტიკის სექტორი 203 მლნ. აშშ დოლარით (12%), ხოლო მესამეზე - მშენებლობა 163 მლნ. აშშ დოლარით (10%).

წინასწარი მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში საქონლით **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე), წინასწარი მონაცემებით, 9,401.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1%-ით ნაკლებია; აქედან **ექსპორტი** 2,112.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (4,2%-ით ნაკლები, ვიდრე 2015 წელს), ხოლო იმპორტი 7,288.3 მლნ. აშშ დოლარს (2015 წელთან შედარებით, 0,1%-ით ნაკლები).

წინასწარი მონაცემებით, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წელს 5,175.4 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე 1,657.0 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც 1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2016 წლის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1,526.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (881.2 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (717.1 მლნ. აშშ დოლარი).

2016 წელს **ექსპორტის სასაქონლო ჯგუფებიდან პირველ ხუთეულში შედის:**

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები (17,3%);
- თხილი და სხვა კაკალი (9,9%);
- ფეროშენადნობები (9,4%);
- მსუბუქი ავტომობილები (9,3%);
- ყურძნის ნატურალური ღვინოები (6,3%).

საქართველოს **იმპორტში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები** (პირველი ხუთეული) შემდეგია:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები (8,5%);
- მსუბუქი ავტომობილები (6,5%);
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული (4,5%);
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (4,3%);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები (3,4%).

საწარმოთა ბრუნვამ 2016 წლის ოთხ კვარტალში 59,914.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5,1%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. **პროდუქციის გამოშვება** 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, 3,2%-ით გაიზარდა და 30,962.6 მლნ ლარი შეადგინა.

4 დაბუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2017 წლის 15 ნოემბერს.

2016 წელს, 2010 წელთან შედარებით, ქვეყანაში პროდუქციის გამოშვება 2,3-ჯერ გაიზარდა. ეკონომიკის სექტორების მიხედვით, პროდუქციის გამოშვების ზრდის მაჩვენებლები შემდეგია: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში - 2,8-ჯერ, მრეწველობაში - 1,8-ჯერ, მშენებლობაში - 3,4-ჯერ, ვაჭრობაში - 2,6-ჯერ, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში - 3,4-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 1,7-ჯერ.

(წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://geo-stat.ge/>)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით, 2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3,5% იქნება, მსოფლიო ბანკის (WB) პროგნოზით კი - 5,2%. ამავე ორგანიზაციების პროგნოზით, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 1-3% იქნება.

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://www.economy.ge/?p=11>.

2.2. ბიზნეს გარემოს სიტუაციური ანალიზი

2.2.1. ბიზნეს გარემოს ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს ბიზნეს გარემო განვითარების დადებითი ტენდენციებით ხასიათდება, რაც განპირობებულია ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმებით, შესაბამისი ინსტიტუციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, ასევე ქვეყანაში არსებული სტაბილური ბიზნეს გარემოთი.



უკანასკნელ 12 წელიწადში ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა არსებითად გაუმჯობესდა და გაცილებით ლიბერალური გახდა: გამარტივდა რეგისტრაციის პროცედურები, შემცირდა გადასახადების ოდენობა და განაკვეთები, გამარტივდა ლიცენზიისა და ნებართვების აღების, ასევე საბაჟო პროცედურები; გაუმჯობესდა ბიზნესთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყებების (სამინისტროები, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების) საქმიანობა, თუმცა გარკვეული გამოწვევები ამ სფეროში მაინც არსებობს.

დღეისათვის საქართველოში არსებული **ბიზნეს გარემოს ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:**

- ბიზნესის დაწყება საქართველოში, საკანონმდებლო კუთხით, ძალიან მარტივია: ფინანსური ან პროცედურული ბარიერები ბიზნესის დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს;
- ბიზნეს გარემოს მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიუხედავად, იგი მაინც საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. ამასთან, კანონქვემდებარე აქტების სიმრავლე, გარკვეულ პრობლემებს უქმნის საქართველოში მოქმედ ბიზნესს;
- ქვეყანაში ძირითადად უზრუნველყოფილია თავისუფალი კონკურენტული გარემო, თუმცა ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების (ფინანსური და სხვ.) ხელმისაწვდომობა ისევ არათანაბარია;
- სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, მათთვის ხარისხიანი საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისის შეთავაზება, ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობით მიმდინარეობს დამწყებ და მოქმედ მენარმეთათვის ბიზნესის მართვისათვის საჭირო სამეწარმეო ცოდნისა და უნარების განვითარების პროგრამები, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ქართულ ენაზე ინოვაციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და მათი ხელმისაწვდომობის სირთულე (განსაკუთრებით, რეგიონებში);
- გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, მაინც რთულია ბიზნეს სესხების აღება, მაღალია საპროცენტო განაკვეთები და მოუქნელია სესხის უზრუნველყოფის პირობები;
- გარკვეულ სექტორებში ბიზნესისათვის პრობლემურია შრომის ბაზარი, ვინაიდან დამქირავებელთა ნაწილს უჭირს სასურველი პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრის მოძიება

და დაქირავება;

- ქართულ ბაზარზე მაღალია და მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ქვეყნის შიდა ბაზრის მცირე ზომითა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლა-დამკვიდრების სირთულეებით.

მთლიანობაში, **საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ლიბერალური და ინვესტორებისთვის მიმზიდველია:**

- ✓ მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ (Doing Business) ყოველწლიური რეიტინგის (რეიტინგი ფასდება ათი კრიტერიუმის მიხედვით) 2017 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველო 7 პოზიციით დაინაწიდა და 190 ქვეყანას შორის მე-16 პოზიცია დაიკავა;
- ✓ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (The Global Competitiveness Index) აფასებს სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს გარემოს და კონკურენტუნარიანობას (რეიტინგი ეყრდნობა 29 ინდიკატორს, მათ შორის, ინვესტორის წინაშე არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ რისკებს). 2016-2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ ინდექსით, საქართველომ 7 პუნქტით გაიმჯობესა პოზიცია და 138 ქვეყანას შორის 66-ე ადგილიდან 59-ე ადგილზე გადაინაცვლა;
- ✓ 2016 წელს „Fraser Institute“-ის რეიტინგში „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა, წინა წელთან შედარებით, 6 პოზიციით გაუმჯობესდა და 159 ქვეყანას შორის მე-5 პოზიცია დაიკავა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უკვე 20 წელია რაც ყოველწლიურად ქვეყნდება “The Wall Street Journal“-ისა და “The Heritage Foundation“-ის კვლევის საფუძველზე. აღნიშნულ რეიტინგში საქართველო „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფშია. 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველომ 76 ქულიანი შეფასება მიიღო და რეიტინგში 174 ქვეყანას შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

(წყარო: <http://www.oxygen.org.ge/Details/StatementDetails.aspx?fid=29366#.WOiDMGmGOUk>)

დეტალური ინფორმაცია საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების შესახებ იხ. <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=30>

2.2.2. სამენარმეო საქმიანობის რეგისტრაცია



საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ სუბიექტი ეწევა სამენარმეო საქმიანობას, მისი რეგისტრაცია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში სავალდებულოა. აღნიშნულ რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ **სამენარმეო საქმიანობას** განსაზღვრავს როგორც მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე

და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ამავე კანონის თანახმად, **სამენარმეო საქმიანობად არ ითვლება** ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ასეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში რეესტრში ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა ითვლება სამენარმეო საქმიანობად, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არანევრი ხუთი პირი მაინც. შესაბამისად, **სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობის რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებაში მფლობელის ოჯახის არანევრი ხუთი პირი მაინც არის მუდმივად დასაქმებული.**

სამენარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია;

- ინდივიდუალური მენარმე (ინდ. მენარმე);
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);

- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)
- კოოპერატივი.

ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი, ყველა დანარჩენი იურიდიული პირია.

ინდივიდუალური მენარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 3, პუნქტი 1).

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 20).

კომანდიტური საზოგადოება (კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას, ამასთან, საზოგადოების კრედიტორების წინაშე რიგი პარტნიორის (კომანდიტები) პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება, ხოლო სხვა პარტნიორების (კომპლემენტარები) პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის და ისინი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 34).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება შპს-ს კუთვნილი ქონებით. შპს-ს კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. შპს-ს დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 44).

სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 51).

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე (კანონი “მენარმეთა შესახებ”, მუხლი 60). კოოპერატივებს მიეკუთვნება:

- ა) ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;
- გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივები);
- დ) მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;
- ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწვისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;
- ვ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;
- ზ) სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით;
- თ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები;
- ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და

სოციალური საფუძვლები რეგულირდება "მენარმეთა შესახებ" კანონით, თუ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამენარმეო საქმიანობის აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან **ყველაზე ხშირია ინდ. მენარმედ ან შპს-ს რეგისტრაცია. ბოლო დროს იზრდება ინტერესი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართაც**, ვინაიდან საქართველოში ხორციელდება ამ ტიპის სამენარმეო საქმიანობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროექტები.

სამენარმეო საქმიანობის (ბიზნესის) დაწყებისას ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჯობია დარეგისტრირება - ინდ. მენარმედ თუ შპს-ს სახით. აღსანიშნავია, რომ ორივე ფორმას გააჩნია თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები და მათი ცოდნა დაეხმარება მომავალ მენარმეს სწორედ შეარჩიოს მისთვის მისაღები ფორმა.

ინდ. მენარმისა და შპს-ს უპირატესობები და ნაკლოვანებები

ინდ. მენარმე	შპს
<p>უპირატესობები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქმის დაწყება მარტივია, არ არის საჭირო წესდება და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა; • სრულიად დამოუკიდებელია საქმიანობის განხორციელების პროცესში; • შეუძლია გადანაცვტილების ერთპიროვნულად მიღება; • მთელი მოგება მფლობელს ეკუთვნის. 	<p>უპირატესობები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მესაკუთრეების პასუხისმგებლობა შეზღუდულია შპს-ში მათი შენატანებით. მათი სხვა ქონება ხელშეუხებელია; • კლიენტებისა და პარტნიორებისთვის უფრო სანდოა, ვიდრე „ინდემენარმე“; • უფრო ადვილად შეუძლია საბანკო კრედიტის აღება, ვიდრე „ინდემენარმეს“; • ერთდროულად სხვადასხვა სფეროებში ფუნქციონირების მეტი შესაძლებლობები.
<p>ნაკლოვანებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მფლობელი ბიზნეს-პარტნიორებთან პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით, რაც დიდი რისკის შემცველია; • ბიზნესში ყველა დეტალს თავად მართავს, რაც არ არის მარტივი და შესაძლოა წარმოიშვას პრობლემები. 	<p>ნაკლოვანებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უფრო რთულია დაფუძნება, ვინაიდან მოითხოვს პარტნიორთა შეთანხმებას (იმ გამონაკლისის გარდა, თუ შპს-ს ერთი პირი აფუძნებს); • ფორმირებისა და ფუნქციონირების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე „ინდემენარმის“ შემთხვევაში; • გადანაცვტილების მისაღებად აუცილებელია პარტნიორებთან შეთანხმება, რაც ამცირებს მართვის ოპერატიულობას.

ინდ. მენარმედ რეგისტრაციისთვის აუცილებელია:

- ✓ განცხადება (ივსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოპერატორის მიერ);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის, პასპორტის, ბინადრობის მოწმობის ან სხვა) ასლი;
- ✓ სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მენარმე იურიდიული პირის (მათ შორის შპს-ს) რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

- ✓ განცხადება;
- ✓ დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის, პასპორტის, ბინადრობის მოწმობის ან სხვა) ასლი;
- ✓ საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი (წესდება/პარტნიორთა შეთანხმება);
- ✓ უძრავი ნივთის მესაკუთრის სათანადო ფორმით შედგენილი თანხმობა, ან უძრავ ნივთზე დაინტერესებული პირის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტი;
- ✓ სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მენარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი

შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად).

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის **არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა**. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

საწარმოს რეგისტრაციის მიზნებისათვის **კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება**.

გახსოვდეთ:

- მენარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- მენარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- მენარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.
- მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე.
- გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსება.
 - მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული მონაცემები რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი გაუქმების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ელექტრონულად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - შემოსავლების სამსახურს.
- ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქვს იგივე ძალა, რაც საგადასახადო რეგისტრაციის მონმობას.

თუ საწარმოს საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, საკვებწარმოების ობიექტებთან, ასევე დასაქმების სფეროში საშუაშავლო მომსახურებასთან (პერსონალით უზრუნველყოფა), სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში ამის მითითება სავალდებულოა.

სამენარმეო საქმიანობის რეგისტრაციის ვადებისა და საფასურის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://napr.gov.ge/p/454>

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

სათაო ოფისი - თბილისის იუსტიციის სახლი

მის.: ქ. თბილისის, სანაპიროს ქ. N2

ტელ.: (+995 32) 2 25 15 28; (+995 32) 2 405405

ელ-ფოსტა: info@napr.gov.ge

ტერიტორიული სამსახურების (რეგიონული, მუნიციპალური) იხ. ვებ-გვერდზე: <http://napr.gov.ge/p/812>

2.2.3. გადასახადები



საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი.

გადასახადის სახეებია:

- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები;
- ადგილობრივი გადასახადი.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- აქციზი;
- იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ქონების გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

➤ **საშემოსავლო გადასახადი**

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

- ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;
- ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის **საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია** დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია დასაბეგრი შემოსავლის 20%.

საქართველოს “საგადასახადო კოდექსი“-ს 82-ე მუხლი ადგენს **საშემოსავლო გადასახადის გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს**. მათ შორისაა ფიზიკური პირის მიერ:

- ✓ ორ წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- ✓ საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- ✓ საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- ✓ საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დაქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;
- ✓ საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- ✓ 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- ✓ ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის

საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

- ✓ რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;
- ✓ 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- ✓ აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლისა;
- ✓ ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ განევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

➤ **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის გადამხდელია:

- ა) რეზიდენტი საწარმო;
- ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლი ადგენს გადასახადიდან გათავისუფლების შემთხვევებს. მათ შორისაა:

- ✓ 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები;
- ✓ 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით და თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;
- ✓ 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მენარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების განევით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები;
- ✓ აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება;

- ✓ მაღალმთიანი დასახლების სანარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განული ხარჯები/ განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით, – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით) .

➤ **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)**

დღგ-ს გადამხდელია:

- ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
- ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

....და სხვ. (მუხლი 156)

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) დასაბეგრი ოპერაცია;
- ბ) იმპორტი;
- გ) ექსპორტი, რეექსპორტი;
- დ) დროებითი შემოტანა.

დღგ-ს განაკვეთი: დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 %.

გადასახადისაგან გათავისუფლება: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი განსაზღვრავს დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს, მათ შორის: საქონლის მიწოდებას ან/და მომსახურების განევას, საქონლის იმპორტს, ტრანზიტს და სხვა.

➤ **აქციზი**

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- დ) ახორციელებს ბუნებრივი აირის კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განევას (მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრამდე).

აქციზური საქონლის (ალკოჰოლიანი სასმელი, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობ პროდუქტი, მსუბუქი ავტომობილი, ბუნებრივი აირი, მობილური საკომუნიკაციო მომსახურება) დაბეგვრის განაკვეთების შესახებ ინფორმაცია იხ.: „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მუხლი 188.

აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლით.

➤ **იმპორტის გადასახადი**

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება

იმპორტის გადასახადის განაკვეთები საქონლის სახეების მიხედვით განსხვავებულია (დეტალური ინფორმაცია იხ. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მუხლი 196, 197)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლი განსაზღვრავს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს.

➤ **ქონების გადასახადი**

ქონების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი სანარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

ბ) არარეზიდენტი სანარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);

გ) ფიზიკური პირი:

გ.ა) მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებსა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ მსუბუქ ავტომობილებზე;

გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;

გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

ქონების გადასახადის განაკვეთი:

- სანარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 %-ის ოდენობით;
- 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 % და არაუმეტეს 0.2 %-სა;
- 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 %-ისა და არაუმეტეს 1 %-სა.

ქონების გადასახადის კონკრეტულ განაკვეთებს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

ქონების გადასახადისგან გათავისუფლების პირობები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლით.

2.2.4. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები



საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

- ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
- ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირებზე;
- გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30

000 ლარს. საქმიანობის სახეები, რომლებზეც არ ვრცელდება 30 000-ლარიანი ზღვარი, დადგენილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #415 დადგენილებით⁵; ამავე დადგენილებით განსაზღვრულია საქმიანობის სახეები, რომლის ფარგლებშიც აკრძალულია მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, ასევე შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგრის რეჟიმით (დადგენილება იხ. http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=7500)

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი:

- არ იხდის საშემოსავლო გადასახადს;
- თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

რა შემთხვევაში უქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი?

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

- ა) ფიზიკურმა პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;
- ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.
- გ) ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით;
2. ხალიჩებისა და ორბოვისებრი ნაწარმის წარმოება;
3. პულოვრებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება;
4. ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა;
5. საცვლების წარმოება;
6. თავსაბურავების წარმოება;
7. დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება;
8. ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება;
9. ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება;
10. ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნობის წარმოება;
11. ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება;
12. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება;
13. მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
14. აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება;
15. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
16. ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება;
17. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
18. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს;
19. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი;
20. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი;
21. საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი;
22. ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი;

⁵ საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, განსაზღვრულია საქართველოს კანონით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" (იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824>).

23. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
24. თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება;
25. შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება;

აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას⁵;
2. საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს;
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათშორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;
5. სათამაშო ბიზნესი;
6. ვაჭრობა.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

- მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით;
- მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით, თუ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი არ აღრიცხავს შემოსავლებს/ხარჯებს, გარდა ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის წარმოებისა.

რა შემთხვევაში უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი?

მცირე ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

- ა) მენარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;
- ბ) თუ ერთობლივმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბა 100 000 ლარს;
- გ) მენარმე ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად;
- დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.

საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია:

- ა) მენარმე ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;
- ბ) მენარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-საღარო აპარატის გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება.

აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება მენარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;
2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათშორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;
5. სათამაშო ბიზნესი;
6. პერსონალით უზრუნველყოფა;
7. აქციზური საქონლის წარმოება.

ვის უნდა მიმართონ მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად?

სტატუსის მინიჭების მიზნით ფიზიკური პირი მიმართავს საგადასახადო ორგანოს ნებისმიერ სერვის ცენტრს, რომელიც გასცემს სპეციალურ სერტიფიკატს.

საგადასახადო სამსახურში უნდა ჩააბარონ თუ არა რაიმე სახის დეკლარაცია?

მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო სამსახურში წარადგენენ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციას.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, უფლებამოსილია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მიზნით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე, რისთვისაც გაიცემა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი.

„ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეები და განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #415 დადგენილებით. ამ დადგენილების თანახმად, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეები და განაკვეთები შემდეგია:

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ის სახე, დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი, რომელიც იბეგრება 1 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობის ფარგლებში

#	დასაბეგრი საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	საანგარიშო პერიოდი	გადასახადის განაკვეთი
1	თონეში წარმოებული / სანარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი განეული მომსახურება	თონე	კალენდარული თვე	50 ლარი (ერთ თონეზე)
2	თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის (მათ შორის, თმის დაგრძელების), შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის (მათ შორის, წამწამების დაგრძელების), მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა/სავარძელი)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა/სავარძელი)

3	მანიკურის და პედიკურის (მათ შორის, ფრჩხილების დაგრძელების) მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი / მაგიდა)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/ მაგიდა) – 30 ლარი
4	სოლარიუმის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სოლარიუმის კაბინა)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სოლარიუმის კაბინა) – 70 ლარი
5	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის, სალტების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე განეული სხვა მომსახურება (ხალიჩების რეცხვა)	მომსახურების გასანევად გამოყენებული სამუშაო ადგილი	კალენდარული თვე	1 ავტომობილის მომსახურებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილი -100 ლარი; იმ შემთხვევაში, თუ ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება, რამდენი ავტომობილის მომსახურებისათვისაა განკუთვნილი სამუშაო ადგილი- ყოველ 40 კვ.მ-ის ფარგლებში ფართობზე - 100 ლარი

პირი, რომელიც აკმაყოფილებს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის დადგენილ მოთხოვნებს, უფლებამოსილია შესაბამისი სტატუსის მინიჭების მიზნით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე, რისთვისაც გაიცემა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ:

- ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;
- ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;
- გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;
- დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში.

2.3. ბიზნესის დაწყება/განვითარებისა და თვითდასაქმების მხარდამჭერი პროგრამები/პროექტები



2.3.1. ბიზნესის დაწყება/განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს სამენარმეო საქმიანობის მხარდაჭერის აქტიურ პოლიტიკას. ქვეყანაში მიმდინარეობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახელმწიფო პროექტები, რომელთა მიზანია ბიზნეს საქმიანობის მხარდაჭერა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - **სააგენტო „ანარმოე საქართველოში“** (2017 წლის 18 აპრილამდე - „მენარმეობის განვითარების სააგენტო“), არის ძირითადი სახელმწიფო უწყება, რომელიც ახორციელებს ბიზნესის მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებს.

დეტალური ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/news/axali-struqtura-awarmoe-saqarTveloSi-?id=449>

დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო ახორციელებს საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულებით: „ანარმოე საქართველოში - ბიზნესი“, „ანარმოე საქართველოში - ექსპორტი“ და „ანარმოე საქართველოში - ინვესტიცია“.

• **„ანარმოე საქართველოში - ბიზნესი“**

ეს კომპონენტი გულისხმობს მიკრო, მცირე და საშუალო კომპანიების მხარდასაჭერად ახალი ბიზნესის დაწყებისა და არსებულის გაფართოება/დივერსიფიცირებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ამასთან, „ანარმოე საქართველოში“ ქმნის ფრონტ-ოფისს, რომელიც მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს შეუქმნის მენარმეებს, უფრო გაამარტივებს წვდომას ბიზნესის ხელშეწყობა პროგრამებზე. ფრონტ-ოფისი იმუშავებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით - ეს იქნება ბიზნესპაბი, რომელიც მენარმეს ბიზნესის დასაწყებად საჭირო სრულ სერვისს შესთავაზებს და საშუალებას მისცემს მას, დაზოგოს დრო და რესურსები. მოგვიანებით ფრონტ-ოფისი შეუერთდება ბიზნეს სახლს და მის ბაზაზე გააგრძელებს ფუნქციონირებას.

• **„ანარმოე საქართველოში - ექსპორტი“**

მისი მიზანია საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის გაყიდვების წახალისების ხელშეწყობა მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ადგილობრივი პროდუქტების და სერვისების საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე პოპულარიზაცია, სანდობის ზრდისა და დადებითი რეპუტაციის დამკვიდრების ხელშეწყობა; საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების, პროდუქტების და სერვისების გამოვლენა, შესაბამისი პორტფელის შექმნა, კატეგორიებად დაყოფა და მართვა; ქვეყანაში ექსპორტის შემადგენელი ფაქტორების იდენტიფიცირება, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი უწყებებთან თანამშრომლობა მათი ამოფხვრის მიზნით. ექსპორტის კულტურის ამაღლების მიზნით სასწავლო ტრენინგების და ტექნიკური დახმარების პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

• **„ანარმოე საქართველოში -ინვესტიცია“**

ეს კომპონენტი გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას უკვე არსებულ ინვესტორებთან და ახალი ინვესტორებისთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზებას. დაგეგმილია კომერციული ატაშეების ინსტიტუტის ამოქმედება, რომლებიც იმუშავებენ საქართველოს საელჩოებში სხვადასხვა ქვეყნებში და იქნებიან საქართველოს ერთგვარი ეკონომიკური ელჩები. **კომერციული ატაშეების** საშუალებით შესაძლებელი გახდება საქართველოს გაცნობა უფრო მეტი პოტენციური ინვესტორისთვის, მეტი შემსყიდველის დაინტერესება ქართული საექსპორტო პროდუქტით და მეტი საერთაშორისო ბიზნესის შემოსვლა საქართველოში.

სამენარმოე საქმიანობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებიდან, რომელსაც ახორციელებს სააგენტო, უპირველესია **პროგრამა „ანარმოე საქართველოში“**. პროგრამის მიზნებია:

- ✓ წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ახალი სანარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა.

პროგრამის **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი** გულისხმობს ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერას კომერციულ ბანკებთან მიმართებაში და ითვალისწინებს:

- ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას არაუმეტეს 10%-ით ლარში გაცემულ სესხებზე პირველი 24 თვის განმავლობაში;
- უზრუნველყოფის თანადაფინანსებას სესხის 50%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან 48 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 2 500 000 ლარისა).

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „ანარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მენარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს **სასტუმრო ბიზნესი**, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

ახალი კომპონენტი მენარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ. „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/whatwedo/Hotel-industry-incentive?v=91>

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.

პროგრამა გამიზნულია:

- ა) ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის (სტარტ-აპი);
- ბ) არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის.

დაფინანსების მიღებამდე მონაწილემ აუცილებელია გაიაროს რამდენიმე ეტაპი:

- ონლაინ აპლიკაციის შევსება: <http://qartuli.ge/>
- ბიზნეს იდეების კონკურსი: მოხდება საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორების გამოვლენა და მათი დატრენინგება ბიზნეს გეგმების წერაში;
- ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი: საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორებს ჩაუტარდებათ ბიზნეს გეგმის შედგენის ტრენინგი;
- ბიზნეს გეგმების კონკურსი: მომზადებული ბიზნეს გეგმების კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას.

დაფინანსების მექანიზმი:

ერთი მენარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა - 5 000 ლარი
ორი მენარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა - 10 000 ლარი
სამი მენარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა - 15 000 ლარი

საკონსულტაციო მხარდაჭერის მექანიზმი:

ყველა ბენეფიციარი მიიღებს თანამედროვე სტანდარტების ტექნიკურ მხარდაჭერას:

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები;
- ბიზნეს გეგმების შედგენის ტრენინგი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი.

პროგრამაში ჩართვის პირობები:

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20% თანხობრივ თანამონაწილეობას;
- აცხადებს მზაობას ბიზნეს გეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში. განმახორციელებელი ორგანიზაციები რეგიონების მიხედვით შემდეგია:

- **კახეთი: შპს „თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი“**
 - ქ. თელავი, ჭავჭავაძის ქ. #87,
 - ტელ: 032 2 22 45 32, 032 2 36 98 66
- **მცხეთა-მთიანეთი: „თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი“**
 - ქ. დუშეთი, კოსტავას ქ. #34

- ტელ: 032 22 45 32, 032 2 36 98 66
- **ქვემო ქართლი: ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების ასოციაცია“ (RDA)**
 - მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 48
 - ტელ: (0322) 05-19-92
- **შიდა ქართლი: „თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი“**
 - მის: ქ. გორი, სამეფოს ქ. #27
 - ტელ: 032 2 22 45 32, 032 2 36 98 66
- **სამცხე-ჯავახეთი: ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების ასოციაცია“ (RDA)**
 - მის: ქ. ახალციხე, გვარამიას ქ. #16
 - ტელ: (0322) 05 19 92
- **იმერეთი: ა(ა)იპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობა - საქართველოს სკაუტები“**
 - მის: ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. #9
 - ტელ: (0431) 25 55 74
- **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: ა(ა)იპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობა - საქართველოს სკაუტები“**
 - მის: ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. #9
 - ტელ: (0431) 25 55 74
- **სამეგრელო: შპს „ჯი-ემ-სი-ჯი“**
 - მის: ქ. მესტია, სეტის მოედანი #5
 - ტელ: 16100 (ცხელიხაზი)
- **გურია: შპს „ჯი-ემ-სი-ჯი“**
 - მის: ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. #114
 - ტელ: 16100 (ცხელიხაზი)
- **აჭარა: შპს „ჯი-ემ-სი-ჯი“**
 - მის: ხულო, რუსთაველის ქ. #9
 - ტელ: 16100 (ცხელიხაზი)

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/whatwedo/mikro-da-mcire-biznesis-xelSewyoba?v=67>

პროგრამა „სტარტაპ საქართველო“

დამწყები სანარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, **დამწყები სანარმო (სტარტაპი)** არის მენარმე სუბიექტი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საქართველოს მოქალაქის / მოქალაქეთა ჯგუფის მიერ და პროგრამაში განაცხადის წარდგენის თარიღამდე მისი შექმნიდან არ გასულა 6 თვე.

პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

ა) **ტექნიკური დახმარების კომპონენტი**, რომელიც გულისხმობს პროექტების შერჩევასა და განხორციელების პროცესში ტექნიკური დახმარების გაწევას (ტრენინგების, კონსულტაციების და ფონდისათვის მისაღები სხვა სახის ტექნიკური დახმარების განხორციელებას, საჭიროების შესაბამისად);

ბ) **დაფინანსების კომპონენტი**, რომელიც გულისხმობს პროექტის დაფინანსებას პროგრამით

დადგენილი წესის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის არსისა და მონაწილეობის პირობებზე იხ. ვებ-გვერდზე: <http://startup.gov.ge/geo/faq>

ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა

ექსპორტის ხელშეწყობისათვის სააგენტო ორი მიმართულებით მუშაობს:

- ექსპორტის პოპულარიზაცია;
- ექსპორტის განვითარება.

ექსპორტის პოპულარიზაცია მოიცავს:

- ✓ საერთაშორისო გამოფენების ორგანიზებას;
- ✓ შიდა და გარე სავაჭრო მისიების ორგანიზებას;
- ✓ სავაჭრო პორტალისა და საექსპორტო პროდუქციის ონლაინ კატალოგის მხარდაჭერას (www.tradewithgeorgia.com ვებ-გვერდის „Business Inquiry“ ფუნქციის მეშვეობით კომპანიებს შეუძლიათ ონლაინ განათავსონ საკუთარი წინადადებები და შეთავაზებები);
- ✓ ქართული პროდუქციის კონკურსებზე გაგზავნის ორგანიზება.

ექსპორტის განვითარება გულისხმობს ექსპორტით დაინტერესებული კერძო სექტორის ქმედი-ტუნარიანობის გაზრდას სპეციალური ტრენინგებისა და სერვისების შეთავაზებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/whatwedo/export-Promotion?v=20>

2.3.2. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამები

პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, აღნიშნული პროექტების გარდა, მოიცავს სოფლის მეურნეობის მიმართულებასაც. ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სესხის /ლიზინგის გაცემა შემდეგი მიზნობრიობით:



1. პირველადი სასოფლო-სამეურნეო სანარმოების დაფინანსება:

- ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანეხაზის და სოკოს მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული-მეხორცული);
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეღორეობის ფერმა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანამწენე დანიშნულების მქონე);
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის ძვირფასბენჯიანი ცხოველების ფერმა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის თევზის წარმოება;
- მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;
- საჩითილეები და სანერგეები;
- მრავალწლიანი კულტურების ბაღები, ზვრები, პლანტაციები და სხვ.

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი სანარმოების დაფინანსება:

- ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, სოკოს, ციტრუსის გადამამუშავება;
- კაკლის, თხილის, მინის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება;
- მატყლის, ტყავის გადამამუშავება;

- დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება;
- ხორცის და რძის გადამამუშავება;
- მცენარეული ცხიმების (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;
- ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;
- სასაკლავოს მოწყობა;
- მეფუტკრეობის პროდუქციის გადამამუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების წარმოება.

3. ინფრასტრუქტურული სანარმოების დაფინანსება:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;
- მარცვლეულის საშრობები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრო მეურნეობები.

შენიშვნა: პროგრამის ფარგლებში სესხი/ლიზინგი არ შეიძლება გაიცეს ყურძნის გადამამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სანარმოებლად.

კრედიტის/ლიზინგის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს დაარსდა **ა(ა) იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო**, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ სანარმოებს. მოცემულ ეტაპზე სააგენტოს მიერ ხორციელდება შემდეგი პროგრამები და პროექტები:

ა) პროექტი: “დანერგე მომავალი”

პროექტი „დანერგე მომავალი“ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

თანადაფინანსება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

1. მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი;
2. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი.

პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბმული: http://apma.ge/projects/read/plant_future/2:parent.

ბ) ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა

პროგრამის მიზნებია:

- საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიოჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;
- როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავლურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;
- მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე სანარმოების შექმნის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

- ჩაის პლანტაციის განმენდა (ხეებისგან, მეთალის და ბეტონის ნარჩენებისგან, უცხო საგნებისგან);

- პლანტაციის მძიმე ან ნახევრად მძიმე გასხვლა;
- სადრენაჟე არხის მოწყობა (სადრენაჟე არხის მოწყობა შესაძლებელია პლანტაციის მძიმე ან ნახევრად მძიმე გასხვლამდეც);
- რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება/გაფხვიერება (ზედაპირული გაფხვიერება 15-20 სმ სიღრმეზე);
- პირველ წელს სასუქების და სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების (მათ შორის ბიო) შესყიდვა.

დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბმული: http://apma.ge/projects/read/project_scope/12:parent

გ) აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის. **პროგრამის კომპონენტებია:**

- პირველადი წარმოების კომპონენტი - ინდივიდუალური ფერმერების, რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;
- გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი - მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი: საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი შემდეგი თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის გარდა.

პირველადი წარმოების და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში **დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები:**

- ხურმა;
- ვაშლი;
- ატამი;
- კივი;
- ბოსტნეული;
- დაფნა;
- თაფლი;
- კენკროვანი კულტურები;
- თაფლოვანი კულტურები.

დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბმული: http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

დ) შეღავათიანი აგრო კრედიტი

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვარეალიზაციის საწარმო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვარეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის.

პროექტის ფარგლებში სესხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტით განსაზღვრულ პირობებს.

დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბმული: http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

ე) აგროდაზღვევა

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, ა(ა)იპ “სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო” აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შექმნა შეუძლიათ საქართველოში მოქმედ 4 სადაზღვევო კომპანიაში:

- ალდაგი;
- ჯი პი აი პოლდინგი;
- აი სი ჯგუფი;
- არდი ჯგუფი.

დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

ვ) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტი ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი;
2. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება შესაძლებელია 3 ძირითადი წყაროს გამოყენებით:

- სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების 40%, მაგრამ არაუმეტეს 600 000 ლარისა;
- შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 1 500 000 ლარისა;
- ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა - პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%, საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით.

შენიშვნა: დასაშვებია ბენეფიციარის მიერ დამატებით მოძიებულ იქნას პროექტის დაფინანსების სხვა წყაროები.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების **პროექტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი**, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი : 0159, ქ. თბილისი, ახმეტელის 10 ა (დილომი, კინოსტუდიის ეზო)

ტელ: (+995 032) 247 01 01

ელ. ფოსტა: info@apma.ge

ვებ-გვერდი: <http://apma.ge>

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამები

თანამედროვე ეტაპზე მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წახალისებას, რამეთუ კოოპერატივები არსებითად ზრდიან სასოფლო-

სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად და მხარდამჭერი პროექტების კოორდინაციისთვის 2013 წელს შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო**.

ამჟამად სააგენტო ახორციელებს შემდეგ სახელმწიფო პროგრამებს:

- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/169>);
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/175>)
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/187>)
- მევენახეობის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/201>)

სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0160, ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. 25

ტელ.: (+995 32) 231 30 26

ელ-ფოსტა: info@acda.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://www.acda.gov.ge>

2.3.3. ბიზნესის დანყება/განვითარებისა და თვითდასაქმების მხარდამჭერი სხვა პროგრამები/პროექტები

- **პროგრამა: “მონყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით”**

პროგრამას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - **“დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო”** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

პროგრამა ითვალისწინებს მონყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას. მის მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, მონყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და მეორე მხრივ, სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველყოფა.

პროგრამის სამიზნე ჯგუფებია დევნილთა შემდეგი კატეგორიები:

- 1. მართხელა მშობელი, რომელიც ზრუნავს არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) შვილ(ებ)ზე; პროგრამის მიზნებისთვის მართხელა მშობლად ჩაითვლება პირი, თუ:
 - ა) შვილის დაბადების მოწმობაში მამის ვინაობა არ ფიქსირდება;
 - ბ) ქვრივია (მეუღლის გარდაცვალება დადასტურებული უნდა იყოს გარდაცვალების მოწმობით ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით);
 - გ) განქორწინებულია (დადასტურებული უნდა იყოს განქორწინების მოწმობით ან განქორწინების მოწმობის არარსებობის შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმართველობის მიერ გაცემული ცნობით);
 - დ) მეუღლე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, რაც დადასტურებულია შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებით.
- 2. მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შემლუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი და მეორე ჯგუფი) ან პირი, რომლის ოჯახის წევრი არის შშმ (პირველი და მეორე

ჯგუფი);

- 3. 25 წლის ან ნაკლები ასაკის ახალგაზრდა, რომელიც მართავს ოჯახს - დამოუკიდებლად უვლის არასრულწლოვან დედამიწვილებს, როცა: ა) ორივე მშობელი გარდაცვლილია; ან ბ) ორივე მშობელი მიჩნეულია ქმედუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად); ან გ) ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლია, ხოლო მეორე- მიჩნეულია ქმედუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად).
- 4. ხანდაზმული პირ(ებ)ი (60 წლის და მეტი ასაკის), რომელიც მართავს ოჯახს - დამოუკიდებლად ზრდის არასრულწლოვან ობოლ შვილიშვილ(ებ)ს;
- 5. ჯგუფი (3-5 ოჯახი), სადაც გაერთიანებულია ზემოაღნიშნული პირების უმრავლესობა და ერთი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლები არიან.

დაფინანსების სფეროები:

- ✓ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის;
- ✓ სურსათის წარმოებისთვის;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის გაუმჯობესებისთვის;
- ✓ სოციალური ინფრასტრუქტურის მონაცობა იმ თემებში, სადაც პროგრამის სამიზნე ბენეფიციარები ცხოვრობენ;
- ✓ სოფლად ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის მონაცობილობებისა და სამშენებლო მასალების შექმნა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემოსავლის მომტანი და დასაქმების ხელშეწყობი საქმიანობა.

პროგრამის მიზნებისათვის, **ბენეფიციარის მხრიდან წილობრივი მონაწილეობა წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.** ამასთანავე, თანამონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა იყოს განსხვავებული მონაცვლადობის დონიდან გამომდინარე. განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობის მაქსიმალური ზღვარია ინიციატივის ჯამური ღირებულების 50%. მინიმალური ზღვარი კი შეადგენს ინიციატივის ჯამური ღირებულების 20%-ს, არაუმეტეს 2 500 ლარისა.

პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხ. ბმული: <http://livelihood.gov.ge/ge/currentprograms/22711-motskhvlad-idzulebit-gadaadgilebul-pirta-sotsialur-ekonomikuri-gadzliere-ba-genderuli-aspeqtetbis-gatvalistsinebit-mati-saarsebo-tskharoebis-tanadapinansebisa-da-sotsialuri-gaaqtiurebis-khelshetskhibis-gzit>

2.3.4. ბიზნეს სესხები

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ბიზნეს სესხების სისტემა და გაუმჯობესდა მათი ხელმისაწვდომობა.

ბიზნეს სესხებს გასცემს საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა კომერციული ბანკი, ასევე რიგი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები. ბიზნეს სესხის მიღების პირობები ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიხედვით განსხვავებულია. კრედიტის ოდენობა, მისი მიღებისა და დაბრუნების პირობები ხშირად დამოკიდებულია ასევე ბიზნესის სახეობაზე, მასშტაბზე, საქმიანობის ხანგრძლივობაზე.

ამჟამად ბიზნეს სესხები ძირითადად მოქმედი ბიზნესების მხარდასაჭერად გაიცემა და უფრო იშვიათია ბიზნესის დასაწყებად (სტარტ-აპი) სესხების გაცემის პრაქტიკა. მსხვილი კომერციული ბანკები დასწყები ბიზნესმენებისთვის ბიზნეს კრედიტს თითქმის არ გასცემენ. კომერციული ბანკების მხრიდან, ბიზნეს კრედიტის გაცემის ერთ-ერთი პირობა ბიზნეს-საქმიანობის მინიმუმ რამდენიმე თვიანი ისტორიაა.

➤ სესხები ბიზნესის დაწყებისათვის

სტარტ-აპისთვის სესხები ხელმისაწვდომია შემდეგ საფინანსო დაწესებულებებში:

- **საქართველოს ბანკი - პროგრამა “ქალი სტარტაპერი”.** ბანკი ქალბატონებს სთავაზობს ახალ პროგრამას, რომელიც საქართველოში მათი ბიზნეს იდეის განხორციელებასა და

არსებული ბიზნესის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

თანხა: 10 000 ლარიდან

- უზრუნველყოფა: არ არის სავალდებულო
- სესხის ვადა: 5 წელი
- დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://bankofgeorgia.ge/retail/ge/women-in-business>
- **კრედო ბანკი - სტარტ აპ სესხები მცირე ბიზნესის განსახორციელებლად.** სესხი გაიცემა სხვადასხვა აგროკულტურის ან ფერმის მოსაშენებლად; საცხოვრის, მაღაზიის, საოჯახო სასტუმროს ან სხვა ნებისმიერი მცირე ბიზნესის დასაწყებად; დიდი ხნის წინ შეჩერებული საქმიანობის განსაახლებლად (დეტალური ინფორმაცია იხ. <http://credo.ge/ka/467/>); ასევე **ტურისტული ბიზნეს სესხები ტურისტული საქმიანობის დასაწყებად ან განსავითარებლად** - სასტუმროს, საოჯახო სასტუმროს, რესტორნის, კაფის, ბარის მოწყობა/განახლებისთვის; მაღაზიებისა და მარკეტების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ან სასაქონლო მარაგების შესაძენად; ნებისმიერი სხვა არსებული ან ახალი ტურისტული საქმიანობის დასაწყებად (დეტალური ინფორმაცია იხ. <http://credo.ge/page/?ka>).
- **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალი” - სტარტაპ-სესხები დამწყებ ბიზნესმენებს.** კრისტალი დამწყებ ბიზნესმენებს სთავაზობს:
 - 5 000 დოლარამდე სესხს უზრუნველყოფის გარეშე;
 - ბიზნესშემოსავლებზე მორგებულ გადახდის გრაფიკს;
 - უნიკალურ ტრენინგ კურსს კრისტალის გამოცდილი ექსპერტებისგან.
 - სესხისპირობები:
 - ა) თანხა: 50 - 5 000 ლარი; ვადა: 24 თვე; უზრუნველყოფის გარეშე.
 - ბ) თანხა: 200 - 10 000 დოლარი; ვადა: 36 თვე; უზრუნველყოფა: უძრავი ქონება.
 - დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://crystal.ge/ka/245/startup>

➤ სესხები მოქმედი ბიზნესისათვის

ბიზნეს სესხის გაცემის პირობები კონკრეტული საფინანსო დაწესებულებების მიხედვით დღევანდელ ეტაპზე ასეთია:

• **თიბისი ბანკი**

სესხები გაიცემა როგორც საბრუნავი კაპიტალის, ისე ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად.

საბრუნავი კაპიტალის ფინანსირება მოიცავს მოკლე და გრძელვადიანი საბრუნავი საშუალებების შესაძენად სესხის გაცემას. სესხი გაიცემა:

- ✓ მარაგების შესავსებად;
- ✓ მომწოდებლის ვალდებულებების დასაფარად;
- ✓ ასორტიმენტის გასაფართოებლად.

კრედიტის პირობებზე დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/working-capital-financing>

ძირითადი საშუალებების ფინანსირება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ახალი დანადგარების შეძენა;
- სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
- არსებული ძირითადი საშუალებების განახლება;
- ბიზნესისთვის მიწის შეძენა და მშენებლობის დაწყება.

კრედიტის პირობებზე დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/test-busines-loans>

მიკრო ბიზნესებისთვის გაიცემა ორი ტიპის ბიზნეს სესხები:

1. უკირავნო ბიზნეს სესხი, რომელიც გულისხმობს მცირე და საშუალო კომპანიებისა და ფიზიკური პირების დაფინანსებას 40 000 ლარამდე გირაოს გარეშე.
2. გირაოიანი ბიზნეს სესხი გულისხმობს როგორც მცირე და დიდი ზომის კომპანიების, ასევე ფიზიკური პირების დაფინანსებას 350 000 ლარამდე გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებით.

კრედიტის პირობებზე დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/microbusiness-financing>

თი ბი სი ბანკი თავის მომხმარებელს სთავაზობს ასევე **ვაჭრობის ფინანსირების** ოპერაციების მრავალფეროვან სპექტრს. დეტალური ინფორმაცია კრედიტის პირობებზე იხ.: <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/trade-finance>

ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სესხის ვადაზე, თანხის ოდენობაზე და ბიზნესის სახეობაზე. კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე სესხის საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს საკრედიტო ექსპერტი.

- **პროკრედიტბანკი**

პროკრედიტბანკი ბიზნეს სესხებს გასცემს მხოლოდ უკვე არსებულ და მოქმედ ბიზნესებზე (ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ან კომპანიებზე, რომელსაც უკვე აქვს მოქმედი ბიზნესი).

ბიზნეს სესხები გაიცემა შემდეგი მიზნით:

- ✓ საბრუნავი საშუალებები - სასაქონლო მატერიალური მარაგების გაზრდა, ასორტიმენტის გაფართოება, მომწოდებლისადმი ვალდებულების დაფარვა და ა.შ.;
- ✓ ძირითადი საშუალებები - ბიზნესისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა/გარემონტება და ა.შ.;
- ✓ უძრავი ქონება - კომერციული ფართის შეძენა/მშენებლობა, მიწის შეძენა;
- ✓ სხვა ბიზნეს მიზნობრიობები - ნებისმიერი სახის ინვესტიცია/დანახარჯი, რომელიც განაპირობებს ბიზნესის წინსვლასა და სტაბილურობას.

სესხის ვადა განისაზღვრება მიზნობრიობის მიხედვით: 36 -180 თვე. ვალუტა - ლარი, აშშდოლარი, ევრო.

სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ინდივიდუალურად (ბიზნეს მახასიათებლებიდან, სესხის მოცულობიდან და ა.შ. გამომდინარე).

დეტალური ინფორმაცია იხ.: http://www.procreditbank.ge/index.php?item_id=75&component=STATIC_CONTENT&menu_id=19&sub_menu_id=72

- **საქართველოს ბანკი**

ბიზნეს სესხი გაიცემა ბიზნესის განვითარებისთვის, შორს მიმავალი ბიზნეს გეგმის განხორციელებისთვის ან ინოვაციური პროდუქტის დანერგვისთვის

თანხა: 500-5 000 000 ლარი (ექვივალენტი სხვა ვალუტაში)

ვადა: 10 წლამდე

უზრუნველყოფა: 40 000 ლარამდე (ეკვ. სხვა ვალუტაში) მოცულობის სესხის შემთხვევაში - მხოლოდ თავდებობა; 40 000 ლარზე (ეკვ. სხვა ვალუტაში) მეტი მოცულობის სესხის შემთხვევაში - უძრავი ქონება, ძირითადი საშუალებები, საბანკო გარანტია, დეპოზიტი.

მიზნობრიობა:

- საბრუნავი ან ძირითადი საშუალებების დაფინანსება;
- უძრავი ქონების შეძენა;
- სარემონტო სამუშაოების განხორციელება;
- ბიზნესის მიმდინარე ხარჯების დაფარვა;
- სხვა ვალდებულებების გასტუმრება;

- ნებისმიერი ზემოაღნიშნული მიზნების კომბინაცია.

წლიური საპროცენტო განაკვეთი: განისაზღვრება ინდივიდუალურად (ბიზნეს მახასიათებლებიდან, სესხის მოცულობიდან და ა.შ. გამომდინარე).

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://bankofgeorgia.ge/retail/ge/business/loans/loan-gel>

• ლიბერთი ბანკი

ლიბერთი ბანკი ბიზნეს სესხებს გასცემს პირებზე, ვინც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას (ფიზიკური და იურიდიული პირები). სესხის სახეებია: მიკრო და მცირე ბიზნეს სესხი.

მიკროსესხი წარმოადგენს ლიბერთი ბანკის სასესხო პროდუქტს, რომელიც ორიენტირებულია წვრილი მეწარმეების საბაზრო სეგმენტზე. ეს არის სესხის მიღების მარტივი და ხელსაყრელი საშუალება მათთვის, ვინც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. სესხის განხილვა და დამტკიცება ხდება მხოლოდ 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

სესხის ოდენობა: 300 000 ლარამდე.

იმისათვის, რომ კლიენტმა ისარგებლოს მიკრო სესხით, საკმარისია კლიენტი წარმოადგენდეს ბიზნესის მფლობელს და ჰქონდეს შემოსავლები აღნიშნული ბიზნესიდან ან კლიენტი ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც მუდმივი შემოსავლების მიღების გარანტიას წარმოადგენს (კერძო პრაქტიკის მქონე ექიმი, კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატი, დამოუკიდებელი აუდიტორი, ნოტარიუსი, დალაქი, იუველირი, ტაქსი და სხვა).

მიკრო სესხის ძირითადი პირობები:

ვალუტა		ლარი (ან შესაბამისი თანხა შშ დოლარში)
სესხის მოცულობა	100 -17 000	300 000
მაქსიმალური ვადა	36 თვე	84 თვე
მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი	3 თვე	6 თვე
უზრუნველყოფა	თავდებობა	უძრავი ქონება; ავტოტრანსპორტი ან მათი კომბინაცია

დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.libertybank.ge/ge/pizikuri-pirebistvis/seskhebi/mikro-seskhi>

მცირე სესხი წარმოადგენს ლიბერთი ბანკის სასესხო პროდუქტს, რომელიც ორიენტირებულია მცირე მეწარმეების სეგმენტზე. დამახასიათებელი ნიშანია სხვა პროდუქტებთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთები და სესხის მოცულობის სოლიდურობა. მცირე სესხის უზრუნველყოფა შედარებით მყარია და აუცილებელია (სესხის თანხის მოცულობიდან გამომდინარე) მისი იპოთეკით უზრუნველყოფა.

იმისათვის, რომ კლიენტმა ისარგებლოს მცირე სესხით, აუცილებელია შემდეგი პირობები:

- ✓ კლიენტი წარმოადგენს ბიზნესის მფლობელს და აქვს შემოსავლები აღნიშნული ბიზნესიდან;
- ✓ კლიენტი ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა, რომელიც მუდმივი შემოსავლების მიღების გარანტიას წარმოადგენს (კერძო პრაქტიკის მქონე ექიმი, კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატი, დამოუკიდებელი აუდიტორი, ნოტარიუსი, იუველირი და სხვ.);
- ✓ არსებობს მყარი გირაო, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს სესხს (სესხის თანხის მოცულობიდან გამომდინარე).

მცირე სესხის ძირითადი პირობები:

ვალუტა	აშშდოლარში
სესხისმოცულობა	5 000 - 100 000
მაქსიმალურივადა	84 თვე
მაქსიმალურისაშეღავათოპერიოდი	6 თვე
უზრუნველყოფა	უძრავიქონება; ავტოტრანსპორტი ან მათი კომბინაცია

- **ქართუ ბანკი**

ქართუ ბანკი ბიზნეს სესხებს გასცემს მოქმედ იურიდიულ პირებზე. ბიზნესის დაკრედიტების პროგრამებია:

- ✓ იმპორტშემცვლელი წარმოება;
- ✓ ქსელური ბიზნესი;
- ✓ ექსპორტ-იმპორტის მხარდაჭერა.

- **იმპორტშემცვლელი წარმოება:**

სესხი გაიცემა საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირზე, რომლის საქმიანობის სფეროა:

- ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება;
- კვების პროდუქტების წარმოება;
- მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება და სხვ.

დაკრედიტების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი მიზნობრივი დაფინანსება:

- ✓ საბრუნავი სახსრების შევსება;
- ✓ საწარმოს მშენებლობა და რემონტი;
- ✓ დანადგარების შეძენა და რემონტი;
- ✓ ვალდებულებების რეფინანსირება;
- ✓ კადრების მივლინება/სწავლება;
- ✓ მარკეტინგული კვლევა/გაყიდვების სტიმულირება.

პროგრამის ძირითადი პირობები:

საკრედიტო თანხა: 100 000 – 3 000 000 აშშდოლარი

ვალუტა: ლარი/აშშდოლარი/ევრო

ინსტრუმენტი : საკრედიტო ხაზი, სესხი, ოვერდრაფტი, აკრედიტივი, გარანტია.

სესხის ვადა: არაუმეტეს 10 წლისა

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://cartubank.ge/ge/463/>

- **ქსელური ბიზნესი**

სესხი გაიცემა საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირზე, რომლის საქმიანობის სფეროებია:

- სააფთიაქო ქსელი;
- მარკეტების ქსელი;
- სილამაზის სალონების ქსელი;
- ტანსაცმლის, ტექნიკის, ავეჯის მაღაზიათა ქსელი;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელი;
- სასტუმროების ქსელი;
- ბენზინ გაზგასამართი სადგურების ქსელი;
- სხვა ქსელური ობიექტები.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსების მიღება შემდეგი მიზნებისთვის:

- ✓ ახალი ობიექტის შეძენა/პრივატიზაცია/მშენებლობა/იჯარა/რემონტი;
- ✓ იჯარით აღებული შენობის გამოსყიდვა;

- ✓ პარტნიორის წილის გამოსყიდვა;
- ✓ ინვენტარის შეძენა;
- ✓ საბრუნავი სახსრების შევსება;
- ✓ ვალდებულებების რეფინანსირება;
- ✓ ბრენდის განვითარების ბიუჯეტის დაფინანსება.

პროგრამის ძირითადი პირობები:

საკრედიტო თანხა: 100 000 – 3 000 000 აშშდოლარი

ვალუტა: ლარი/აშშდოლარი/ევრო

ინსტრუმენტი : სესხი

სესხის ვადა: არაუმეტეს 10 წლისა

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://cartubank.ge/ge/464/>

• ექსპორტ-იმპორტის მხარდაჭერა

სესხი გაიცემა საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირზე, რომლის საქმიანობის სფეროებია:

- საქართველოდან პროდუქციის ექსპორტი;
- საქართველოში შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტი;
- ექსპორტის მიზნით საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია, რომლის მთლიანი მოცულობის 20% იქნება ადგილობრივად წარმოებული.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი მიზნობრივი დაფინანსება:

- საბრუნავი სახსრების შევსება;
- სანარმოს, სანცობის, ოფისისშეძენა/პრივატიზაცია/მშენებლობა/იჯარა/რემონტი;
- დანადგარების შეძენა და რემონტი;
- ინვენტარის შეძენა;
- არსებული ვალდებულებების გასტუმრება;
- მარკეტინგული კვლევა/გაყიდვების სტიმულირება.

პროგრამის ძირითადი პირობები:

საკრედიტო თანხა: 100 000 – 1 500 000 აშშდოლარი

ვალუტა: ლარი/აშშ დოლარი/ევრო

ინსტრუმენტი: საკრედიტო ხაზი, სესხი, ოვერდრაფტი, აკრედიტივი, გარანტია.

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://cartubank.ge/ge/467/>

• ფინკა ბანკი

ფინკა ბანკი გასცემს ბიზნეს სესხებს მხოლოდ მოქმედ ბიზნეს სუბიექტებზე, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე. გაიცემა შემდეგი სახის სესხები:

- ✓ **მცირე და საშუალო ბიზნეს სესხი** - ბიზნესის მარაგების შევსება; ბიზნესის გაფართოება; კომერციული ფართის რემონტი (დეტალური ინფორმაცია იხ. <https://www.finca.ge/products/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE/>);
- ✓ **აგრო განვადება** - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა; სათესლე მასალის, მხამ-ქიმიკატების, მასალებისა და სერვისების შეძენა (დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.finca.ge/products/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>);

- ✓ **სწრაფი სესხი** - ბიზნესის მარაგების შევსება; ბიზნესის გაფართოება; კომერციული ფართის რემონტი (დეტალური ინფორმაცია იხ. <https://www.finca.ge/products/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94/>);
- ✓ **ექსპრეს სესხი** - ბიზნესის მარაგების შევსება; ბიზნესის გაფართოება; კომერციული ფართის რემონტი (დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.finca.ge/products/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98/>);
- ✓ **სწრაფი აგროსესხი** - მეურნეობის გაფართოება; ფერმის რემონტი; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა; სეზონური სამუშაოების დაფინანსება (დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.finca.ge/products/%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98/>);
- ✓ **ექსპრეს აგროსესხი** - მეურნეობის გაფართოება; ფერმის რემონტი; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა; სეზონური სამუშაოების დაფინანსება (დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.finca.ge/products/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98/>);
- ✓ **მცირე და საშუალო აგროსესხი** - მეურნეობის გაფართოება; ფერმის რემონტი; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა; სეზონური სამუშაოების დაფინანსება (დეტალური ინფორმაცია იხ.: <https://www.finca.ge/products/5122-2/>).

• **კრედიტ ბანკი**

კრედიტ ბანკი გასცემს შემდეგი სახის ბიზნეს სესხებს:

- ✓ **აგრო ბიზნეს სესხები** - ბოსტნეულის ან სხვა ნებისმიერი კულტურის თესლის შესაძენად; პირუტყვის საკვებისა და მისი მოვლის საგნების, ვაქცინის შესაძენად; ტრაქტორის ან ნებისმიერი სხვა მექანიზატორული ტექნიკის შეძენა-შესაკეთებლად; სასუქის და სხვა საკულტივაციო საშუალებების შესაძენად; სასათბურე მეურნეობის გასამართად; სხვა ნებისმიერი ბიზნეს და სამომხმარებლო აუცილებლობის დასაფინანსებლად (დეტალური ინფორმაცია იხ. <http://credo.ge/ka/435/>)
- ✓ **ინდივიდუალურ ბიზნეს სესხები მცირე და საშუალო ბიზნეს მფლობელებს** - ბიზნესის განსავითარებლად; სწავლის დაფინანსებისთვის; სხვა ბიზნეს საქმიანობის დასაფინანსებლად (დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://credo.ge/ka/436/>).

• **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალი”**

გასცემს შემდეგი სახის სესხებს:

- ✓ **ბიზნეს სესხი - გაიყვამ ბიზნესის დაწყების, განვითარებისა და გაფართოების მიზნით.**

თანხა: 50-50 000 ლარი (ან 50 000 ლარის ექვივალენტი დოლარში)

ვადა: 60 თვემდე

უზრუნველყოფა: უძრავი ქონება

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://crystal.ge/ka/225/business-loan>

- ✓ **აგრო სესხი** - გაიყვამ საოჯახო მეურნეობის ფერმერულ მეურნეობად განვითარებისთვის; აგრო განვადება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე.

თანხა: 50-50 000 ლარი (ან 50 000 ლარის ექვივალენტი დოლარში)

ვადა: 48 თვე (საოჯახო მეურნეობისთვის); 12 თვე (აგრო განვადებითვის)

უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://crystal.ge/ka/227/agro-loan>

2.4. დასაქმების შესაძლებლობები

2.4.1. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები



საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის განზოგადებულ მაჩვენებლებს ადგენს და ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური შინამეურნეობების ინტეგრირებულ კვლევებზე დაყრდნობით. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ პერიოდულად ტარდება ასევე შრომის ბაზრის კვლევები⁶, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიკაცია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში ეკონომიკურად აქტიური (დასაქმებული ან უმუშევარი) იყო 1998,3 ათასი კაცი. 2015 წელთან შედარებით, მათი რიცხვი 23,2 ათასი კაცით შემცირდა, რაც ძირითადად 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის კლებით არის განპირობებული. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან **დასაქმებული** იყო 1763,3 ათასი, ხოლო **უმუშევარი** - 235,1 ათასი კაცი (7 ათასი კაცის ეკონომიკური სტატუსი გაურკვეველია, ვინაიდან შინამეურნეობის კვლევის შედეგად ვერ მოხერხდა მათი ეკონომიკური აქტიურობის დადგენა)⁷.

2010-2016 წლებში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ცვლილებაში დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა. კერძოდ, ამ პერიოდში მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე⁸ 64,2%-დან 67,5%-მდე გაიზარდა. გაუმჯობესდა ასევე მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები⁹ (2010 წელს დასაქმების დონე იყო 53,8%, 2016 წელს კი - 59,5%). უმუშევართა რაოდენობა 316,9 ათასიდან 235,1 ათას კაცამდე (81,8 ათასი კაცით) შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელიც¹⁰ (16,3%-დან 11,8%-მდე).¹¹ დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა დასაქმებულთა სტრუქტურაშიც: დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გაიზარდა დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა (126,8 ათასი კაცით) და წილი (2010 წელს-38%, 2016 წელს - 42,4%), თუმცა ჯერ კიდევ დიდია თვითდასაქმებულთა რაოდენობა (1010,9 ათასი კაცი, ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 57,6%), რაც ეკონომიკის განვითარების დაბალ დონეზე მიანიშნებს.

დასაქმების ძირითადი სექტორები დასაქმების ფორმის მიხედვით შემდეგია:

- თვითდასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. მათი წილი მაღალია ასევე ვაჭრობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე.
- დაქირავებით მომუშავეების ყველაზე მეტი რაოდენობა დასაქმებულია ეკონომიკის შემდეგ სფეროებში: 1. ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; 2. მრეწველობა (რომელიც მოიცავს მცირე ზომის საწარმოებსაც); 3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება; 4. მშენებლობა; 5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

ბოლო წლებში განსაკუთრებით იზრდება სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა, რაც ტურიზმის განვითარებასთან არის დაკავშირებული. საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება მშენებლობა. პოზიტიური ტენდენციები ფიქსირდება ასევე მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის მიმართულებითაც.

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, დასაქმების სფეროში არსებული სიტუაცია ჯერ კიდევ შორსაა სასურველისგან. ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობა, საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვის მიხედვით¹², მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად უმუშევრობას ასახელებს, საკითხის სიმწვავეს ადასტურებს.

გამოწვევები, რომლებიც დღესაც აქტუალურია საქართველოს შრომის ბაზრისთვის, შემდეგია:

- უმუშევრობის მაღალი დონე (რაც ძირითადად სამუშაო ადგილების სიმცირით არის

7 წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

8 ასახავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

9 ასახავს დასაქმებულთა წილს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

10 ასახავს უმუშევართა წილს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

11 ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, არასრული და არაეფექტიანი დასაქმების გათვალისწინებით, უმუშევრობის რეალური დონე ბევრად მაღალია და 32-35%-ს შეადგენს.

12 მაგალითად, იხ. NDI-ის კვლევის შედეგები: <https://www.ndi.org/publications>

განპირობებული);

- სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი (უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ვაკანსიების ნაწილი აუთვისებელია მოთხოვნადი პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების დეფიციტის გამო);
- მოქმედების შეზღუდული არეალი (დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია ბაზრის სიმცირის გამო);
- ნაკლები ელასტიურობა (ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისათვის საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა);
- სამუშაო ძალის დაბალი მოტივაცია (პროფესიული და ზრდასრულთა განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე არასათანადო ორიენტაცია);
- ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი (ხანგრძლივი უმუშევრობა განაპირობებს სამუშაო ძალის დეკვალიფიკაციასა და ე.წ. „ხელჩაქეული“ უმუშევრების რაოდენობის ზრდას);
- სამუშაო ძალის დაბალი ფასი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში **დაქირავებით მომუშავეთა საშუალო თვიური ნომინალურ ხელფასი** 985,0 ლარია. საშუალო ხელფასები მნიშვნელოვნად მაღალია საფინანსო (1838,3 ლარი), მშენებლობის (1469,4 ლარი) და სახელმწიფო მმართველობის (1319,7 ლარი) სექტორებში; ყველაზე დაბალია: განათლების (536,2 ლარი), სოფლის მეურნეობის (536,8 ლარი), სასტუმროებისა და რესტორნების (754,5 ლარი), სოციალური და პერსონალური მომსახურების (817,9 ლარი), ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის (868,9 ლარი), ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (921,7 ლარი) სფეროებში (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo).

საშუალო ნომინალური ხელფასის ოდენობა მთლად ზუსტად ვერ ასახავს შრომის ანაზღაურების სფეროში არსებულ რეალობას, ვინაიდან საქართველოში ძალზედ მაღალია შემოსავლების (მათ შორის ხელფასების) დიფერენციაციის ხარისხი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი - “ჯინის ინდექსი” მთლიანი (ფულადი და არაფულადი) შემოსავლების მიხედვით 0,40-ია,¹³ რაც უთანასწორობის საკმაოდ მაღალ დონეს შეესაბამება. **შესაბამისად, საქართველოსთვის აქტუალურია ე.წ. “ღარიბი დასაქმებულების” პრობლემა**, რაც იმას ნიშნავს, რომ მომუშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ხელფასები ან შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან მცირეა და ზოგჯერ იგი საარსებო მინიმუმის¹⁴ არეალშია.

საქართველოს ხელისუფლება ადექვატურად აფასებს დასაქმების სფეროში არსებულ გამოწვევებს და აქტიურ ქმედებებს ახორციელებს მათ შესამსუბუქებლად. ცხადია, დასაქმების ხელშეწყობისათვის პირველი რიგის აქტივობაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, თუმცა საჭიროა ასევე დასაქმების მხარდამჭერი სპეციალური მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც 2013 წლიდან განახლდა და ინტენსიურად ვითარდება.

2.4.2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო დაწესებულებები და პროგრამები

საქართველოში დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკასა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს შეიმუშავებს **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი**, რომლის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა:

- შრომით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- შრომის სფეროში მოქმედი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის

13 წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

14 საქართველოში ოფიციალური საარსებო მინიმუმი ყოველთვიურად დგინდება. 2017 წლის აპრილის მდგომარეობით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 170,8 ლარია, საშუალო მომხმარებლის - 151,3, ხოლო საშუალო ოჯახის - 286,5 ლარი. http://geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo



უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;

- შრომის სფეროში სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა;
- კოლექტიური შრომითი დავების რეგულირებისთვის, სოციალურ პარტნიორობებთან ერთად, მედიატორის ფუნქციების შესრულება;

• შრომისა და დასაქმების სფეროში საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციების, შეთანხმებების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფოს მხრიდან აღებულ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადება / წარდგენა;

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ამ სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო და სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა;
- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში წინადადებების შემუშავება; შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის (პროფორიენტაცია, პროფკონსულტირება, დასაქმებაში დახმარება) განვითარების მხარდაჭერა;
- სამუშაოს მაძიებლების (მ.შ. უმუშევრების) რეგისტრაციისა და აღრიცხვის მეთოდური მასალების შემუშავება;
- დასაქმების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- დასაქმების ხელშეწყობის განმახორციელებელი სამინისტროს სისტემის ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
- დასაქმების ფორუმების ორგანიზება;
- შრომითი მიგრაციის (შიდა და გარე) რეგულირებისათვის წინადადებების შემუშავება; შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- დასაქმების კერძო სააგენტოების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განვების სახელმწიფო კომისიის გადამწყვეტილების საფუძველზე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში წვევამდელთა განვების განხორციელება და მათი დასაქმების ორგანიზება;
- დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;
- დეპარტამენტში შემოსული მოქალაქეთა წერილების განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის შეთავაზებასა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - **სოციალური მომსახურების სააგენტოს "დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი"**, რომლის კომპეტენციაა:

- სამუშაოს მაძიებელთა და თავისუფალი (ვაკანტური) სამუშაო ადგილების რეგისტრაცია-აღრიცხვის ელექტრონული სისტემებისა და შესაბამის მონაცემთა ბაზების შექმნა და განვითარება;
- საქართველოს შრომის ბაზარზე საშუამავლო მომსახურების განვების ეფექტურად უზრუნველსაყოფად ცალკეულ დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარება;
- საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენის მიზნით კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განხორციელება;
- სამუშაოს მაძიებლებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებების განვება;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა ორგანიზება, განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობა;
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;

- დასაქმების ფორუმების ორგანიზება ან/და ორგანიზებაში მონაწილეობა;
- დასაქმების ხელშეწყობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

აღნიშნული დეპარტამენტის ძალისხმევით შეიქმნა და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის **დასაქმების ხელშეწყობის ვებ-პორტალი** www.worknet.gov.ge, რომლის მეშვეობით მთელი საქართველოს მასშტაბით შესაძლებელია:

- ✓ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია;
- ✓ დამსაქმებლების მიერ ვაკანსიების განთავსება.

აღნიშნულ **პორტალზე რეგისტრაციის პროცედურები მარტივი და უფასოა**. რეგისტრაციის შემდეგ სამუშაოს მაძიებლის რეზიუმე ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული დამსაქმებლისათვის და შესაძლებელია უშუალო კავშირი სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს შორის. რეგისტრაცია შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია. საჭიროების შემთხვევაში სამუშაოს მაძიებელს რეგისტრაციაში დაეხმარება სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი განყოფილების დასაქმების კონსულტანტი.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ განყოფილებაში შესაძლებელია დასაქმების საკითხებზე კონსულტაციის მიღება. კერძოდ, **დასაქმებისა და კარიერის დაგეგმვის კონსულტანტები** ეხმარებიან სამუშაოს მაძიებლებს www.worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციაში, რეზიუმეს შედგენაში, აცნობენ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას, ეხმარებიან სამუშაოს ძებნის, გასაუბრებისა და თვითპროფილაციის უნარების განვითარებაში.

პორტალზე რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებიდან ხდება ასევე იმ პირთა იდენტიფიკაცია, ვისაც სურვილი აქვს გაიაროს პროფესიული სწავლება “სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში, ან მიიღოს მონაწილეობა დასაქმების ხელშეწყობის სხვა პროგრამებში (მ.შ. დასაქმების ფორუმებში).

• **სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა**



საქართველოში 2015 წლიდან ხორციელდება “სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა”, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის #182 დადგენილებით დამტკიცდა “სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამა”.

პროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ 16 წლის ზემოთ შრომითი ქმედუნარიანობის მქონე საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სამუშაოს მაძიებლებად სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - www.worknet.gov.ge-ზე და თანახმა არიან, გაიარონ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა ან/და სტაჟირება.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების აუცილებელი პირობაა:

ა) სამუშაოს მაძიებლის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა. ამასთან, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება:

- ა.ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე (შშმპ);
- ა.ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე (სსსმპ);
- ა.გ) პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებზე, რომლებიც ჩართულები არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის

პროგრამაში;

ა.დ) ქალებზე, რომელთათვისაც ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულება შეუძლებელი გახდა ადრეული ქორწინების გამო;

ა.ე) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე;

ა.ვ) ეთნიკურ უმცირესობებზე.

ბ) სხვა თანაბარ პირობებში არსებობისას, პროგრამით **სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ:**

ბ.ა) სსსმ პირებს, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით;

ბ.ბ) შშმ პირებს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ბ.გ) იძულებით გადაადგილებულ პირებს - დევნილებს;

ბ.დ) სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;

ბ.ე) **დაბრუნებულ მიგრანტებს, რომელთა დაბრუნებიდანაც არ არის გასული 1 წელზე მეტი;**

ბ.ვ) პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ პირებს;

ბ.ზ) პრობაციონერებს;

ბ.თ) სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ 16-დან 18 წლამდე ასაკის პირებსა და ასევე სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ პირებს;

ბ.ი) „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს;

ბ.კ) ქალებს;

ბ.ლ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

ბ.მ) სსს და შშმ პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ.ნ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს;

ბ.ო) ეთნიკურ უმცირესობებს.

პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება:

ა) განუვლი მომსახურება მისი ფაქტობრივი ღირებულებისა და ოდენობის შესაბამისად, ამასთან, ერთი ვაუჩერის მაქსიმალური ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;

ბ) შშმ და სსს მქონე პირებისთვის, მოკლევადიან პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დამატებითი სერვისით მომსახურების (როგორცაა ჟესტური ენის თარჯიმნები, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი, ტრანსპორტი, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი და სხვ.) ანაზღაურება ხდება ფაქტობრივი ღირებულების რაოდენობის შესაბამისად, ამასთან, ერთი ვაუჩერის მაქსიმალური ღირებულება არ აღემატება 1500 ლარს;

გ) სტაჟირების შემთხვევაში, სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია, ამასთან, სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება თვეში 150 ლარით ერთ მოსარგებელზე;

დ) პროგრამით ანაზღაურდება ერთი მოსარგებლისთვის მომსახურებისა და/ან სტაჟირების მხოლოდ ერთი კურსი.

პროგრამას ახორციელებს სსიპ “სოციალური მომსახურების სააგენტოს” დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი. საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, ჯავახიშვილის ქ., 51

ტელ.: (+995 32) 2357895

ელ. ფოსტა: info@ssa.gov.ge

აქვეა შესაძლებელი დეტალური ინფორმაციის მიღება პროგრამაში მონაწილეობის პროცედურებსა და იმ პროფესიათა ნუსხაზე, რაშიც ხორციელდება მოკლევადიანი პროფესიული სწავლება ან

სტაჟირება, ასევე ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების შესახებ.

- **შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის #137 დადგენილებით დამტკიცებულია “დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2017 წლის პროგრამა”, რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად ითვალისწინებს:

- მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას (დასაქმების ხელშეწყობის მოდელების პილოტირების – სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით);
- დასაქმების ფორუმების მოწყობას.

პროგრამის სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სამუშაოს მაძიებელ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებთან შეთანხმების მიღწევის გზით, ახალ ან არსებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას (50%-იანი დაფინანსებით, არაუმეტეს 460 ლარისა).

დაფინანსება ხდება ვაუჩერული სისტემით. **ვაუჩერი** არის სახელმწიფოს მიერ ბენეფიციარისათვის გადაცემული, დამსაქმებელთან წარსადგენი მიმოქცევადი მატერიალიზებული ფორმის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია ბენეფიციარის შრომის ანაზღაურების ნაწილობრივ დასაფინანსებლად, მათ შორის, ადაპტირებულ სამუშაო ადგილებზე.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული შშმ/სსსმ პირები, რომლებიც გამოხატავენ მზაობას, ჩაერთონ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ღონისძიებაში.

პროგრამას ახორციელებს სსიპ - “სოციალური მომსახურების სააგენტოს” დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი. საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, ჯავახიშვილის ქ., 51

ტელ.: (+995 32) 2 35 78 95

ელ. ფოსტა: info@ssa.gov.ge

- **დასაქმების ფორუმები**

დასაქმების ფორუმების ორგანიზების მთავარი მიზანია დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა.

დასაქმების ფორუმებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პერიოდულად მართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი. ამ ფორუმებში მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაცია www.worknet.gov.ge-ზე. ფორუმში მონაწილეობის მსურველი კომპანიების წარმომადგენლები წინასწარ აკეთებენ განაცხადს მიმდინარე და პერსპექტიულ ვაკანსიებზე,

შემდეგ ხდება www.worknet.gov.ge-ზე დარეგისტრირებული პროფილური სამუშაოს მაძიებლების იდენტიფიკაცია და მოპატიჟება ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. ფორუმზე დამსაქმებლებს საშუალება ეძლევათ უშუალოდ გაესაუბრონ სამუშაოს მაძიებლებს და შეარჩიონ მათთვის შესაფერისი კადრი. დასაქმების ფორუმების შედეგების ანალიზი მოწმობს, რომ ეს პრაქტიკა საკმაოდ ეფექტიანია დასაქმების ხელშეწყობისათვის.

დასაქმების ფორუმებისა და დასაქმების ხელშეწყობის სხვა სახელმწიფო პროგრამებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს “დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი”, რომლის საკონტაქტო ინფორმაციაა:

მის.: თბილისი, ჯავახიშვილის ქ., 51

ტელ.: (+995 32) 235 78 95

ელ. ფოსტა: info@ssa.gov.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო შედის აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. სააგენტოს აქვს ტერიტორიული განყოფილებები აჭარის არ-ის ყველა მუნიციპალიტეტში. კერძოდ, სააგენტოს შემადგენლობაშია:

- ბათუმის განყოფილება;
- ქობულეთის განყოფილება;
- ხელვაჩაურის განყოფილება;
- ქედის განყოფილება;
- შუახევის განყოფილება;
- ხულოს განყოფილება.

სააგენტოს ფუნქციები:

- ა) აჭარის არ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია და აღრიცხვა;
- ბ) სამუშაოს მაძიებელი პირების მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება;
- გ) სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება;
- დ) დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება;
- ე) სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება/ორგანიზება სხვადასხვა სფეროში;
- ვ) შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა;
- ზ) დასაქმებულთა აღრიცხვა და მონაცემთა შევსება/განახლება;
- თ) საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ი) აჭარის არ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება;
- კ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და საზოგადოებისათვის მიწოდება.

სააგენტოს ვებ-გვერდზე (<http://hrajara.gov.ge>) შესაძლებელია როგორც სამუშაოს მაძიებლების, ისე დამსაქმებლების ონლაინ-რეგისტრაცია. საიტზე განთავსებულია კონკრეტული ვაკანსიები. სააგენტოს თანამშრომლები უზრუნველყოფენ ვაკანსიის შესაფერისი კადრის მოძიებას, შერჩევასა და დამსაქმებელთან დაკავშირებას.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით **სააგენტო ახორციელებს ასევე “პროფესიული გადამზადების პროგრამას”, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამას, პერიოდულად ატარებს დასაქმების ფორუმებს და ა.შ.**

დეტალური ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://hrajara.gov.ge/ge/news>

სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 70/72

ტელ: (+995 422) 24 78 83

ელ. ფოსტა: info@hrajara.gov.ge

2.4.3. დასაქმების კერძო სააგენტოები

საქართველოში საკმაოდ დიდია დარეგისტრირებული დასაქმების კერძო სააგენტოების რაოდენობა, თუმცა მათი საქმიანობა, რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხშირად დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე ცნობილი და პოპულარულია დასაქმების ისეთი ვებ-პორტალები (სახელმწიფო და კერძო), როგორცაა:

- www.jobs.ge
- www.hr.ge
- www.hr.gov.ge (საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდი)
- www.worknet.gov.ge (შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდი)
- www.teacherjobs.ge (მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდი)
- www.dr.ge (სამედიცინო ვაკანსიების ვებ-გვერდი)
- www.myvacancy.ge
- www.myjobs.ge
- www.staff.ge
- www.insource.ge
- www.dasaqmeba.ge
- www.saqme.ge
- www.jobs24.ge

დასაქმების კერძო სააგენტოებიდან, რომლებიც შედარებით აქტიურად ფუნქციონირებენ საქართველოში და სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობენ საშუამავლო მომსახურებას, შემდეგია:

- **“ეიჩარი”** - დასაქმება, კადრების შერჩევა
მის.: თბილისი. თოფურიას ქ. 12
ტელ: (+995 32) 219 33 33; მობ.: 577 15 30 38
ელ. ფოსტა: info@hr.com.ge
ვებ-გვერდი: www.hr.ge
- **„ეიჩარ აუტსორსინგი“** - დასაქმება, კადრების შერჩევა
მის.: თბილისი. გამრეკელის ქ. 19
მობ.: 599 24 58 16.
ელ. ფოსტა: info@hroutsourcing.ge
ვებ-გვერდი: www.hroutsourcing.ge
- **„ერთობა“** - დასაქმება, კადრების შერჩევა - ორგანიზაციები
მის.: თბილისი. აღმაშენებლის გამზ. 108, სართ. 3
ტელ: (+995 32) 294 18 29; მობ.: 593 18 71 10
- **„ქიმენჯმენტსოლუშენს“** - კადრების შერჩევისა და კონსულტაციის სააგენტო
მის.: თბილისი. ძმ. კაკაბაძეების ქ. 18
ტელ: (+995 32) 225 05 67
ელ. ფოსტა: maia.tsereteli@kmsgeorgia.com
ვებ-გვერდი: www.kmsgeorgia.ge
- **„ნიუსერვისი“** - დასაქმება, კადრების შერჩევა - მომსახურების პროფილი: ძიებები და მომვლევები

მის.: თბილისი. პეკინისქ. 34

ტელ: (+995 32) 218 19 26; მობ.: 568 18 19 17

ელ. ფოსტა: info@newservice.com.ge

ვებ-გვერდი: www.newservice.com.ge

- **„ბაია“** - დასაქმება, კადრების შერჩევა - მომსახურების პროფილი: ძიძები და მომვლელები
მის.: თბილისი. ჯორჯაძისქ. 5
მობ.: 598 857 657; 514 51 24 24; 570 50 88 61
ელ. ფოსტა: jana.shalikashvili@gmail.com
ვებ-გვერდი: www.hrbaia.com
- **„ბებიისიტერი“** - დასაქმება, კადრების შერჩევა - მომსახურების პროფილი: ძიძები და მომვლელები
მის.: თბილისი. ე. გაბაშვილისქ. 7
ტელ: (+995 32) 218 19 17; მობ.: 571 00 00 22
ელ. ფოსტა: info@babysitter.ge
ვებ-გვერდი: www.babysitter.ge
- **„აქტივლისტინგი“** - დასაქმება, კადრების შერჩევა
მის.: თბილისი. პეკინისქ. 17
მობ.: 592 51 11 66
ელ. ფოსტა: activlisting.hr@gmail.com
- **“L.M.K.”** - პერსონალის შერჩევა და დასაქმება
მის.: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 13, 3 სართული.
მობ.: 568 65 55 99
ვებ-გვერდი: <http://lmk.ge/>
- **“POSEIDON CREWING AGENCY”** - მებღვაურთა დასაქმება
მის.: ბათუმი, ელიავას ქ. 8
ტელ: (+995 222) 723 91,
info@poseidonagency.com
- **“ელსერი”** - მებღვაურთა დასაქმება
მის.: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 15/4,
ტელ: (+995 222) 749 03,
ელ. ფოსტა: crew@elserimarine.com

2.4.4. დასაქმების მხარდამჭერი სხვა პროგრამები/პროექტები

- **ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა**

პროგრამას ახორციელებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების უზრუნველყოფა. კერძოდ:

- ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოზარდებსა და ახალგაზრდებს გააზრებული პროფესიული გადამწყვეტილების მიღებაში, პროფესიის არჩევის, კომპეტენციების ათვისების, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.
- ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს განუვითარდეთ სამეწარმეო და ინოვაციური კომპეტენციები, შესაბამისი უნარ-ჩვევები, რათა შესაძლებლობა მიეცეთ აქტიურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები პიროვნული განვითარებისთვის, დასაქმებისთვის, სტარტაპის დაწყებისა და თვითდასაქმებისთვის.
- მოხალისეობის განვითარების პროგრამა - „საქართველოს მოხალისე“ - პროგრამის მიზანია ეროვნულ დონეზე მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის შექმნა საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია. მოხალისეთა მიერ განეული შრომის წახალისება.

პროგრამის განხორციელების ვადა: 01.01.2017- 31.12.2017

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://msy.gov.ge>

• **დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ - „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“**.

პროგრამის ფარგლებში სააგენტო ყველა დევნილს აუნაზღაურებს მხოლოდ იმ ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის ტრანსპორტირებასთან საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და პირიქით.

დევნილმა, რომელსაც სურს გახდეს ამ პროგრამის ბენეფიციარი, განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს, კოლეჯს, სადაც ჩაირიცხა და დააფიქსიროს მისი საჭიროება. განაცხადის გაკეთება შესაძლებელია, როგორც ქ. თბილისში, სააგენტოს ოფიციალურ მისამართზე (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა), ასევე სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში შემდეგ მისამართებზე:

• **აჭარისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო**

მის.: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 87

ტელეფონი: (+995 415) 25 14 86

• **იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო**

მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზ. 27

ტელ.: (+995 431) 27 18 25; 27 17 61

• **შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანო**

ქ. გორი, შმაგის ქ. 1

ტელ.: (+995 370) 27 84 91

დევნილს შეუძლია განაცხადის შევსებული ფორმა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, შემდეგ მისამართზე: info@livelihood.gov.ge

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. განმცხადებლის პირადობის მონმობის ასლი;
2. დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მონმობის ასლი;
3. ცნობა სასწავლებლიდან ჩარიცხვის წლის მითითებით;

4. განმცხადებლის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

5. განაცხადის მიღების თვეში აღებული ამონაწერი სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ბაზიდან (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სოციალურად დაუცველია).

კერძო ტრანსპორტის მოთხოვნის შემთხვევაში, განაცხადს თან დაურთეთ საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ: შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობა და ა.შ.)

პირი, რომელსაც სურს გახდეს სააგენტოს „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ბენეფიციარი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში და ფლობდეს დევნილის აქტიურ სტატუსს;
- სწავლობდეს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უნდა იყოს 2016 ან 2017 წელს.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://livelihood.gov.ge/ge/current-programs/25-devnilta-propesiuli-ganatilebis-khelshtskhobis-programa>

სსიპ - „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“-ს საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0186, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ., 15ა.

ტელ.: (+995 32) 214 02 43/42/41

ელ-ფოსტა: info@livelihood.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://livelihood.gov.ge/>

ფეისბუქი: <https://www.facebook.com/IDPagency/>

- **USAID - „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“**

დონორი: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

ახორციელებს: საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები.

პერიოდი: 2020 წლის ივნისის ჩათვლით.

სამიზნე ჯგუფი: 18-25 წლის ახალგაზრდები (შესაძლებელია უფრო პატარა ასაკის ახალგაზრდების ჩართვა არაპირდაპირ ბენეფიციარებად).

პროგრამის ახალგაზრდული კომპონენტი სხვა სახის აქტივობებთან ერთად მოიცავს ახალგაზრდების თვითდასაქმების სტიმულირებისათვის მიკრო-გრანტების გაცემას, საორიენტაციო ტრენინგებს დასაქმებისთვის, თანამშრომლობას კერძო სექტორთან და სხვ.

გეოგრაფია: საქართველოს რეგიონები

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე:

<http://atinati.org/?p=931>; <http://sknews.ge/index.php?newsid=7078>

- **ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო - „ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა“**

დონორი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

პერიოდი: 2017-2020 წლები

სამიზნე ჯგუფი: ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს მოტივაცია და პოტენციალი გახდეს ცვლილებების ინიციატორი.

პროგრამა სხვა სახის აქტივობებთან ერთად ითვალისწინებს მცირე გრანტების გაცემას აქტიურ მოქალაქეებზე, რომ მათ პრაქტიკაში გამოიყენონ ლიდერული უნარები: შეძლონ თემების მობილიზება,

მოიზიდონ თანხები სათემო პროექტებისათვის, განახორციელონ სხვადასხვა სახის ადვოკატირების კამპანიები და მთავრობის საქმიანობის მონიტორინგი.

გეოგრაფია: საქართველოს რეგიონები

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე: http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=6

2.5. განათლება

2.5.1. საქართველოს განათლების სისტემა



საქართველოს განათლების სისტემა შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- ზოგადი განათლება;
- პროფესიული განათლება;
- უმაღლესი განათლება.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს აწესრიგებს 2016 წლის 8 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

ადრეული აღზრდა და განათლება არის დაბადებიდან 2 წლამდე (ადრეული) ასაკის ბავშვისთვის და მისი მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მიწოდებული მომსახურება, რომელიც მოიცავს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული ასაკის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების მომსახურებებს.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება – 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია სასკოლო მზაობის პროგრამა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) შეიძლება იყოს მუნიციპალური ან კერძო. მუნიციპალიტეტი ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია დაწესებულება დააფუძნოს მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, კერძო კი შეიძლება დაფუძნდეს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების განსახორციელებლად **დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია. დაწესებულების ავტორიზაციას** ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. დაწესებულების ავტორიზაცია უფასოა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) ბავშვების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს მუნიციპალიტეტი ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო კერძო დაწესებულებებში - ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში ხარიცხვა ელექტრონული რეგისტრაციის ფორმით ხორციელდება. რეგისტრაციის წესები და პროცედურები ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამისი ნორმატიული აქტით და საჯაროა. ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაცია, როგორც წესი, მიმდინარეობს სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე (მარტ-აპრილში).

დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტული მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სააგენტოში/გაერთიანებაში.

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო - www.kids.org.ge
- ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება - www.batumikids.ge
- ა(ა)იპ ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება - fb/ ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაა(ა)იპ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება - www.rustavikids.ge

ზოგადი განათლება

საქართველოში ზოგად განათლებას არეგულირებს 2005 წლის 8 აპრილის კანონი "ზოგადი განათლების შესახებ". კანონის თანახმად, საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს:

- I. დაწყებითი განათლება (1-6 კლასები);
- II. საბაზო განათლება (7-9 კლასები);
- III. საშუალო განათლება (10-12 კლასები).

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების **მინიმალური ასაკია 6 წელი**. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები.

დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა.

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევა და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერა მის დადასტურებას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში (საჯარო, კერძო) სწავლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით.**

სახელმწიფო სწავლისათვის განუვალ ხარჯებს ანაზღაურებს იმ სკოლაში, რომელიც ახორციელებს დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო ზოგად საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძო და საჯარო სკოლაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით **სახელმწიფო დაფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია, ან თუ იგი წარმოადგენს ახალდაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.**

აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა ყველა ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის, აგრეთვე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ, განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მათი აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია (ინკლუზიური სწავლება). ასეთ მოსწავლეთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმითაც. ექსტერნატის ფორმით მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია აკრედიტებული

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. ექსტერნს უფლება აქვს მიიღოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მხოლოდ ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დაძღვევის შემთხვევაში. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს **სხვა ალტერნატიული ფორმებით**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის **პირველ კლასში ჩარიცხვა ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის წესით. როგორც წესი**, რეგისტრაცია იწყება მოცემული წლის აპრილის თვეში და ხორციელდება 2-3 ეტაპად. რეგისტრაციის პირობებსა და წესებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რეგისტრაციის წესებსა და პროცედურებზე დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://emis.ge/newss/1713/>

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list

2015 წლიდან სრული ზოგადი განათლების დასრულების ეტაპზე მე-12 კლასელთათვის ტარდება სკოლის გამოსაშვები გამოცდები შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა. 2017 წლის **სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამები იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://naec.gov.ge/#/ge/post/1551>.**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით დაძღვევის შემთხვევაში სკოლა გასცემს ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

პროფესიული განათლება

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, პროფესიული განათლების სახეებს, საფეხურებსა და დაფინანსების პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი “პროფესიული განათლების შესახებ (28.03.2007).

საქართველოში **პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, რომელსაც მიღებული აქვს მინიმუმ ზოგადი საბაზო (9 კლასის) განათლება.**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს**, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

- I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;
- II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;
- III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;
- V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

კონკრეტული პროფესიის შესასწავლად განათლების საფეხურები განისაზღვრება **პროფესიული სტანდარტით**, რომელიც მოიცავს განათლების ერთ-ერთ, რამდენიმე ან ყველა საფეხურს. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი **პროფესიული დიპლომი**.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები: პროფესიული კოლეჯი და საზოგადოებრივი კოლეჯი.

პროფესიული კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საზოგადოებრივი კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიძლება იყოს სახელმწიფო (საჯარო) ან კერძო. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია სავალდებულოა. სახელმწიფო ცნობს მხოლოდ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ პროფესიულ დიპლომს.

ავტორიზებული სახელმწიფო და კერძო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=215&lang=-geo>

საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის მსურველების რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის წესით სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე (როგორც წესი, მარტ-აპრილში). დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://vet.emis.ge/#/>.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხდება პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე.

პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **საჯარო კოლეჯებში პროფესიული სტუდენტის სწავლების დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერული სისტემით.**

პროფესიული სასწავლებლები სწავლებას ახორციელებენ ასევე **მოკლევადიანი სასწავლო პროგრამებით**. მოკლევადიანი სასწავლო კურსების ხანგრძლივობა 2-4 თვეა, სწავლება ფასიანია და მათი ღირებულება 200-დან 1500 ლარამდე მერყეობს.

ინფორმაცია პროფესიული კოლეჯების სასწავლო პროგრამების შესახებ განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე (სასწავლებლების ვებ-გვერდზე გადასვლისათვის გამოიყენეთ ბმული: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>, ასევე ვებ-გვერდი: <http://vet.ge/>)

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების სფერო საქართველოში რეგულირდება 2004 წლის 21 დეკემბრის კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ”.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისაგან:

- პირველი საფეხური - ბაკალავრიატი (საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს);
- მეორე საფეხური - მაგისტრატურა (120 კრედიტი);
- მესამე საფეხური - დოქტორანტურა (180 კრედიტი).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.

ბაკალავრიატის პროგრამის გავლა აუცილებელი წინაპირობაა მაგისტრატურაში სასწავლებლად ან სამუშაოდ პოზიციამზე, სადაც აუცილებელია უმაღლესი აკადემიური კვალიფიკაცია.

მაგისტრატურა აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია და იგი მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას.

დოქტორანტურა აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია და მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს. დოქტორანტურის კურსის წარმატებულად გავლის შემდეგ მკვლევარს დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები:

ა) უნივერსიტეტი; ბ) სასწავლო უნივერსიტეტი; გ) კოლეჯი; დ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კანონითაა დაფუძნებული.

უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურების ან სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის - მაგისტრატურის - საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. **ავტორიზაცია** არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. **სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც **გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დეტალური ინფორმაცია იხ. <http://www.naec.ge/#/ge/post/1431>). ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შესაძლებელია ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის/საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელება. დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=6772&lang=geo> .

სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრობის კანდიდატები აბარებენ **საერთო სამაგისტრო გამოცდას**. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მაგისტრობის კანდიდატები სპეციალობის გამოცდას უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ. დეტალური ინფორმაცია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შესახებ, ასევე ტესტების ნიმუშები იხ. სააგენტოს ვებ-გვერდზე: <http://www.naec.ge/#/ge/index> .

ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში (სახელმწიფო, კერძო) ჩარიცხული სტუდენტების სწავლების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სასწავლო გრანტების სახით. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობა როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში 2017-2018 სასწავლო წლისთვის შეადგენს 2250 ლარს ერთი სასწავლო წლისათვის (სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მაქსიმალური საფასურის შესაბამისად). გრანტის მიღების შემთხვევაში სხვაობა დაფინანსების ოდენობასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების მიერ დადგენილ სწავლების საფასურს შორის (თუ სწავლების საფასური აღემატება გრანტის მაქსიმალურ ოდენობას ან სტუდენტმა მიიღო ნაწილობრივი დაფინანსება) სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ. **დოქტორანტის დაფინანსება**

ხორციელდება თვითდაფინანსების და/ან საუნივერსიტეტო დაფინანსების ფორმით. ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დოქტორანტურის პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის #128/ნ ბრძანებით დამტკიცებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი და პირობები, რომლის საფუძველზე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს საგრანტო კონკურსს სასწავლო-კვლევითი გრანტების გაცემის მიზნით. საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნას. საგრანტო კონკურსის ჩატარებისა და შესაბამისი პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://www.rustaveli.org.ge/> (მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის #1, III სართ. ელ.ფოსტა: info@rustaveli.org.ge. ტელეფონი: 2 200 220).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **სწავლების ენა** არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან).

საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია იხ.: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo>

2.5.2. უცხოეთში მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარება

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს:

- უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას;
- პროფესიული განათლების აღიარებას;
- აკადემიური კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **დისტანციურად მიღებული განათლების აღიარებას**, რა დროსაც სასწავლო პროცესი სრულად ან ნაწილობრივ მაინც არ ხორციელდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე პროფესორ – მასწავლებლისა და სტუდენტის საკონტაქტო საათების ფარგლებში.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** (შემდგომში - ცენტრი), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" შესაბამისად.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, ცენტრში შეიძლება წარდგენილ იქნეს საგანმანათლებლო დოკუმენტი ან მისი ასლი; ხოლო უცხოეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში, განმცხადებელი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დოკუმენტის ნაცვლად, განცხადებას დაურთოს მის ხელთ არსებული სხვა დოკუმენტ(ებ)ი ან/და მიუთითოს ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

უცხოეთში მიღებული განათლების ან კვალიფიკაციის აღიარების მიზნით ცენტრი ადგენს:

- ა) გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში, და არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (ნამდვილობის დადასტურება);

ბ) უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან (შესაბამისობის დადგენა).

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ცენტრი უკავშირდება შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემ დანესებულებას. საკითხის გადაწყვეტისათვის ცენტრი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი, მათ შორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნებისთვის, პირის საზღვარგარეთ ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

შესაბამისობის დადგენისას ცენტრი ადგენს უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის, სწავლის პერიოდში მიღებული სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან.

შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრი:

- ა) აღიარებს უცხოეთში მიღებულ განათლებას; ან
- ბ) უარს ამბობს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე.

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარება

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე, **ცენტრის მიერ საბოლოო დასაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობას** სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებას თან ერთვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში).

იმ პირების განათლების აღიარების მიზნით, რომლებიც ვერ ახერხებენ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დადასტურებას, ცენტრი ატარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებას და შედეგებს აცნობებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც გააგრძელა პირმა სწავლა. **თუ ამ წარმოების შედეგად ვერ დადასტურდა პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტი, პირი უფლებამოსილია საგნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებული პირის ან ცენტრის მიმართვიდან 10 დღის ვადაში, ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, ადგენს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ან ცენტრის მიმართვაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან და შეიმუშავებს დასკვნას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.

აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ან აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება განათლების აღიარების /აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.

პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით.**

იმ შემთხვევაში, თუკი პირმა ვერ შეძლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების დაძლევა სასწავლო წლის დასრულებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მოსწავლე გადაიყვანოს მომდევნო კლასში.

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარება

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან, რის შემდეგაც ცენტრი მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რასაც თან ერთვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები.

ცენტრი აღიარებს პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებულ სწავლის შედეგებს, ხოლო უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადანყვეტილებას იღებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

ცენტრის მიმართვის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულება 10 დღის ვადაში ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, **თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ**, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების ავტომატურად აღიარების საფუძველია. ასეთ შემთხვევაში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლება აღიარებულად ითვლება აღიარებისათვის გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიუხედავად.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდებზე: <http://eqe.gov.ge/geo/static/213>;

<http://eqe.gov.ge/res/docs/2017010515295498.pdf>

2.5.3. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას სსიპ



- **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

პროცედურა

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება (განცხადება შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელ. ფოსტის მეშვეობით) განცხადების ფორმა განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://eqe.gov.ge/geo/static/167/Recognition-of-Education/recognition>
2. საგანმანათლებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

3. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (უცხოური დოკუმენტის შემთხვევაში სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
4. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში - უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
5. შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დეტალური ინფორმაცია პროცედურებსა და საფასურზე იხ. ვებ-გვერდებზე: <http://eqe.gov.ge/geo/static/167/Recognition-of-Education/recognition>; <http://eqe.gov.ge/res/docs/2017010515295498.pdf>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0193 ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N1 (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ყოფილი შენობა)


ტელ.: (+995 322) 200 220 (*3599)

ელ. ფოსტა: info@eqe.ge

ვებ-გვერდი: <http://eqe.gov.ge/>

2.5.4. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია

დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია ნიშნავს დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმოწერი პირის უფლებამოსილების, ხოლო დოკუმენტის ბეჭდით ან შტამპით დამოწმების შემთხვევაში – მათი ავთენტურობის დამოწმებას.



უცხო ქვეყანაში წარსადგენად საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტები საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზაციას, თუმცა მინსკის 1993 წლის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნების¹⁵ შემთხვევაში შესაძლებელია დოკუმენტი შესაბამის სახელმწიფოში წარდგენილ იქნას დამოწმების გარეშეც.

რა განსხვავებაა დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებასა და დოკუმენტის ლეგალიზაციას შორის?

დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება მარტივი ერთსაფეხურიანი პროცედურაა და გულისხმობს დოკუმენტის გამცემი უწყების გათვალისწინებით, დოკუმენტის დამოწმებას ერთი-ერთი შესაბამისი უწყების მიერ:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტო.

აღნიშნული უწყებების მიერ აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტები პირდაპირ წარედგინება შესაბამისი ქვეყნის უწყებებს.

დოკუმენტის ლეგალიზაცია სამსაფეხურიანი პროცედურაა.

- პირველი ეტაპის განმახორციელებელი, დოკუმენტის გამცემი უწყების გათვალისწინებით, ორგანებია ერთ-ერთი აღნიშნული უწყება: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ან სსიპ - მომსახურების სააგენტო;
- მეორე ეტაპში მონაწილეობს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტი;
- მესამე ეტაპს ახორციელებს დოკუმენტის მიმღები ქვეყნის დიპლომატიური / საკონსულტაციო დანესტრუქტურა.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (იუსტიციის სახლი) აპოსტილით ან ლეგალიზაციით ამოწმებს შემდეგ დოკუმენტებს:

15 ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა.

- ✓ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემულ დოკუმენტებს ;
- ✓ სანოტარო აქტებს, გარდა სანოტარო აქტებისა, რომელიც ეხება ასლის დედანთან სისწორეს და თარჯიმნის ხელმოწერის დამოწმებას;
- ✓ სამედიცინო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემულ დოკუმენტებს (ჯანმრთელობის ცნობა, სხვ.);
- ✓ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ ოფიციალური დოკუმენტის ასლს;
- ✓ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ თარგმანს.

დეტალური ინფორმაცია დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის პროცედურებისა და საფასურის შესახებ იხ. იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე: <http://psh.gov.ge/main/page/1/74>

2.5.5 ქართული ენის სწავლების პროგრამები და კურსები

ქართული ენის სასწავლო კურსები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ხორციელდება რიგი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. ესენია:

- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი**, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში, ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ტარდება ისეთი კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობებისთვის, ხელს უწყობს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა და ასევე, ეროვნული უმცირესობების ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ენის ფლობისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების, სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“**.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=256&lang=geo

- თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ცენტრის ბაზაზე, **ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს დახმარებით შექმნილია ქართული ენის შესწავლის ონლაინ პროგრამა www.ICE.ge/elearning_geo**, რომელიც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის არის განკუთვნილი.

„ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსი“ არის პირველი უფასო ონლაინ პროდუქტი. კურსი აგებულია ენის ფლობის დონეთა ევროპული სტანდარტის მიხედვით. ენის შესწავლის უახლესი ონლაინ მეთოდოლოგიის საშუალებით, მოქალაქეები შეისწავლიან ლექსიკას, გრამატიკას, ფრაზეოლოგიას; გამართავენ მეტყველებას, დახვეწენ წერის კულტურას.

ელექტრონული კურსის მოხმარება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ვისაც ხელი მიუწვდება კომპიუტერსა და ინტერნეტზე. ასაკიც შეუზღუდავია. **ყველა ინსტრუქცია და გრამატიკის ბლოკი წარმოდგენილია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე**.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=3273

- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ხორციელდება „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების“ პროგრამა**.

დეტალური ინფორმაცია იხ.: http://www.geofl.ge/#!/page_proect

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, 0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N 52

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ქართული ენის სამმართველო
ტელ.: (+995 32) 220 02 20
ელ.ფოსტა: geolang@mes.gov.ge

- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წელს ახორციელებს “საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას”,** რომლის კომპონენტია ქართული ენის სწავლება იმ უცხოელებისათვის, ვისაც აქვს ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა.

ტელ.: (+995 32) 231 15 79

ელ.ფოსტა: rrd@mra.gov.ge

- **უცხო ენებისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო ცენტრი “Global Education Georgia”** – ქართული ენის სწავლების სპეციალური კურსი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და საქართველოს არაქართულენოვან მოსახლეობისათვის.

დეტალური ინფორმაცია იხ.: http://geg.ge/index.php?option=com_courses&view=course-sitems&id=10&catid=1&Itemid=6&lang=ka

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ.#7, I სართული, შესასვლელი პირდაპირ ქუჩის მხრიდან (იუსტიციის უმაღლესი სკოლის გვერდით).

ტელ.: (+995 32) 237 43 81; 223 10 10

ელ. ფოსტა: info@geg.ge

- **სასწავლო ცენტრი “აიელსი” (ILC)**- ქართული ენის სწავლების კურსი უცხოელებისათვის. დეტალური ინფორმაცია იხ.: http://www.ilc.ge/index.php?lang=geo&page=Georgian_Language

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, ჰოლბრუკის ქ. 29/31, II სად. IV სართ. (ისანისრაიონის გამგეობის გვერდითსაა თიანიკორპუსი, კარფურისწინ)

ტელ.: (+995 32) 227 36 01; 277 62 06; მობ: 595 42 49 89

ელ. ფოსტა: ilcposta@gmail.com

- **უცხო ენების თბილისის ცენტრალური სკოლა TCS** – ქართული ენა უცხოელებისათვის. დეტალური ინფორმაცია იხ.: <http://tcs.ge/about.php?p=9>

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, ვერა, ა.ხორავას ქ #7

ტელ.: (+995 32) 222 52 72; 214 72 52

ელ. ფოსტა: info@tcs.ge

ვებ-გვერდი: www.tcs.ge

2.6. ჯანდაცვა

2.6.1. საქართველოს ჯანდაცვის სისტემა



საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ძირითად პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ფინანსური რისკებისაგან დაცვა, ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილება, არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება და ჯანდაცვის საჭიროებებზე რეაგირება წარმოადგენს.

2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ სათავე დაუდო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უნივერსალურ მოცვას და ჯანდაცვის

სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურებით.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან დაფინანსდა 2,4 მილიონზე მეტი შემთხვევა, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ოჯახების გაღარიბების თავიდან აცილება უზრუნველყო.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა, მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და პრიორიტეტულ სფეროებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროგრამებით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები მოიცავს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის, ტუბერკულოზის, მალარიის, ვირუსული ჰეპატიტების, აივ ინფექცია/შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის.

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში გულისხმობს ინტეგრირებული სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურების, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების, სოფლის ექიმის და რეფერალური მომსახურების პროგრამების მეშვეობით.

ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

ინფორმაცია საქართველოში ფუნქციონირებადი სამედიცინო დაწესებულებების ტიპის, სამედიცინო აღჭურვილობა

ბის, პროფილის, შეთავაზებული სამედიცინო სერვისის, სამედიცინო პერსონალის, მოქალაქის სამედიცინო დაზღვევის (თუ რომელ სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება აღრიცხვაზე) და სხვ. შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: www.cloud.moh.gov.ge.

2.6.2. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

პროგრამის მოსარგებლე პირები არიან:

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები¹⁶;
- ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები¹⁷ ;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები¹⁸ ;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები¹⁹ ;

- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები .

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – **სოციალური მომსახურების სააგენტო**.

პროგრამის ფარგლებში შესაბამისი **მომსახურების მიმწოდებელია** პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმხორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

პროგრამა ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას:

ა) **ამბულატორიული მომსახურება** (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირველად ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვის საფუძველზე):

ა.ა) ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის:

ა.ა.ა) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფა (მხოლოდ აცრა-ვიზიტი) და სამიზნე მოსახლეობის ადეკვატური მოცვა;

ა.ა.ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები;

ა.ა.გ) დაავადებათა დიაგნოსტიკა, მართვა და რეფერალი საჭიროების შესაბამისად;

ა.ა.დ) ლაბორატორიული გამოკვლევები ექსპრეს დიაგნოსტიკური მეთოდით: შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში;

ა.ა.ე) ფტიზიატრიული, ფსიქიატრიული და ენდოკრინული პაციენტების გამოვლენა და რეფერალი სპეციალიზებულ დანესებულებაში;

ა.ა.ვ) ინკურაბელურ და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მეთვალყურეობა;

ა.ა.ზ) ამბულატორიულ დონეზე სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო დოკუმენტაციის (მათ შორის, საანგარიშგებო და სტატისტიკური ფორმები) წარმოება, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა (გარდა სამსახურის დანყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა);

ა.ა.თ) სამედიცინო პრაქტიკის წარმოება ქვეყანაში დამტკიცებული გაიდლაინების და პროტოკოლების და/ან აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;

ა.ა.ი) სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში);

ა.ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით: ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი;

ა.გ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე შემდეგი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფია, მუცლის ღრუს ექოსკოპია (სისტემების მიხედვით, ტრანსაბდომინალურად) და გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია - ელექტროკარდიოგრაფია არ ითვალისწინებს

16 ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას და მის საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. წყარო: <http://www.psh.gov.ge/main/page/6/365>

17 მოქალაქეობის არმქონე პირი – პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად. წყარო: საქართველოს კანონი “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806>

18 თავშესაფრის მაძიებელი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას და რომლის მიმართაც გადანყვეტილება ჯერ არ არის მიღებული ან რომლის მიმართაც სასამართლო გადანყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა. წყარო: იხ. საქართველოს კანონი “საერთაშორისო დაცვის შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780>

19 ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ჰუმანიტარული სტატუსი. წყარო: საქართველოს კანონი “საერთაშორისო დაცვის შესახებ”. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780>

თანაგადახდას, მუცლის ღრუს ექოსკოპია და გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია – ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 30%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან;

ა.დ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები:

ა.დ.ა) სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი - არ ითვალისწინებს თანაგადახდას;

ა.დ.ბ) გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო (INR) - არ ითვალისწინებს თანაგადახდას;

ა.დ.გ) ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი TSH;

ა.ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა;

ა.ვ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა);

ბ) სტაციონარული მომსახურება:

ბ.ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე - 15 000 ლარი;

ბ.ბ) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები - წლიური ლიმიტი 15 000 ლარი.

ბ.გ) ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა (მათ შორის, დღის სტაციონარი), კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები (გარდა ჯანდაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ონკოპემატოლოგიური მომსახურებისა) - წლიური ლიმიტი 12 000 ლარი.

ბ.დ) მშობიარობა - ლიმიტი 500 ლარი, საკეისრო კვეთა - ლიმიტი 800 ლარი.

პროექტის ფარგლებში ცალკეული დაავადებების მიხედვით განეული **სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პირობები დეტალურად განერილია** "საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით. დადგენილება იხ. ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/sakoveltao-jandacva/01.03.2017.pdf).

2017 წლის 1 მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დიფერენცირებული პაკეტი ამოქმედდა. კერძოდ:

- სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს:
- ა) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი სპეციალური სერვისების მოცულობა უცვლელად უნარჩუნდებათ;
- ბ) არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.
- სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ 70 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს:
- ა) უნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტი
- ბ) არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.
- ყოველთვიურად 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები, თვითდასაქმებული, არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეები:
- ა) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მცირედ შეზღუდული პაკეტით სარგებლობენ;
- ბ) კერძო დაზღვევის არსებობის შემთხვევაში უნარჩუნდებათ გადაუდებელი სერვისების დაფინანსება;
- გ) უნარჩუნდებათ ონკოლოგიური დაავადებების (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) მკურნალობა და მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

- სამუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს:
- ა) სარგებლობენ ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით;
- ბ) უნარჩუნდებათ ონკოლოგიური (ქიმიო და ჰორმონოთერაპია) დაავადებების მკურნალობა;
- გ) მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.
- მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ.
- პროგრამის ფარგლებში ყველა მოქალაქეს უნარჩუნდება მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

ყველა მოქალაქეს შეეძლება ჯანდაცვის სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამებით სრულფასოვნად სარგებლობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური მონაცემების და არა ოჯახის შემოსავლის მიხედვით.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებათ.

დეტალური ინფორმაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიფერენცირებული პაკეტების შესახებ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვებ-გვერდზე: <http://www.moh.gov.ge/ka/529> ან დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე: 15 05.

2.6.3. C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამა

“C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამა” დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის -169 დადგენილებით (დადგენილება იხ. ვებ-გვერდზე:

http://ssa.gov.ge/files//01_GEO/JAN_PROG/C-Hepatitis/C_hepatiti_N169.pdf).

პროგრამის მიზანია, საქართველოში C ჰეპატიტით გამონვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ეტაპობრივი უზრუნველყოფის გზით.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - **სოციალური მომსახურების სააგენტო.**

პროგრამაში ჩართვის პირობებსა და პროცედურებზე, ასევე დაფინანსების ოდენობაზე, მკურნალობის რეჟიმისა და სავალდებულო პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1147

2.6.4. ჯანდაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამები



საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის #638 დადგენილებით დამტკიცებულია **ჯანმრთელობის დაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამები**.

ჯანდაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების კომპონენტებია:

➤ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) კიბოს სკრინინგს, მათ შორის:

ა.ა) ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტული კიბოს სკრინინგი. კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდება სკრინინგული გამოკვლევები ქვეყნის მასშტაბით, გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსარგებლეებისა. მათ შორის, ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი - 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის. გამოკვლევები ჩატარდება სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში;

ა.ბ) საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებულ სკრინინგს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით;

ა.გ) პროსტატის კიბოს მართვა, რაც მოიცავს 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში სპეციფიკურ ანტიგენზე გამოკვლევას პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით. ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართებით დიაგნოსტიკური გამოკვლევები ჩატარდება ქვეყნის მასშტაბით, გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსარგებლეებისა.

ბ) 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას;

გ) ეპილექსიის დიაგნოსტიკასა და ზედამხედველობას, რაც მოიცავს ეპილექსიის რეესტრის წარმოებას, ეპილექსიის პირველად დიაგნოსტიკასა და დიაგნოზის დადასტურების მიზნით პაციენტის გაღრმავებულ კვლევებს;

დ) დღენაკულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი, რაც მოიცავს თბილისის მასშტაბით დაბადებული დღენაკულთი ახალშობილების გამოკვლევას რეტინოპათიის დიაგნოსტირებისათვის, დღენაკულთა რეტინოპათიის ეროვნული პროტოკოლის მიხედვით, სკრინინგის კრიტერიუმების შესაბამისად.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მონუმბა), პირადობის ნეიტრალური მონუმბის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნოზებული ფენებში ეპიდემიებით იმუნოპროფილაქტიკის

წარმოებას, გრიპის საწინააღმდეგო სემონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების აცრას.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია ქვეყანაში გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის მუშაობის გზით.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მიუხედავად მოქალაქეობის სტატუსისა, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

➤ **სახელმწიფო პროგრამა “უსაფრთხო სისხლი”**

პროგრამის მიზანია ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია და საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

➤ **პროფესიულ დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის გზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.

პროგრამის მოსარგებლები არიან დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის

(მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მონმობა), პირადობის ნეიტრალური მონმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე და საქართველოში მყოფი ბაქტერიაგამომყოფი (მგბ+) პირები (მკურნალობის შედეგად აბაცილირების შემთხვევაშიც) და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **აივ-ინფექცია/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის მიზანია:

ა) აივ-ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა;

ბ) აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება;

გ) აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლები არიან:

1. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მონმობა), პირადობის ნეიტრალური მონმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. მკურნალობისათვის საჭირო სპეციფიკური ანტირეტროვირუსული მედიკამენტების მოსარგებლები ამ მუხლში მითითებულ პირებთან ერთად ცენტრში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები;
2. პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად;
3. მაღალი რისკის ჯგუფები (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი სქესობრივი პარტნიორები, მამაკაცები რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ), პირები, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი რაიმე სახის ანაზღაურების მიღების მიზნით (სექსმუშაკი) და მათი კლიენტები) „აივ-ინფექცია/შიდსის რუტინული ეპიდემიოლოგიის მეთოდური რეკომენდაციების „დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #217ო ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად (15-ნიშნა დაშიფრული კოდით) იდენტიფიცირებული პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა**

პროგრამის მიზანია დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირება ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის გზით.

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მონმობა), პირადობის ნეიტრალური მონმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა**

პროგრამის მიზანია ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება.

პროგრამის მოსარგებლეები საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ასევე ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც გამომგზავრების მომენტისთვის ჩართულნი იყვნენ უცხოეთში მოქმედ ჩანაცვლებით პროგრამებში.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა**

პროგრამის მიზანია ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მოსახლეობისათვის.

პროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

ბ) იძულებითი ან არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები ან პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად, რომელთა მიმართაც არსებობს სასამართლო გადანაცვლებები, იძულებითი ან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ და რომელთაც უტარდებათ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში.

გ) სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები, რომლებსაც ესაჭიროებათ არანებაყოფლობითი მომსახურება, არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **დიაბეტის მართვის პროგრამა**

პროგრამის მიზანია შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესება, შესაძლო გართულებების პრევენცია და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრებიან:

ა) კომპონენტით „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება“ გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები - 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვები, ასევე 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი;

ბ) კომპონენტით „სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება“ გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები - შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები;

გ) კომპონენტით „შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები - შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურების პროგრამა**

პროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის ონკოპემატოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრებიან 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

პროგრამის მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამა**

პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

პროგრამის მოსარგებლეები არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული და/ან ორგანო გადანერგილი საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი სხვა პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა**

პროგრამის მიზანია ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლეები:

ა) ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის სერვისების მოსარგებლეები არიან ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. თელავსა და თელავის მუნიციპალიტეტში, ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქ. ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ქ. გორსა და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე ინკურაბელური პაციენტები, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს ესაჭიროებათ სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა:

- ა.ა) მე-4 კლინიკური ჯგუფის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი;
- ა.ბ) ტერმინალურ სტადიაში მყოფი შიდსით დაავადებულნი;
- ა.გ) არაონკოლოგიური ქრონიკული პროგრესირებადი სენით დაავადებულნი ტერმინალურ სტადიაში;

ბ) ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობის და სიმპტომური მკურნალობის მიღებები არიან:

- ბ.ა) საქართველოს მოქალაქეები, გარდა ტუბერკულოზით დაავადებული ინკურაბელური პაციენტებისა;
- ბ.ბ) საქართველოს მოქალაქე შიდსით დაავადებული ინკურაბელური პაციენტები;

გ) ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამა**

პროგრამის მიზანია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მონუმბის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ამასთან, ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურება და იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ასევე ხორციელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების, ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების პროგრამა**

პროგრამის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება, მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გზით.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მონუმბის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ხოლო ამ დანართის მე-3 მუხლის „ბ.გ“, „ბ.დ“ და „ბ.ე.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების შემთხვევაში - საქართველოში მყოფი პირები.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **პროგრამა “სოფლის ექიმი”**

პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში - პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მონუმბის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

➤ **რეფერალური მომსახურების პროგრამა**

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით;

პროგრამის მოსარგებლეები არიან „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების განევის შესახებ კომისიის საოქმო გადანყვეტილებით განსაზღვრული

პირები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

მოსარგებლედ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

დეტალური ინფორმაცია ჯანდაცვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების შესახებ იხ.: http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/03.01.2017.pdf ან დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე: 15 05.

2.6.5. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები

ჯანდაცვის ეროვნულ სახელმწიფო პროგრამებთან ერთად საქართველოში ხორციელდება მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს და ვრცელდება ამ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ მოსახლეობაზე.

ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური ახორციელებს ჯანდაცვის პროგრამებს. 2017 წლის პროგრამის ქვეპროგრამებია:

- დაავადებათა სკრინინგი;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა;
- ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია;
- „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა;
- ტრანსპლანტაცია;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამებსა და მათში მონაწილეობის პირობებზე იხ. ვებ-გვერდზე: <http://tbilisi.gov.ge/page/3166> ან დარეკეთ ქ. თბილისის მერიის ცხელ ხაზზე: (+995 32) 272 22 22.

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებს ჯანდაცვის მინიციპალურ პროგრამებს. 2017 წლის პროგრამის ქვეპროგრამებია:

- ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა;
- ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მონყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;
- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამებსა და მათში მონაწილეობის პირობებზე იხ. ვებ-გვერდზე: <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=29> ან დარეკეთ ქ. ბათუმის მერიის ცხელ ხაზზე:

(+995 422) 27 26 06.

საქართველოს **ყველა მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს და ახორციელებს ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებს**. მუნიციპალური პროგრამების კომპონენტები განსხვავებულია, თუმცა ძირითადია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტით დაფინანსების პროგრამა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://nala.ge/municip/>

2.7. სოციალური დაცვის სისტემა

2.7.1. საპენსიო სისტემა

საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ (23.12.2005) არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს.



პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის²⁰ განხორციელების პერიოდში.

პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. **პენსიის ოდენობა** განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. 2017 წლის კანონის თანახმად, სახელმწიფო პენსიის ოდენობაა 180 ლარი თვეში. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის დანესებულია დანამატი, რაც შეადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის 20 პროცენტს.

სახელმწიფო პენსიის დანიშვნა შეუძლიათ:

- ✓ საქართველოს მოქალაქეებს;
- ✓ საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- ✓ პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები).

ასაკის საფუძვლით სახელმწიფო **პენსიის დასანიშნად პირმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა.**

პენსიის დასანიშნად, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში პირმა უნდა წარადგინოს:

- პენსიის დანიშვნის მაძიებელი პირის მომართვის შემთხვევაში - მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში - დამატებით, კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- უცხო ქვეყნის მოქალაქემ პენსიის დანიშვნისათვის სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება და ასევე, სსიპ

²⁰ საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმშრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრება;

- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის

არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ; უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა(ორმაგი მოქალაქე), დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას (საჭირო დოკუმენტებთან ერთად), სააგენტო იხილავს და გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის/არდანიშვნის თაობაზე იღებს განცხადების წარდგენიდან **არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.**

პენსიის შეჩერებისა და განახლების საფუძველი

პენსია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში;
- როდესაც საბანკო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება;
- როდესაც პირი ახორციელებს პენსიის დეპოზიტზე გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად, არ მიუმართავს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით;
- პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას;
- პენსია განახლება, განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, გარდა პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის საფუძველით შეჩერებული პენსიის, რომელიც განახლება პირისათვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

პენსიის შეწყვეტის საფუძველი

პენსია შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- პირადი განცხადებით;
- საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში²¹ .
- სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, - პენსიის შეჩერების დღიდან;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
- პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
- პენსიონერის გარდაცვალებისას;
- სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისას, გარდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის განსაზღვრული გამონაკლისისა;

21 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შედის საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

- სოციალური პაკეტის დანიშვნისას;
- პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ;
- სხვა საფუძვლით, თუ იგი გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“.

სად შეიძლება პენსიის მიღება?

პენსიის მიღება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო პროგრამის მომსახურე ბანკის ფილიალებსა და ბანკომატებში (სპეციალური პლასტიკური ბარათით).

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=378

2.7.2. სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გასვლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის ან გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (27.12.2005).

ვის ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია?

- სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს;
- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების მქონე პირებს;
- პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკებს;
- საქართველოს პარლამენტის წევრებს;
- საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეებს;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს;
- საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეებს;
- საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებს;
- უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებს;
- გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს;
- სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეებს;
- „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს.

შენიშვნა: კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი შეადგენს 560 ლარს თვეში²².

სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნის საფუძვლებს წარმოადგენს:

- კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონურვა;
- 65 წლის ასაკის მიღწევა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- მარჩინალის გარდაცვალება;
- ოჯახის წევრის გარდაცვალება.

თითოეული საფუძვლით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნის წესებისა და პროცედურების, ასევე კომპენსაციის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=-GEO&sec_id=24

2.7.3. საყოფაცხოვრებო სუბსიდია

საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს, შემდეგი ოდენობით;

- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - ყოველთვიურად 44 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს - ყოველთვიურად 22 ლარი;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - ყოველთვიურად 22 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახების შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - ყოველთვიურად 22 ლარი;
- სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას - ყოველთვიურად 22 ლარი;
- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას

22 გამონაკლისს წარმოადგენენ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ასევე გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრები და „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრები; ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, რომლებზეც არ ვრცელდება მაქსიმალური ზღვარი.

დაინვალიდებულ პირებს - ყოველთვიურად 7 ლარი;

- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს - ყოველთვიურად 7 ლარი;
- ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს - ყოველთვიურად 7 ლარი;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუნარო წევრებს - ყოველთვიურად 7 ლარი;
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუნარო მშობლებს, შრომისუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს - ყოველთვიურად 22 ლარი.

შენიშვნა: 2012 წლის 1 სექტემბრიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდია ენიშნებათ იმ პირებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტიდან კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად.

ვის უნდა მიმართონ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დასანიშნად?

მოქალაქემ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დასანიშნად, უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და რეგისტრაციის მოწმობის ასლები, დედნებთან ერთად;
- შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა განხორციელდება პირის მიერ განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29. ასევე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის #4 დადგენილება „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ (http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/12.pdf)

2.7.4. სოციალური დახმარებები



საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ (29.12.2006) აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. ეს კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონის თანახმად, სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ლატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.

სოციალური დახმარების სახეები:

- ა) საარსებო შემწეობა;
- ბ) რეინტეგრაციის შემწეობა;
- გ) მინდობით აღზრდის ანაზღაურება;
- დ) სოციალური პაკეტი.

საარსებო შემწეობა

საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის #758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში (ამოქმედდა 2015 წლის პირველი მაისიდან) შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია **საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:**

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახისწევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან მეორე თვეს.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში მიმართვა შეუძლია ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით იმყოფება სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, საჭიროებს დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები.

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=35

რეინტეგრაციის შემწეობა

რეინტეგრაციის შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუნეწვს მას სათანადო მზრუნველობას. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

რეინტეგრაციის მიზანია ბავშვთა სახლებიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და მინდობით აღზრდიდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების ხელშეწყობა. რეინტეგრაციის შემთხვევაში, ხდება ოჯახის სოციალური ფუნქციონირების ამაღლება, მისი გაძლიერება და ბავშვის ინსტიტუციაში დაბრუნების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

ვინ ექვემდებარება რეინტეგრაციას?

რეინტეგრაციას ექვემდებარება ბავშვი, რომელიც იმყოფება ბავშვთა სახლში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ან მინდობით აღზრდაში, უბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახს და ეძლევა როგორც ფინანსური დახმარება, ასევე ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული სხვა ტიპის სოციალური დახმარებები.

როგორ ხდება რეინტეგრაციის დაფინანსება ?

ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას, სახელმწიფო მშობელს უხდის რეინტეგრაციის შემწეობას ჯანმრთელი ბავშვის შემთხვევაში - 90 ლარის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის შემთხვევაში - 130 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, რეინტეგრირებულ ბავშვს ეძლევა სამედიცინო დაზღვევა, საჭიროების შემთხვევაში - დღის ცენტრის მომსახურება, კვების ვაუჩერი.

რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახი თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან, რომელიც ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასების კონტროლს. ბიოლოგიურმა მშობლებმა უნდა განახორციელონ სოციალური მუშაკის მიერ განერილი ინდივიდუალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=654

მინდობით აღზრდის ანაზღაურება

მინდობით აღზრდის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილს/მამობილს შვილობილის მოსავლელად და აღსაზრდელად. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

ვინ ექვემდებარება მინდობით აღზრდას ?

მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის პირი:

- რომელიც არის ობოლი;
- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;
- რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა(თ), ჩამოერთვა(თ) ან შეუჩერდა(თ) მშობლის უფლება-მოვალეობები.

ბავშვის მინდობით აღზრდა შეუძლია:

- საქართველოს მოქალაქეს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს;
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის, დედობილის და მამობილის რეგისტრაციის მომენტისათვის ამ პირის/პირების ოჯახი, რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა უნდა აღემატებოდეს 100 000-ს (ასი ათასს).

დედობილის/მამობილის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით და ოდენობით:

- ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვისათვის - თვეში 200 ლარი;
- არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვისათვის - ერთი კალენდარული დღისთვის 15 ლარი;
- ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისათვის - თვეში 300 ლარი;
- არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის - ერთი კალენდარული დღისთვის 20 ლარი;
- გადაუდებელი მინდობით აღზრდისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის) - ერთი კალენდარული დღისთვის 20 ლარი.

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=653

სოციალური პაკეტი

სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძვლებია:

- ა) შებენიანი შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- ბ) მარჩენალის გარდაცვალება.

ვის ენიშნება სოციალური პაკეტი?

- მკვეთრად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს;
- მნიშვნელოვნად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს;
- ზომიერად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს;
- მარჩენალის გარდაცვალების გამო 18 წლამდე ასაკის პირებს;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრებს, საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს, საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს;
- სამხედრო ძალების ვეტერანებს;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ, სოციალური პაკეტის მიმღებ პირს ეძლევა დანამატი, რომლის ოდენობა შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის 20 პროცენტს.

ცალკეულ კატეგორიაზე სოციალური პაკეტის დანიშვნის პირობებზე, ოდენობაზე, დანიშვნის, შეჩერებისა და განახლების პროცედურებზე დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31

2.7.5. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურება



საქართველოს „შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღე.

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე (საქართველოს „შრომის კოდექსი“, მუხლი 28).

დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო **ანაზღაურებადი**

შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა არაუმეტეს 1000 ლარისა. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში მომუშავე **მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილ ზემოთ აღნიშნულ დახმარებასთან ერთად ეძლევა კომპენსაცია**, მის მიერ შვებულების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად. კომპენსაციას გასცემს ის საჯარო დაწესებულება, სადაც მუშაობს მოსამსახურე, ბიუჯეტიდან კანონით გამოყოფილი ასიგნებიდან.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების **ფულად დახმარებას დასაქმებულზე/მოსამსახურეზე გასცემს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო.**

დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე/მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფო ფურცელი ან ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. ამასთან, დასაქმებულისათვის/ მოსამსახურისათვის დახმარების ან კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი/დაწესებულება ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) საავადმყოფო ფურცელი ასლთან ერთად, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში, შვილების შესაბამისი დოკუმენტი ასლთან ერთად (დედნების დაკარგვის შემთხვევაში მისი დუბლიკატი და მათი ასლები);
- ბ) დასაქმებულის/მოსამსახურის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) დაფინანსების განაცხადი 3 ეგზემპლარად, რომელიც დამონმებული უნდა იყოს დამსაქმებლის/ დაწესებულების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერებით;
- დ) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი დასაქმებულის/მოსამსახურის პირადი საბანკო ანგარიშის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 6 თვე.

დეტალური ინფორმაცია იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/4.pdf

2.7.6. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა



საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებს შობადობის მატერიალურ წახალისებას.

ვის შეუძლია ამ პროგრამით სარგებლობა?

ამ პროგრამის ბენეფიციარია 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ბავშვები), რომლის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 ნელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება და ამ ბავშვის (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ერთ-ერთი ტყუპისცალი) დაბადების დღის მდგომარეობით იგი არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

შენიშვნა: აღნიშნული პროგრამა 2014 წლიდან შეეხო შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო/ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთს. 2017 წლის 1 იანვრიდან კი პროგრამაში ჩაერთო სამცხე-ჯავახეთი.

რა თანხას შეადგენს ბენეფიციარზე გათვალისწინებული დახმარება?

ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარის ოდენობით.

ფულადი დახმარება გაიცემა განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის თვის შემდგომი თვის 1-ლი რიცხვიდან ბავშვის 2 წლის ასაკამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

ვის აქვს ფულადი დახმარების მიღების უფლება?

მაძიებელი/ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ბიოლოგიური დედის/ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება:

- ა) ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ დედას, რომელიც ამავდროულად არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი;
- ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების არარსებობის შემთხვევაში, ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ მამას, რომელიც ამავდროულად არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი;
- გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების არარსებობის შემთხვევაში, ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაში ჩართვის პირობებისა და პროცედურების შესახებ იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1110

ზემოაღნიშნულის გარდა, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სოციალური ბენეფიტის დანიშვნას 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვ(ებ)ისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი. ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, თუ იგი პირველი ან მეორე შვილია და 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია.

2.7.7. სხვა სოციალური პროგრამები

აღნიშნული სოციალური პროგრამების გარდა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს პროგრამებს/ქვეპროგრამებს შემდეგი მიმართულებებით:

➤ ბავშვზე ზრუნვა

- **ბავშვის შვილად აყვანა** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=498)
- **არასრულწლოვან ბავშვებზე მეურვეობა/მზრუნველობის დანესება** (დეტალური ინფორმაცია იხ.:
- **საერთაშორისო გაშვილება** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=500)
- **მცირე-საოჯახო ტიპის სახლები** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=47)
- **ბავშვთა დაცვა ძალადობისგან** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=52)

- დღის ცენტრები (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=503)
- **ბავშვთა ადრეული განვითარება** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=613)
- **ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=611);
- **დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;**
- **მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა** (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1104)
- **კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება** - „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, საქონლის/მომსახურების შესყიდვა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1105)
 - ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=370)
 - სავარძელ-ეტლი ან საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=421)
 - სმენის აპარატით უზრუნველყოფის პროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=422)
 - კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის პროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=423)
- ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=616)
 - სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=790)
 - მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა;
 - მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა;
 - ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (დეტალური ინფორმაცია იხ.: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=791)

2.7.8. სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამები

საერთო სახელმწიფოებრივ პროგრამებთან ერთად მოსახლეობის სოციალური დახმარების მუნიციპალურ პროგრამებს ყოველწლიურად ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

ქ. თბილისის მერია სოციალური უზრუნველყოფის 2017 წლის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- **კომუნალური სუბსიდირება** - ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერჯის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადზე სუბსიდიის დარიცხვას იანვარში, თებერვალში, მარტში, ნოემბერსა და დეკემბერში.
- **სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება** - ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი

ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომლებსაც 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი ბავშვი ჰყავთ. დახმარების ოდენობაა თვეში 50 ლარი 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვისათვის.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების დახმარებას, რომლებსაც მესამე ან მომდევნო ბავშვი შეეძინებათ. დახმარების ოდენობა: მე-3 ახალშობილზე - 800 ლარი; მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარი; მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარი.
- **შშპ პირთა საკურორტო მომსახურება** - ითვალისწინებს შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დასვენების უზრუნველყოფას, ასევე, შემოსული განცხადებების საფუძველზე კონტინგენტის შერჩევას, განაწილებას, ნაკადების დაკომპლექტებას და მთისა და ზღვის კურორტების საგზურების გაცემას.
- **10-დან 16 წლამდე ბავშვების საკურორტო-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკები** - ითვალისწინებს თბილისში რეგისტრირებულ 10-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვთა საზაფხულო საკურორტო-გამაჯანსაღებელ ბანაკებში დასვენებას. კონტინგენტის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს.
- **100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება** - ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებულ 100 წელს მიღწეულ ხანდაზმულთათვის ფინანსური დახმარების განეგას 1000 ლარის ოდენობით.
- **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება** - ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ ბავშვთა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების ღირებულების ანაზღაურებას. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა თვეში შეადგენს 30 ლარს.
- **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება** - ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ ბავშვთა სწავლების ღირებულების ანაზღაურებას ხელოვნების სკოლებში. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა თვეში შეადგენს 40 ლარს.
- **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებსა და სპორტულ სკოლებში სწავლების დაფინანსება** - ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოზარდების ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსებას.
- **სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)** - ითვალისწინებს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული პირებისათვის მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის უკონტაქტო პლასტიკური ბარათების შესყიდვას.
- **ყრუ ინვალიდთა თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა** - ითვალისწინებს ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეების თარჯიმან-დაქტილოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას.
- **სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები** - ითვალისწინებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სამედიცინო და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსებას.

- **ომის ვეტერანთა დახმარება** - ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში მარჩენალდაკარგულებისთვის 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარების განწესებას.
- **მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა** - ითვალისწინებს ქ. თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების დაფინანსებას.
- **თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა** - ითვალისწინებს ქ. თბილისში მცხოვრებ მიუსაფარ პირთა თავშესაფრით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით და საჭიროებებით, მათ შორის, საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფას.
- **სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება** - ითვალისწინებს ქ. თბილისში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსური დახმარების განწესებას წელიწადში 800 ლარის ოდენობით.
- **„ვოლდ ვივენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება** - ითვალისწინებს დღის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ოჯახების 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვის დღის ცენტრით მომსახურების შეთავაზებას.
- **სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება** - ითვალისწინებს ქ. თბილისში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარებას წელიწადში 900 ლარის ოდენობით.
- **სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება** - ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების, რომლებსაც ახალშობილის დაბადებისას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულა, ერთჯერად დახმარებას.
- **შინმოვლის თანადაფინანსება** - ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული, პირების შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფას.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა** - ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას.

დეტალური ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის სოციალური პროგრამების შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://tbilisi.gov.ge/page/3167> ან დარეკეთ ქ. თბილისის მერიის ცხელ ხაზზე: (+995 32) 272 22 22.

➤ **ქ. ბათუმის მერია 2017 წელს ახორციელებს სოციალური უზრუნველყოფის შემდეგ მუნიციპალურ პროგრამებს:**

- **კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება** - ითვალისწინებს წყლისა და კანალიზაციის საფასურის, დასუფთავების მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვას; გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით გაბჭურამდე; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარებას.
- **მონყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა** - ითვალისწინებს: სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების განწესებას; ახალშობილის შექმნასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების განწესებას; მრავალშვილიანი ოჯახების, უდემამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) წელიწადში 2-ჯერ დედის დღესთან დაკავშირებით (უდემამო ბავშვებზე ბავშვთა დღესთან დაკავშირებით) და სასკოლოდ, მატერიალური დახმარების განწესებას; ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი

მატერიალური დახმარების განწევას; სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100 000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ახალშობილზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების განწევას; ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირებას.

- **მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება** - ითვალისწინებს: განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, საბავშვო ბაღებისა და ბილიოთეკების თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღებისა და ბილიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 650 ლარს თვეში) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირებას; განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირებას.
- **მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება** - ითვალისწინებს: მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარებას; ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარებას.
- **მუნიციპალური უფასო სასადილო** - ითვალისწინებს: სასადილოს ადმინისტრირებასა და მართვას; საკვები პროდუქტების შეძენას.
- **დროებითი ღამის თავშესაფარი** - ითვალისწინებს: დროებითი ღამის თავშესაფრის ადმინისტრირებას; სამედიცინო მომსახურებას; საკვები პროდუქტების შესყიდვას.
- **სამოგადობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა** - ითვალისწინებს ბათუმის დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების განწევას.

დეტალური ინფორმაცია ქ. ბათუმის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალურ პროგრამებზე იხ. ვებ-გვერდზე: <http://batumi.ge/ge/?page=show&sec=29#> ან დარეკეთ ქ. ბათუმის მერიის ცხელ ხაზზე: (+995 422) 27 26 06.

საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია იხ. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

საქართველოს მუნიციპალიტეტების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://nala.ge/munic/>

2.8. ადამიანის უფლებების დაცვა

2.8.1. საქართველოს მოქალაქის ძირითადი უფლებები და მოვალეობები



საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებებია:

- ✓ სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიკვდილით დასჯა აკრძალულია;
- ✓ ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო;
- ✓ ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;
- ✓ დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება;
- ✓ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა

ეკისრება ბრალმდებელს;

- ✓ ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით;
- ✓ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;
- ✓ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;
- ✓ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება;
- ✓ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით;
- ✓ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში;
- ✓ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;
- ✓ ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო;
- ✓ ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება;
- ✓ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში;
- ✓ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- ✓ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- ✓ შრომა თავისუფალია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით. გაფიცვის უფლება აღიარებულია;
- ✓ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით;
- ✓ ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება;
- ✓ მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი და ქმედითი სამედიცინო დახმარების საშუალებით;
- ✓ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

ადამიანის უფლებების დასაცავად საქართველოში არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები (სასამართლო, სახალხო დამცველის აპარატი, პირად მონაცემთა დაცვის სააგენტო და სხვ.), ასევე სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებები და მასმედია.

2.8.2. სასამართლო სისტემა

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.



საქართველოს სასამართლო სისტემა მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა, ხოლო საერთო სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას. საომარ პირობებში შეიძლება შეიქმნას სამხედრო სასამართლოები მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

საერთო სასამართლოების სისტემაში შედის:

- საქართველოს უზენაესი სასამართლო
- სააპელაციო სასამართლოები
- რაიონული (საქალაქო) სასამართლოები

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში და ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. უზენაესი სასამართლოს პალატა განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება დაწესდეს სააპელაციო საჩივრების ერთპიროვნული განხილვა საპროცესო კანონით დადგენილი წესით.

საქართველოში ორი სააპელაციო სასამართლო მოქმედებს: თბილისსა და ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში მოქმედ პირველი ინსტანციის სასამართლოთა (მათ შორის მაგისტრატ მოსამართლეთა) გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, – კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში). საქალაქო სასამართლო იქმნება თვითმმართველ ქალაქში. საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ **მაგისტრატი მოსამართლეები**. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. **მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად**, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საქალაქო, რაიონული და მაგისტრატი სასამართლოების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/organization-charter/raionuli-saqalao-sa-samartlo>

სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია **იუსტიციის უმაღლესი საბჭო**, რომელიც სასამართლო სისტემის მართვის დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლებაში შემავალი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების მქონე ამ ორგანოს კომპეტენციაში შედის სასამართლო ბიუჯეტის შედგენა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მისი კონტროლი, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა, თანამდებობიდან გათავისუფლება, გადანყვეტილების მიღება მოსამართლეთა წახალისების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება მოსამართლეების მიმართ, სასამართლოს მოხელეთა სამსახურში მიღება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12 (საფოსტო ინდექსი 0144)

ტელ.: (+995 32) 227 31 00

ფაქსი: (+995 32) 227 31 09

ელ-ფოსტა: council@hcoj.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://hcoj.gov.ge/>

2.8.3. სახალხო დამცველი



საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. იგი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.

სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით. საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი ხელისუფლების არც ერთ შტოს არ მიეკუთვნება. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში ზედამხედველობს:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;

- საჯარო დაწესებულებებს;
- თანამდებობის პირებს.

საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია განიხილოს განცხადებები როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ, რომლის მონაწილაც არის საქართველო.

დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველის მანდატის შესახებ იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/public-defender/mandati>

სათაო ოფისის საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისი 0179, ნინო რამიშვილის 6.

ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877

ფაქსი: +99532 2913841

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ვებ-გვერდი: www.ombudsman.ge

სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/contact>

2.8.4. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი



„ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფონდის საქმიანობის

სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ფონდის საქმიანობის მიზნებია:

- ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა;
- ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა და მათი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა;
- სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაცია და დახმარება.

ფონდის ტერიტორიული ერთეულები (ფილიალები):

- ბავშვთა სახლები;

- შშმ პირთა პანსიონატები;
- ხანდაზმულთა პანსიონატები;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრები;
- კრიზისული ცენტრი;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები.
- ბავშვთა სახლები
- თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი;
- კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი.

თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მოთავსებას/ჩარიცხვას ექვემდებარება მზრუნველობა მოკლებული 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვი.

კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში მოთავსებას/ჩარიცხვას ექვემდებარება 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვი.

ბავშვის ბავშვთა სახლში ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო (სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო). ბავშვთა სახლში განეული მომსახურება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ჩვილ ბავშვთა სახლები უზრუნველყოფენ:

- ✓ ბენეფიციართა სადღეღამისო მომსახურებას;
- ✓ დღის განმავლობაში ოთხჯერად კვებას;
- ✓ ბენეფიციარის განათლების მიღების ხელშეწყობას;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და პრაქტიკული ყოფითი უნარების განვითარებას;
- ✓ პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;
- ✓ ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას;
- ✓ ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/list/31/bavshvta-sakhlebi>

➤ **შშმ პირთა პანსიონატები:**

- მარტყოფის შშმპ პანსიონატი;
- დუშეთის შშმპ პანსიონატი;
- ძეგრის შშმპ პანსიონატი.

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში ჩარიცხვას ექვემდებარებიან შეზღუდული შესაძლებლობის (გონებრივი ჩამორჩენილობის - F70.1, F70.8, F70.9, F71.0, F71.1, F71.8, F71.9, F72.0, F73.0, აგრეთვე სხვა ფსიქიკური აშლილობების გამო განვითარებული მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის) მქონე სრულწლოვანი პირები.

დუშეთის შშმ პირთა პანსიონატში ჩარიცხვას ექვემდებარებიან შეზღუდული შესაძლებლობის (გონებრივი ჩამორჩენილობის (F71.0), აგრეთვე ფიზიკურად უნარშეზღუდულობის) მქონე სრულწლოვანი პირები.

ძეგრის შშმ პირთა პანსიონატში ჩარიცხვას ექვემდებარებიან შეზღუდული შესაძლებლობის (გონებრივი ჩამორჩენილობის - F70.1, F70.8, F70.9, F71.1, 71.8, 71.9, F72.0, F72.1, F72.8, F72.9, F73.0, F73.1, F73.8, F73.9, აგრეთვე სხვა ფსიქიკური აშლილობების გამო განვითარებული მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის) მქონე სრულწლოვანი პირები.

შშმ პირთა პანსიონატებში ჩასარიცხად წერილობით უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს. პირის შშმ პირთა პანსიონატში ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული

საბჭო (სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო).

შშმ პირთა პანსიონატში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადანყვეტილებას აღნიშნულ პანსიონატში პირის სრული სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით/დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე.

შშმ პირთა პანსიონატი უზრუნველყოფს:

- ✓ ბენეფიციართა სადღეღამისო მომსახურებას;
- ✓ დღის განმავლობაში ოთხჯერად კვებას;
- ✓ შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და პრაქტიკული ყოფითი უნარების განვითარებას;
- ✓ პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;
- ✓ ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას;
- ✓ ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/list/32/shshmp-pansionatebi>

➤ **ხანდაზმულთა პანსიონატები**

- თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი;
- ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი.

ხანდაზმულთა პანსიონატებში მოთავსებას/ჩარიცხვას ექვემდებარება ხანდაზმული (მამაკაცი 65 წლის ასაკიდან და ქალი 60 წლის ასაკიდან), ასევე შშმ პირი 60 წლის ასაკიდან, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირისა.

ხანდაზმულთა პანსიონატში ჩასარიცხად წერილობით უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს. პირის ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო (სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო).

ხანდაზმულთა პანსიონატში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადანყვეტილებას აღნიშნულ პანსიონატში პირის სრული სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით/დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე.

ხანდაზმულთა პანსიონატები უზრუნველყოფენ:

- ✓ ბენეფიციართა სადღეღამისო მომსახურებას;
- ✓ დღის განმავლობაში ოთხჯერად კვებას;
- ✓ შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და პრაქტიკული ყოფითი უნარების განვითარებას;
- ✓ პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;
- ✓ ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას;
- ✓ ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/list/33/khandazmulta-pansionatebi>

➤ **ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრები**

- თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულება (თავშესაფარი);

- ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

თავშესაფარებში ჩარიცხვას ექვემდებარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად).

- **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი** არის პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიაღწია მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან
- შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად.
- **დაზარალებულად** ითვლება პირი, რომელიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილია დაზარალებულად.
- **დამოკიდებული პირი** არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის /დაზარალებულის 18 წლამდე ასაკის შვილი, ასევე პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი /დაზარალებული.
- **ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უკულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა). მსხვერპლად ითვლება აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უკულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა;
- **ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი** არის პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით მიმართავს შესაბამის ორგანოებს/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს).
- **დაზარალებული** არის ოჯახის წევრი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახურ დანაშაულებსა (მუხლი 111) და ოჯახში ძალადობის (მუხლი 1261) დანაშაულზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაზარალებულად ცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო.
- **დამოკიდებული პირი** არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის 18 წლამდე ასაკის შვილი, ასევე პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების **თავშესაფარი ბენეფიციარებს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:**

- ✓ სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში);
- ✓ ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციით;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;სამართლებრივი დახმარებით;
- ✓ ერთჯერადი კომპენსაციით (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/list/34/trefikingis-mskhver-plta-tavshesafari>

➤ **კრიზისული ცენტრი**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ჩარიცხვას ექვემდებარება ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად), ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული.

კრიზისული ცენტრი **ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:**

- ✓ ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციით;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- ✓ სამართლებრივი დახმარებით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურებით.

კრიზისული ცენტრი **ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:**

- ა) სადღეღამისო საცხოვრისით (კრიზისულ ცენტრში) (7 დღე);
- ბ) ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციით;
- გ) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- დ) სამართლებრივი დახმარებით (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე);
- ე) საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/static/238/krizisuli-centri>

➤ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარები**

- თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულება (თავშესაფარი);
- სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულება (თავშესაფარი)
- ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულება (თავშესაფარი)
- გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულება (თავშესაფარი)

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფარში ჩარიცხვას ექვემდებარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად).

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების **თავშესაფარი ბენეფიციარებს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:**

- ✓ სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში);
- ✓ ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციით;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- ✓ სამართლებრივი დახმარებით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://atipfund.gov.ge/geo/list/35/odjakhshi-dzalado-bis-mskhverpita-tavshesafari>

სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ., 15 ა

ტელ.: + (995 32) 239 53 50

ელ. ფოსტა: atipfund@moh.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://atipfund.gov.ge>

ფონდის ცხელი ხაზი: 116 006 (უფასო ზარი და კონსულტაცია კვირაში 7 დღე, დღეში 24 საათი).

ფონდის ცხელ ხაზზე, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე კონსულტაციის მიღება ქართულ ენასთან ერთად შესაძლებელია ინგლისურ, რუსულ, ამერბაიჯანულ, თურქულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე.

2.8.5. სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციები

➤ საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

2011 წელს შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი. 2015 წლის 5 ივნისიდან კი ამოქმედდა “საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ” საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც, ინსტიტუტმა საქმიანობა განაგრძო ახალი სახელწოდებით.

ბიზნესომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0114, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ., 7

ცხელი ხაზი: (+995 32) 228 28 28

ელ. ფოსტა: ask@businessombudsman.ge

დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <http://businessombudsman.ge/ka/about-us>

➤ მომხმარებელთა უფლებების დამცველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები:

- ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი 1505) - <http://www.moh.gov.ge/>
- ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ტელეფონი: 0431-256-121) - <http://gnerc.org/ge/for-user>
- კომუნიკაციების ეროვნული კომისია, კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური - <http://momkhmarebeli.gncc.ge/>
- სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო - <http://www.geostm.ge/contact.php>
- მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი (ენერგომბუდსმენი) - <http://pdci.ge/geo/static/45/>
- სურსათის ეროვნული სააგენტო (ცხელი ხაზი: 291-91-67) - <http://nfa.gov.ge/ge/>
- აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი - http://gac.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=4
- სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (ცხელი ხაზი 2194242) - <http://csrdg.ge/mimartulebebi/momkhmareblis-uflebebis-dacva/>
- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ვებ-გვერდი “მყიდველი-ჯი” - <http://www.mkidveli.ge/>
- მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები - საქართველო (შექმნილი აქვს მომხმარებელთა დახმარების ცენტრი ქუთაისში, ცხელი ხაზი 570 105 573) - <http://greens.ge/ka/2016/11/24/sample-page/>
- საზოგადოება ბილიკი (შექმნილი აქვს მომხმარებელთა დახმარების ცენტრი გორში, ცხელი ხაზი 599 534 070, 598 544 053) - <http://www.biliki.ge/index.php/ka-ge/?l=geo>

- სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია (შექმნილი აქვს მომხმარებელთა დახმარების ცენტრი ახალციხეში, ცხელი ხაზი: 551 555 267);
- უნივერსიტეტი “ნიუ ვიჟენი” (უწევს უფასო საადვოკატო მომსახურებას მომხმარებლებს. ცხელი ხაზი 242 4440) - <http://www.newvision.ge/ge/contact/legal>
- საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების პროექტი „პაციენტის ცხელი ხაზი“ (ტელ: 2103003);
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი - <http://cdi.org.ge/ge/page/id/7/sakontaqto-informacia>

2.8.6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა



საქართველოში კანონმდებლობის დონეზე უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის (28.12.2011) თანახმად, **პერსონალური მონაცემი** არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი

იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

პერსონალურია ნებისმიერი მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. მაგალითად: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, მიმწერა, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი, დიპლომი, ავტობიოგრაფია, საბანკო მონაცემები, ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები, ჯანმრთელობის ცნობა, რეცეპტი და სხვა. ყველას აქვს უფლება იცოდეს, ვინ და რა საფუძვლით აგროვებს, ინახავს ან სხვაგვარად ამუშავებს პერსონალურ ინფორმაციას. დაბრუნებული ემიგრანტის, რომელიც შესაძლოა პროექტის პოტენციური ბენეფიციარი აღმოჩნდეს, პერსონალური ინფორმაცია სარეგისტრაციო ბაზაში უნდა ინახებოდეს. ბაზაში რეგისტრაციამდე, პირს უნდა განემარტოს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების მიზანი და გარკვევით გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ ამ ინფორმაციის გასაჯაროება მისგან დამოუკიდებლად არ მოხდება.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში 2013 წლის ივლისში შეიქმნა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ფიზიკური პირებისათვის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის განწევა;
- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
- საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);
- საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

ინსპექტორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ თანამდებობის პირს და ორგანოს. ინსპექტორზე რაიმე ზემოქმედება ან ინსპექტორის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და კანონით ისჯება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს, საჯარო დაწესებულებებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განიხილავს მოქალაქეთა (მონაცემთა

სუბიექტთა) განცხადებებს და უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://personaldata.ge/ge/about-us/what-we-do>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის #7, 0105

ტელ.: (+995 32) 242 1000

ელ. ფოსტა: office@pdp.ge

ვებ-გვერდი: <https://personaldata.ge>

2.9. სამხედრო სამსახური

2.9.1. სავალდებულო სამხედრო სამსახური



„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არა აქვს სამხედრო სამსახურში განწვევისაგან გათავისუფლების ან განწვევის გადავადების უფლება, ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას.

სამხედრო სამსახურში განწვევისაგან თავისუფლდებიან:

- ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;
- ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;
- გ) პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევნი;
- დ) პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს;
- ე) ასპირანტი;
- ვ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;
- ზ) ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წევრამდელი.

წვევამდელს სამხედრო სამსახურში განწვევა გადაუვადდება, თუ:

- ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი – ვადით ერთ წლამდე;
- ბ) მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა – შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე;
- გ) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და ჩარიცხული იყო სამხედრო კათედრაზე – ამ პუნქტის „გ1“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე;
- გ1) არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი – სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
- დ) მან გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის „სამხედრო

სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი;

- ე) არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე – 20 წლის ასაკამდე;
 - ვ) პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
 - ზ) ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი;
 - თ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
 - ი) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;
 - კ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;
 - ლ) არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;
 - მ) არის დედისერთა;
 - ნ) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;
 - ო) განვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
- პ) ჰყავს ერთი შვილი – შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით.

რა პასუხისმგებლობა ეკისრება მოქალაქეს თუ არ გამოცხადდება სავალდებულო სამსახურში?

- მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი), რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის გამოძახებით მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების შესრულებისათვის ან სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის ამრიგებლად და დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი), რომელიც სამხედრო სამსახურში ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში განვევის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის უწყების მიღებისას მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ან უკანონოდ გათავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან ანდა გადაუვადდება იგი, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის გამოძახებით გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, დოკუმენტური დადასტურებით, არის მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალება, ავადმყოფობა, აგრეთვე სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებანი.

მოქალაქეს, რომელმაც არ მოიხადა სამხედრო ვალდებულება, კანონმდებლობით შეიძლება დაუწესდეს შეზღუდვები სახელმწიფო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნისას.

ყველა მოქალაქე, სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლებულ თა გარდა, ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე. მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) სამხედრო აღრიცხვა ხორციელდება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ხოლო იმ პირის სამხედრო აღრიცხვა, რომელსაც არ აქვს რეგისტრაციის ადგილი, – ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შესაბამის მუნიციპალიტეტში.

სამხედრო ვალდებულების მოსახდელად მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში განვევა ხდება, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

განვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადაა 12 თვე.

სავალდებულო სამსახური შეიძლება მოხდეს საკონტრაქტო სამსახურის ან საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახითაც.

2.9.2. სამხედრო საკონტრაქტო სამსახური

წვევამდელი, რომელიც გამოთქვამს სურვილს, სამხედრო ვალდებულება მოიხადოს საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახით, საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში ჩაირიცხება შესაბამისი შერჩევისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში განწვევას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ან შესაბამისი უწყება.

საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში გასწავლად დადგენილი პერიოდები არ არსებობს. განწვევა ცხადდება შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც კონკრეტული სპეციალიზაციის სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას გულისხმობს.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში განწვევისას მოქალაქეს **გაუფორმდება 4 (ოთხ) წლიანი კონტრაქტი**, რომელიც მოიცავს ორ ეტაპს:

1. სწავლების პერიოდი (ათკვირიანი სასწავლო პროგრამა BCT-Basic Combat Training);
2. ქვედანაყოფში სამსახური.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩაირიცხვის მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ სასწავლო ცენტრს „კრწანისი“ (გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი), ასევე მე-3 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე (ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, პირველი შესახვევი).

სამხედრო სამსახურის ვადები:

- განწვევით ვადიანი საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გამვლელთათვის - არანაკლებ 3 წლისა;
- საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გამვლელთათვის სამხედრო სამსახურის ვადა დგინდება კონტრაქტით.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის სამხედრო სამსახურის ზღვრული ასაკია:

- ა) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის რიგითების, კაპრალების და სერჟანტების (მიჩმანების) შემადგენლობებისათვის - 50 წელი;
- ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის - 45 წელი;
- გ) კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის:
 - გ.ა) პოლკოვნიკამდე - 50 წელი;
 - გ.ბ) პოლკოვნიკისთვის - 55 წელი;
- დ) კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობისათვის - 60 წელი.

2.9.3. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური

ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ სამხედრო ვალდებულება მოიხადონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით. ასეთი სახის სამსახურთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს **საქართველოს კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“** (28.10.1997).

კანონი, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს განსაზღვრავს, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაინვესტენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე.

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განვევას ანარმოებს მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განვევის სახელმწიფო კომისია.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური თავისი ხასიათით **უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურში არსებულ სირთულეებს**. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ განვევით სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას.

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, და **მისი ოჯახი სარგებლობენ განვევით სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებით**.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადა მოქალაქეს ეთვლება საერთო და სპეციალურ შრომით სტაჟში.

ალტერნატიული შრომითი სამსახურის სახეები და გავლის ადგილები:

- საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიურ, ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა სპეციალურ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში;
- სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებსა და ობიექტებზე;
- ორგანიზაციებსა და ობიექტებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას ანარმოებენ;
- კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში;
- ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში.

მოხუცების, ინვალიდების, უპატრონოდ დარჩენილი და კანონმდებლობის შესაბამისად სოციალურად დაუცველი სხვა პირების მოვლა-პატრონობისათვის საქართველოს მოქალაქეების გამწვანება ჩაითვლება არასამხედრო,

ალტერნატიულ შრომით სამსახურად.

მოქალაქეს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური შეუძლია გაიაროს სხვა სამსახურებსა თუ არასამხედრო-შრომით ფორმირებებშიც, რომელთა ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მოქალაქეს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური შეუძლია გაიაროს საქართველოს სამხედრო ძალების სამშენებლო, სამეურნეო და სხვა ქვედანაყოფებში შესაბამის სამოქალაქო თანამდებობაზე.

საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, შეიძლება დასაქმდეს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაზე, მოსავლის აღების დროს სემონურ სამუშაოზე და სხვა არასამხედრო ხასიათის სამუშაოზე.

შრომის სახეობას და ადგილს, სადაც მოქალაქემ უნდა გაიაროს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, დაინტერესებული ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით ადგენს მოქალაქეთა **არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განვევის სახელმწიფო კომისია**.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადაა 18 თვე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურში განვების თაობაზე მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის გამწვევ კომისიას.

2.9.4. სამხედრო სარეზერვო სამსახური

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა. საქართველოს სამხედრო სარეზერვო სამსახურის კატეგორიებს, ფორმირებისა და გავლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“.

სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად.

სამხედრო ძალების რეზერვი იყოფა სამ კატეგორიად:

- ა) აქტიური რეზერვი, რომლის მიზანია პირთა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება, სამობილიზაციო მზაობა;
- ბ) ეროვნული გვარდიის რეზერვი, რომლის მიზანია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო ძალების ზურგის ოპერაციებში მონაწილეობა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა;
- გ) ინდივიდუალური რეზერვი, რომლის ძირითადი მიზანია შეიარაღებული ძალების მოქმედი ქვედანაყოფების როტაცია და შევსება.

აქტიური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი არიან რეზერვში ჩარიცხვით და რომლებიც ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ეროვნული გვარდიის რეზერვი კომპლექტდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, იმ პირებისაგან, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური ცოდნით ან/და გამოცდილებით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ინდივიდუალური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც არ ირიცხებიან აქტიურ და ეროვნული გვარდიის რეზერვებში, იმ პირებისაგან, რომლებმაც გაიარეს სამხედრო სარეზერვო სამსახური, აგრეთვე პირებისაგან, რომლებმაც ისარგებლეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვებისაგან განთავისუფლების ან განვების გადავადების უფლებით და შეუსრულდათ 27 წელი.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა ერთკერადად სავალდებულოა. თუ აღნიშნული პირი საკუთარი სურვილით სამხედრო სარეზერვო სამსახურს დამატებით ორი ვადით გაივლის, სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება და 27 წლის ასაკის მიღწევამდე ჩარიცხება ინდივიდუალურ რეზერვში.

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ასაკი განისაზღვრება 27-დან 40 წლის ჩათვლით.

რეზერვში ჩარიცხული პირი სამხედრო სარეზერვო სამსახურს გაივლის წელიწადში არა უმეტეს 45 დღის ვადით.

სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას აწარმოებს მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლებიან:

- ა) ქალები;
- ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებიან გადაყვანა-გადაზიდვას ან დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მომსახურებითა და რემონტით;

- გ) საზღვაო ფლოტის შემადგენლობა;
- დ) პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მუშაობენ სოფლად;
- ე) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში მომუშავე პირები;
- ვ) თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები;
- ზ) მოსამართლეები;
- თ) პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური;
- ი) საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები;
- კ) დიპლომატიური თანამდებობის პირები;
- ლ) სასულიერო პირები.

დეტალური ინფორმაცია სამხედრო სამსახურის გავლის წესებსა და პროცედურებზე, ასევე პასუხისმგებლობის ფორმებზე იხ. საქართველოს კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ [https://mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/samartlebriviaqtebi/1_\(3\).pdf](https://mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/samartlebriviaqtebi/1_(3).pdf)

ნაწილი 3. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების მიზნობრივი პროგრამები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამები ხორციელდება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO), ისე სახელმწიფოს მიერ.

საქართველოში 2010 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები (TIG, More for More), რომელთა მიზანს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა - საქართველო“ (TIG) 2010-2012 წლებში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებს სთავაზობდნენ სარეინტეგრაციო დახმარებას შემდეგი მიმართულებებით: სამედიცინო დახმარება, დასაქმების ხელშეწყობა და პროფესიული სწავლების დაფინანსება, მცირე ბიზნესის დაწყება/განახლებაში დახმარება. პროექტი ფარავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას ორი მობილურობის ცენტრით (ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში). პროექტის პარტნიორები იყვნენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (MRA).

პროექტი „საქართველოს ხელისუფლების პოტენციალის გაძლიერება მიგრაციისა და სამღვრის მართვის სფეროში“ (More for More) 2013 წლის დეკემბერში დაიწყო და 2017 წლის ივნისის ბოლოს დამთავრდა. პროექტს IOM ახორციელებდა MRA-სთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო „მობილურობის ცენტრების მხარდაჭერა“ და ითვალისწინებდა ოთხი მობილურობის ცენტრის შექმნა-ფუნქციონირებას საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი. მობილურობის ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო: ა) საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება და ბ) ინფორმირებული მიგრაციის მხარდაჭერა. პროექტი ფარავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას. დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების ღონისძიებები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: სამედიცინო დახმარება, დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული სწავლების დაფინანსება/თანადაფინანსება, მცირე ბიზნესის დაწყება/განახლებაში დახმარება, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო ხელსაწყოებისა და მასალების შეძენის გზით. პროექტის მიზანი, კონკრეტული მიგრანტებისათვის სარეინტეგრაციო დახმარების გარდა, იყო სარეინტეგრაციო დახმარების ეფექტური მოდელის ფორმირება და შესაბამისი მეთოდური და საინფორმაციო ბაზის მომზადება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების ფუნქციების სახელმწიფოსთვის გადასაცემად. MRA-სთან მჭიდრო თანამშრომლობით ეს მიზანი წარმატებით განხორციელდა.

MRA-მ 2015 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, დაიწყო სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება. 2015 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფინანსები (400 ათასი ლარი). 2015 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა სარეინტეგრაციო დახმარების შეთავაზებას დაბრუნებული მიგრანტებისათვის საქართველოს ხუთ რეგიონში: ქ. თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი (დანარჩენ რეგიონებში მომსახურებას IOM-ის მობილურობის ცენტრები სთავაზობდნენ).

2015 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

- სამედიცინო (მ.შ. ფსიქოლოგიური) დახმარება;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- ანაზღაურებადი სტაჟირება;
- სოციალური პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- იურიდიული დახმარება.

პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიზნობრიობისა და მომსახურების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, MRA-მ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა გადასცა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაბრუნებული მიგრანტებისთვის სარეინტეგრაციო სერვისების მიწოდებას უშუალოდ ახორციელებდნენ.

2015 წლის პროგრამის წარმატებით განხორციელებამ საფუძველი ჩაუყარა ამ სფეროში მდგრადი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას და მომდევნო წლებში მსგავსი პროგრამების შემუშავება/ განხორციელებას.

2016 წელს „საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ ბიუჯეტი 600 ათას ლარამდე გაიზარდა. 2015 წლის პროგრამის შედეგებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დაბუსტდა სარეინტეგრაციო დახმარების მიმართულებები და დაინერგა მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეთავაზება. გაფართოვდა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამით დაფარვის გეოგრაფია და 2015 წლის არეალს აჭარისა და გურიის რეგიონები დაემატა (მანამდე ამ რეგიონებს IOM ბათუმის მობილურობის ცენტრი ემსახურებოდა).

2016 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა სარეინტეგრაციო დახმარების შემდეგ მიმართულებებს:

- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- სოციალური პროექტების დაფინანსება, როგორც შემოსავლის წყაროს გაჩენის, ასევე თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა;
- იურიდიული დახმარება.

2016 წლის სახელმწიფო პროგრამა კვლავ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამამ დამატებით დაფარა კახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონები და მოიცვა საქართველოს მთელი ტერიტორია, რითაც წარმატებით დასრულდა სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფოზე გადაცემის პროცესი.

3.1. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამა



საგრანტო პროგრამის მიზანია ემიგრაციაში არალეგალურად მყოფი სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის წარმატებით უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებს დაეხმარება საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესში მათ წინაშე წარმოშობილი სირთულეების დაძლევაში, რაც დაკავშირებულია როგორც ჯანმრთელობასთან და სამშობლოში იძულებით დაბრუნებისგან გამონწვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან, ისე დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებთან თუ შემოსავლის წყაროს არარსებობასთან. აღნიშნული სირთულეების გადალახვისა და საზოგადოებაში ღირსეული რეინტეგრაციისათვის

რელევანტური სერვისების შეთავაზება უზრუნველყოფს საგრანტო პროგრამის ბენეფიციარების მხრიდან საზღვარგარეთ არალეგალურად განმეორებით წასვლის ალბათობის შემცირებას.

საგრანტო პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთნელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებულია სარეინტეგრაციო დახმარება შემდეგი მიმართულებებით:

- **სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება**
 - მწვავე, ქრონიკული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადების მქონე პირების საჭირო დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება და სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
 - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ერთი ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 (ერთი ათას) ლარს.

- **სოციალური პროექტების დაფინანსება** - შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება.

ერთ ბენეფიციარს სოციალური პროექტი დაუფინანსდება 500-დან 4000 ლარის ფარგლებში.

- **საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა** - საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი ემიგრანტების დაბრუნებისთანავე, აეროპორტში სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაუმეტეს 4 ღამით დროებითი განთავსების უზრუნველყოფა.

ერთი ბენეფიციარისთვის აღნიშნული მომსახურების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.

- **სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს “სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა** - ინდივიდუალურად, ბენეფიციარის ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, პროფესიული სწავლების მიმართულებების გამოკვეთა და ზემოაღნიშნულ პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით ბენეფიციარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

MRA - „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ 2017 წლის პროგრამის განმახორციელებელი, საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია:

რეგიონი	NGO	მისამართი	საკონტაქტო ინფორმაცია
თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	ა(ა) იპსაზოგადოებრივი დამცველი - PA	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის #57	ირინა ფუტკარაძე - ხელმძღვანელი მობ.: 591 57 37 37 ტელ.: (+995 32) 2 96 91 20 ელ. ფოსტა: georgian.ngocoalition@yahoo.com migrant.advocacy@yahoo.com სოფო ცხოვრებაძე - 558 233 786
აჭარა, გურია	ა(ა)იპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT -ბათუმი	ქ. ბათუმი, მელიქიშვილის#6	ნანა გორგილაძე - ხელმძღვანელი მობ.: 593 24 61 96 ელ. ფოსტა: nanagorgiladze@yahoo.com მაია ჯამი - 599 46 59 52
შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“	ქ. ახალციხე, რუსთაველისქ.#47	ცირა მესხიშვილი - ხელმძღვანელი მობ.: 599 51 36 22 ელ. ფოსტა: tsirameskh@gmail.com

	საკონტაქტო ორგანიზაცია-ა(ა) იპ "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი"(ემსახურება შიდა ქართლის რეგიონს)	ქ. გორი, თარხნიშვილის 20ა	ფიქრია ბრეგვაძე - მობ.: 551 12 48 01 ელ. ფოსტა: pikria.gelashvili@gmail.com
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ა(ა)იპ ფონდი „აფხაზინტერკონტი“ - AIC	ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ. #21	გიორგი ცხვედიანი მობ.: 593 30 79 79 ელ. ფოსტა: tskhvedo@mail.ru
იმერეთი, რაჭა - ლეჩხუმი, ქვ. სვანეთი	ა(ა)იპ ფონდი „აფხაზინტერკონტი“ - AIC	ქუთაისი ნინოშვილის ქ. #101	თათია ხურციძე ტელ.: (+995 431) 26 48 61/62 მობ.: 593 69 69 66 ელ. ფოსტა: Tatia_8660@yahoo.com
კახეთი	ა(ა)იპ კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი - KRDF	ახმეტა ჩოლოყაშვილის #52	იზა ბექაური - ხელმძღვანელი ტელ.: (+995 349) 22 52 77 მობ.: 599 96 71 79 ელ. ფოსტა: krdf@krdf.ge

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (MRA) .

მის.: 0177, თბილისი, თამარაშვილის ქ., 15ა

ტელ.: (+995 32) 231 15 79; 231 13 37

ელ. ფოსტა: reintegration@mra.gov.ge

ვებ-გვერდი: www.mra.gov.ge

3.2. მიგრანტების ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა (AVVR)

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისია 2003 წლიდან ახორციელებს მიგრანტების ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას (AVRR). წლების განმავლობაში იცვლება პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალი. 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, AVRR-ის პროგრამის ფარგლებში, IOM-ის საქართველოს მისია ახორციელებს სარეინტეგრაციო დახმარების კონკრეტულ პროექტებს შემდეგი ქვეყნებიდან ნებაყოფლობით დაბრუნებული მიგრანტებისთვის: **ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, კანადა, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვეიცარია, მალტა.**

ცალკეული ქვეყნის მიხედვით დადგენილია კრიტერიუმები და მიგრანტთა კატეგორიები, რომლებსაც შეუძლიათ პროექტში მონაწილეობა, განსხვავებულია ასევე მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტი და დაფინანსების ოდენობა. სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტი ძირითადად მოიცავს შემდეგი სახის მხარდაჭერას: აეროპორტში დახვედრა და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება, დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა (ბინის ქირა), სამედიცინო დახმარება, მიკრო/მცირე ბიზნესის დაფინანსება, დასაქმების ხელშეწყობა, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, პროფესიული სწავლების/ტრენინგების დაფინანსება.

AVRR-ის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველმა საქართველოს მოქალაქემ სამშობლოში დაბრუნებაში დახმარებისთვის და სარეინტეგრაციო დახმარების იდენტიფიკაციისთვის უნდა მიმართოს IOM-ის ოფისებს ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში.

ქვეყნების მიხედვით IOM-ის ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <https://www.iom.int/contact-us>.

AVRR-ის პროექტის მონაწილე მიგრანტი, როგორც წესი, ადგილზე მიიღებს დახმარებას საქართველოში

გასამგზავრებელი ავიაბილეთების შეძენასა და სამგზავრო დოკუმენტების გაფორმებაში. კონკრეტული ქვეყნის პროექტით განსაზღვრულ სარეინტეგრაციო დახმარებას კი მიიღებს საქართველოში დაბრუნების შემდგომ, პროექტით განსაზღვრული დახმარების დაფინანსების გზით.

AVRR-ის პროგრამის მონაწილე დაბრუნებულმა მიგრანტმა სარეინტეგრაციო დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს IOM-ის ოფისებს ქ. თბილისსა და რეგიონებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

IOM თბილისის ოფისი

მის.: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის 19

ტელ.: (+995 32) 225 22 16 (შიდანომერი:124 ან 138)

ფაქსი: (+995 32) 225 22 17

ელ. ფოსტა: rimnaishvili@iom.int; ndidebulidze@iom.int

ვებ-გვერდი: <http://iom.ge/1/contact-us>

IOM მიგრანტთა რესურს ცენტრი ქ. ბათუმში

მის.: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 63

ტელ.: (+995 422) 22 88 83; მობ.: 577 52 00 15

ელ. ფოსტა: npapiashvili@iom.int; ybajelidze@iom.int

IOM მიგრანტთა რესურს ცენტრი ქ. ქუთაისში

მის.: ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქ. 63

ტელ.: (+995 451) 94 44 43;

ელ. ფოსტა: nkokhreidze@iom.int; tendeladze@iom.int

IOM მიგრანტთა რესურს ცენტრი ქ. თელავში

მის.: ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. 8

ტელ.: 577 00 20 92

ელ. ფოსტა: mleonovi@iom.int ; ldzamukashvili@iom.int

IOM-ის ოფისი გორში

მის.: ქ. გორი, სტალინის ქ. 16, ოთახი 323

ტელ.: (+995 370) 27 70 78; მობ.: 591 24 96 53

ელ. ფოსტა: mamonashvili@iom.int

IOM-ის ოფისი ფოთში

მის.: ქ. ფოთი, ნინოშვილის ქ. 101

ტელ.: (+995 493) 22 58 18; მობ.: 577 00 20 95; 599 26 27 49;

ელ. ფოსტა: ntsulaia@iom.int

3.3. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სხვა პროგრამები/პროექტები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროექტებს ახორციელებენ ასევე შემდეგი ორგანიზაციები:

- **საქართველოს კარიტასი** - 2006 წლიდან დღემდე ახორციელებს პროექტს, „მდგრადი რეინტეგრაცია ნებაყოფლობითი დაბრუნების შემდეგ“ რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნიდან დაბრუნებულ მიგრანტებს უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის დახმარებით. მათგან აღსანიშნავია ფსიქო-სოციალური კონსულტაცია, პროფესიული ტრენინგები, სამუშაოს მოძიება.

2016 წლის სექტემბრიდან საქართველოს კარიტასმა დაიწყო ახალი პროექტი: ბელგიიდან და გერმანიიდან ნებაყოფლობით დაბრუნებულების რეინტეგრაციის პროექტი. პროექტი სთავაზობს ფინანსურ დახმარებას საქართველოდან წასულ მიგრანტებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0183 თბილისი, ნუსუბიძის ფერდობი, მე II მ/რ, ჟღენტის ქუჩა, 3ა

ტელ: (+995 32) 221 78 19

მობ: (+995 591) 22 34 19

ელ-ფოსტა: tata.topadze@caritas.ge

ვებ-გვერდი: www.caritas.ge

- **სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (DVV International)** ევროკავშირსა და საქართველოს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „მიგრაციის გამონწვევების მართვა და ალტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზება პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტებისათვის საქართველოს რეგიონებში“. პროექტი უზრუნველყოფს გადაადგილებაში მყოფი ადამიანების, პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გაზრდას, მათი უფლებების დაცვას თემის განვითარებაში მონაწილეობის გზით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

DVV International – ის რეგიონალური ოფისი კავკასიასა და თურქეთში

მის.: 0179 თბილისი, ყიფშიძის ქ. 20, ბინა 3

ტელ./ფაქსი: (+995 32) 2 25 17 52 ; 2 91 34 75

ელ-ფოსტა: info@dvv-international.ge

ვებ-გვერდი: <http://georgia.dvv-international.ge/>

- **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)** ახორციელებს დაბრუნებული ექსპერტების პროგრამას. პროგრამის მიზანია ექსპერტების საქართველოში დაბრუნების ორგანიზება და რეინტეგრაციაში ხელშეწყობა. კერძოდ, ორგანიზაცია ეხმარება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც გერმანიაში მიიღეს პროფესიული განათლება/გამოცდილება ან/და სურთ საქართველოში საკუთარი ბიზნესის წამოწყება. პროგრამა მიგრანტებს სთავაზობს დასაქმებასა და ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: (+995 32) 240 10 10 (შიდანომერი: 3682)

ელ-ფოსტა: irina.gugenishvili@giz.de

ვებ-გვერდი: <http://migration-georgia.alumniportal.com/project-components/circular-migration-between-georgia-and-germany.html>

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)** სთავაზობს იურიდიულ კონსულტაციას მიგრანტთა უფლებების დაცვის და მიგრაციის პოზიტიურ ფაქტორებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასოციაცია ხელს უწყობს მიგრანტთა უფლებების დაცვას და მათ მდგრად რეინტეგრაციას. მიგრაციასთან დაკავშირებით უფასო იურიდიული კონსულტაციის მისაღებად დაუკავშირდით ასოციაციას:

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: თბილისი, უზნაძის ქ.#101

ტელ: (+995 32) 2 99 50 76

ელ-ფოსტა: GYLA@GYLA.GE

ვებ-გვერდი: www.gyla.ge

- **ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC)** საქართველოს კონტექსტში მიგრაციისა და განვითარებისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის შექმნის მიზნით, პოტენციურ ემიგრანტებს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ, როგორც საკუთარი თავის, ასევე ქვეყნის განვითარებაში სხვადასხვა ინოვაციური თუ ბიზნეს ინიციატივების დაფინანსების მეშვეობით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0160 თბილისი, საბურთალოს ქ. 32

ტელ: (+995 32) 2 55 20 01 ან +995 32 2 55 20 02

ელ-ფოსტა: INFO@IRC.GE

ვებ-გვერდი: www.irc.ge

- **ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (CIDA)** 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის ივლისამდე ახორციელებს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ დაფინანსებულ პროექტს „პარტნიორობა მიგრანტთა უფლებებისათვის“, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის, ხელისუფლების, ბიზნესისა და მედიის ძალისხმევით გაერთიანება ამჟამინდელი, პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების უფლებათა ეფექტური დაცვისა და გაძლიერებისთვის, ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების გზით, ასევე, პროცესის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისთვის, მიგრაციის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება საქართველოს შემდეგ რეგიონებში: აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. #9-1

ტელ.: (+995 0341) 25 88 22

www.migrant.ge

www.facebook.com/migrant.ge

Skype Hot Line: [migrant_ge](https://www.skype.com/join/migrant_ge)

- **ა(ა)იპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“** ახორციელებს პროექტს „ქართველი ყოფილი მიგრანტების სამშობლოში რეინტეგრაცია“, რომლის მიზანია ბენეფიციარების ეკონომიკური გაძლიერება მათი ბიზნესსაქმიანობის მხარდაჭერის გზით. პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალია: თბილისი, აჭარა და შიდა ქართლი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი, 4ა

(+995 32) 2 944 544; 599 516 999

ელ. ფოსტა: pm@chca.org.ge / partnership@chca.org.ge / procurement@chca.org.ge

ვებ-გვერდი: <http://chca.org.ge/index.php/en/>

ნაწილი 4. დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესში მონაწილე და პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციები

დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესში მონაწილე და პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება/სისტემატიზაციის მიზანია დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად რეფერალური სისტემის მხარდაჭერა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდა.

დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საჭიროებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ვრცელია იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამების განხორციელებაში, ან საქმიანობენ იმ სფეროებში, რომლებიც საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისა და მათი ოჯახების ინტერესების არეალშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპოვებული და სისტემატიზირებული იქნა ინფორმაცია დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესში მონაწილე ან პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, მათი საქმიანობის პროფილის, არეალის, მიმართულებების, ასევე საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. ეს ინფორმაცია დალაგდა სამ ძირითად ჯგუფად:

1. ცენტრალური ხელისუფლების დანესებულებები;
2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები;
3. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის შერჩევასა და ძირითადი კრიტერიუმები იყო საქმიანობის მიმართულება და განხორციელების პერიოდი. საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა:

- ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა (ბიზნესი, საარსებო წყაროები, სოციალური სანარმო და სხვ.);
- დასაქმების ხელშეწყობა (მ.შ. პროფესიული სწავლების, სპეციალური ტრენინგების ორგანიზებით);
- ჯანდაცვა;
- სოციალური დახმარებები;
- საცხოვრისით უზრუნველყოფა.

გზამკვლევის დანიშნულებიდან გამომდინარე, **განხორციელების პერიოდის მიხედვით შეირჩა მხოლოდ მიმდინარე და დაგეგმილი (დამტკიცებული) პროგრამები/პროექტები.** გზამკვლევაში აისახა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო საჯარო სივრცეში ან მიზნობრივად მოწოდებული შესაბამისი ორგანიზაციების მიერ. ინფორმაცია ასახავს 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობას.

4.1. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები

4.1.1. ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებები

#	დაწესებულების დასახელება		საკონტაქტო ინფორმაცია										
	სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსის მქონე დაწესებულებები	პროფესიული სტრუქტურული ქვედაწიფის/ისა	მისამართი	ტელეფონი	ელ. ფოსტა	ვებ-გვერდი	ფეისბუქი	საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, პოზიცია					
1	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	მინისტრის სამდივნო	0118, ქ. თბილისი, შ. რიბაძის ქ. 4	(+995 32) 294 50 00 (10 18);	inform@mfa.gov.ge	www.mfa.gov.ge	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო / MFA of Georgia	გიორგი ტაბატაძე - დირექტორი					
საგარეო დეპარტამენტი		(+995 32) 294 5000 - 23 00; ცხელი ხაზი: (+995 32) 294 50 50; 577 98 40 20 (24 საათის განმავლობაში)		consul@mfa.gov.ge									
დისპაჩინგისა და ურთიერთობის დეპარტამენტი		(+995 32) 294 50 00 (31 00; 31 08); მიმ.: 551 08 00 60		ekupstadzidi@mfa.gov.ge									
2	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სსიპ - იუსტიციის სახლი	0102, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2	(+995 32) 2 405 405	info@psh.gov.ge	http://psh.gov.ge/	Public Service Hall / იუსტიციის სახლი	გივი პაპინაშვილი - აღმასრულებელი დირექტორი					
		სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	0154, ქ. თბილისი, წყნეთის გამზირი 67ა	(+995 32) 2 401 010 (3613)	online@sda.gov.ge; press-center@sda.gov.ge	http://sda.gov.ge	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო / psda	სოსო გიორგაძე - სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი					
		სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	0102, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2	(+995 32) 2 25 15 28	info@napr.gov.ge	http://napr.gov.ge	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	გიორგი ვადაშაძე - ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი					
		სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი	ქ. თბილისი, წყნეთის ქ. 118 (ცენტრის კანცელარია მდებარეობს მუსტიცისა)	(995 32) 2 145 145	CFCP@prevention.gov.ge	http://prevention.gov.ge	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	ნინო ქაშირაია - ყოფილ პატივსიზიანებასთან გამკლავების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი					
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	სსიპ - 112 (გადამდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი სისტემა)	ქ. თბილისი, გამლოცვის და წყნეთის მიწორაინების დამაკავშირებელი გზა	(+995 32) 2 41 96 77	info@112.gov.ge	http://112.gov.ge	112 Georgia/112 საქართველო	გიორგი ზიქაშვილი - დირექტორი					
		სსიპ - მომსახურების სააგენტო	ქ. თბილისი, წიფელი ხიდის ვიქტორიალ 21-1. კმ.	(+995 32) 241 91 91	info@sa.gov.ge	https://www.sa.gov.ge/	საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო / Service Agency of MIA of Georgia	ნინო გელაშვილი - დირექტორი					
4	საქართველოს შრომის, ჯანსაღი ცხოვრებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანსაღი ცხოვრების დაცვის დეპარტამენტი	0119, თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144	(995 32) 251 00 11; სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05	info@moh.gov.ge	http://moh.gov.ge	ჯანდაცვის სამინისტრო - Ministry Of Labour, Health & Social Affairs Of Georgia	მარიამ დარჩავილიძე - დეპარტამენტის უფროსი					
		სოციალური დაცვის დეპარტამენტი						ნინო იდიშაია - დეპარტამენტის უფროსი					
		შრომის და დასაცემების პოლიტიკის დეპარტამენტი						ელენა ჯერონიანი - დეპარტამენტის უფროსი					
		შრომის პირების ინსპექტირების დეპარტამენტი											
		სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო						info@ssa.gov.ge	http://ssa.gov.ge/	სოციალური მომსახურების სააგენტო Social Service Agency	ზაზა სოფროშვილი - დირექტორი		
სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფინგის) მმართველობის, დანარჩენული დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი	0177, ქ. თბილისი, თამარაშვილი ქ.15ა თამარაშვილი ქ.15ა, საქართველო	(+995 32) 239 53 50; ცხელი ხაზი: 116 006	atfund@moh.gov.ge	http://atfund.gov.ge/	Atifund Georgia	თამაზა ბარკალაია - დირექტორი							
5	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სოციალური განათლების განვითარების დეპარტამენტი	0102, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52	სამინისტროს ცხელი ხაზი: (+995 32) 2 200 220	pr@mes.gov.ge	www.mes.gov.ge	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ქეთევან გიორგია - დეპარტამენტის უფროსის მოადგილე					
		სოციალური განათლების განვითარების დეპარტამენტი						ირინა წერეთლი - დეპარტამენტის უფროსი					
		სსიპ - შვიდების და გამოცდების ეროვნული ცენტრი						0186, ქ. თბილისი, მიწდილის 9	(+995 32) 247 33 33	info@naec.ge; pr@naec.ge	http://naec.ge	ნათია მინთიანი - დირექტორი	
		სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ტერაგე)						ქ. თბილისი, ალექსანდრე ქ. 1 (საინფორმაციო ხელშეწყობის ტერაგე)	(+995 32) 2 200 220 (3599)	info@ege.ge	http://ege.gov.ge	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თამარ სანიციანი - დირექტორი
		სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)						ქ. თბილისი, დანაშაულის ქ. 1 (ყოფილი ბუდუაშვილის ქ.)	(+995 32) 2 200 220	info@emis.ge	https://emis.ge	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა emis	ლევან ჯერონიანი - უფროსი
6	საქართველოს იკუმპერული ტერიტორიებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების დეპარტამენტი	ადმინისტრაცია	0177, ქ. თბილისი, თამარაშვილი ქ.15ა	სამინისტროს ცხელი ხაზი: (+995 32) 243 11 00, (+995 32) 14 07	info@mra.gov.ge	www.mra.gov.ge	დეცენტრალიზაციის სამინისტრო MRA	დალი გოგოლაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი					
		მეცნიერების, რეპარტივისა და ლტოლვილთა დეპარტამენტი						(+995 32) 231 15 79; (+995 32) 231 13 37	ირაკლი კვიციანი - დეპარტამენტის უფროსი				
		დეცენტრალიზაციის დეპარტამენტი						(+995 32) 231 13 39	მურად აბლიაია - დეპარტამენტის უფროსი				
		ეკონომიკის განვითარების დეპარტამენტი						(+995 32) 231 15 24	კოსტანტინე რაზმაძე - დეპარტამენტის უფროსი				
7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ადმინისტრაცია	0108, ქ. თბილისი, ჭიკვაძის ქ. №10ა	(+995 32) 299 11 11; (+995 32) 299 11 05	ministry@economy.gov.ge	http://www.economy.gov.ge	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	თეო ბოლქვაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი					
		სსიპ - აწარმო საქართველოში	0102, თბილისი, მარტულიძის ქ. #5/16-18 (დ. უზნაძის #18)	(+995 32) 296 00 10	info@enterprise.gov.ge	http://enterprisegeorgia.gov.ge/	Enterprise Georgia/მეწარმეობის განვითარების სააგენტო	მარიამ მორგოზი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი					
		სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	0114, ქ. თბილისი, ივრეძელის გამზირი #7 E-mail:	მიმ.: 599 986 499	info@gita.gov.ge	http://gita.gov.ge	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო / GITA	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო					
8	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ადმინისტრაცია	0159 თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი #6	ცხელი ხაზი: (+ 995 32) 247 01 01; პრესცენტრი: (+ 995 32) 2 37 80 09	infomos@mosa.gov.ge	http://www.mosa.gov.ge/	სოფლის მეურნეობის სამინისტრო / Ministry of Agriculture of Georgia						
		სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	0159, ქ. თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი #6	(+995 32) 291 91 68; ცხელი ხაზი: 15 01	info@nfa.gov.ge	http://nfa.gov.ge	სურსათის ეროვნული სააგენტო	ზურაბ ჩხეიძე - სააგენტოს უფროსი					
		სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	0160, ქ. თბილისი, ვახუშტის ქ. №85	(+995 32) 231 30 26	info@acda.gov.ge	www.acda.gov.ge	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	გიორგი მიშულიანი - თავმჯდომარე					
		სსიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	0159, ქ. თბილისი, აბუსტელიძის ქ. 10 ა	ცხელი ხაზი: 15 01	INFO@APMA.GE	http://apma.ge	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო / APMA	მამუკა კვარაცხელია - დირექტორი					
9	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	სპორტი	0162, ქ. თბილისი, ქ. აგ-აგაძის გამზ. # 49 ა	(+995 32) 229 02 01; (+995 32) 223 50 79	publicinfo@msy.gov.ge	http://msy.gov.ge	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	ირინე გულიაშვილი - სპორტის უფროსი					
		ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი		(+995 32) 225 84 93; (+995 32) 223 59 43	n.kandelaki@msy.gov.ge			ნუნო კანდელაკი - დეპარტამენტის უფროსი					

4.1.2. რეგიონული და მუნიციპალური მმართველობის ორგანოები

#	მუნიციპალიტეტის დასახელება		საკონტაქტო ინფორმაცია															
	მერია/გამგეობა	პროფილური განყოფილება/სამსახური	მისამართი	ტელეფონი	ელ. ფოსტა	ვებ-გვერდი	ფეისბუქი	საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, პოზიცია										
თბილისი																		
1	ქ. თბილისის მერია	ადმინისტრაციული სამსახური	0160, ქ. თბილისი, ქ. შარტავას 7	მერიის ცხელი ხაზი - (+995 32) 272 22 22	info@tbilisi.gov.ge	www.tbilisi.gov.ge												
		განვადვის და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახური			socal@TBILISI.gov.ge													
		ოურიდიული საქალაქო სამსახური			info@tbilisi.gov.ge													
		ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური			info@tbilisi.gov.ge													
		განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	ქ. თბილისი, მიკვეციის 29ა	(+995 32) 237 82 40	youth@TBILISI.gov.ge					კანაბერ ვანცელაძე - სამსახურის უფროსი								
2	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0192, ქ. თბილისი, გურამიძის გამზირი, 16ა კორპუსის მიმდებარედ	(4995 32) 272 22 22	nadzaladev@TBILISI.gov.ge		ნაძალადევის რაიონის გამგეობა		ირვლი ხელოვნება - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება			t.gogeliani@tbilisi.gov.ge				ლელეანი თინათინ - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება			ts.megeshvili@tbilisi.gov.ge				მეცნიერული ციფრული - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება			mariam.gvinashvili@tbilisi.gov.ge				ლვინიშვილი მარიამ - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება			t.khoperia@tbilisi.gov.ge				ხოფერია თეა - განყოფილების უფროსი									
3	ვაკის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0162, ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. 10ა	(+995 32) 231 88 25	yake@TBILISI.gov.ge		ვაკის რაიონის გამგეობა		წოდარ ღერძეიძე - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 231 88 26	t.kurtskidze@tbilisi.gov.ge				ქურციკი თამარი - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 231 88 38					მქელთაშვილი თემური - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება		(+995 32) 231 88 34	n.gugushvili@tbilisi.gov.ge				გულუაშვილი ნანა - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება		(+995 32) 231 88 44	a.brepvadze@tbilisi.gov.ge				მრევაძე ალექსანდრე - განყოფილების უფროსი									
4	დიდუბის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0159, ქ. თბილისი, რომაელების გამზ. 2	(+995 32) 237 8 788	d.dubeg@TBILISI.gov.ge		დიდუბის რაიონის გამგეობა		ზაფარაშვილი ირმა - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 237 8 753	t.gugushvili@tbilisi.gov.ge				გულუაშვილი თამარ - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 237 87 55	m.rukhadze@tbilisi.gov.ge				რუხაძე მია - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება		(+995 32) 237 87 73	z.zurabashvili@tbilisi.gov.ge				ზურაბაშვილი ზურაბ - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება		(+995 32) 237 87 54	m.magrhadze@tbilisi.gov.ge				მაღრაძე მია - განყოფილების უფროსი									
5	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0108, ქ. თბილისი, მშენი ზუბაშვილების ქ. N48	(+995 32) 237 3 911	m.tsaminda@TBILISI.gov.ge		მთაწმინდის რაიონის გამგეობა		არჩვაძე გელა - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 237 3 914	tamar.burchuladze@tbilisi.gov.ge				ბურჭულაძე თამარი - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 237 32 71	t.rskhovrehashvili@tbilisi.gov.ge				ცხოვრებაშვილი რევაზი - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება			g.kashia@tbilisi.gov.ge				კაშია გიორგი - განყოფილების უფროსი									
6	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0102, ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #65	(+995 32) 2 374 874	chugureti@TBILISI.gov.ge		ჩუღურეთის რაიონის გამგეობა		ზურაბ ჩიკელაძე - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 237 40 52	lela.dolidze@tbilisi.gov.ge				დილიძე ლელა - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 237 49 58	m.azarashvili@tbilisi.gov.ge				აზარაშვილი მცხეთა - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება		(+995 32) 237 48 79	a.aleqshvili@tbilisi.gov.ge				ალექსანდრე ალექსანიძე - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება		(+995 32) 237 48 26	e.machitidze@tbilisi.gov.ge				მაჩიტაძე ეკატერინე - განყოფილების უფროსი									
7	კრწანის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0114, ქ. თბილისი, გირგასლის ქ. #73	(4995 32) 237 41 63	krtsnisi@TBILISI.gov.ge		კრწანის რაიონის გამგეობა		კოსტავაძის ქუჩაში - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება							n.akhmeteli@tbilisi.gov.ge	ახმეტელი ნინო - განყოფილების უფროსი								
		სოციალური განყოფილება							a.vakhrangishvili@tbilisi.gov.ge	ვანანაძე ვახტანგი - განყოფილების უფროსი								
		ოურიდიული განყოფილება							d.kavriashvili@tbilisi.gov.ge	დავით კავიაშვილი - განყოფილების უფროსი								
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება							i.ibashvili@tbilisi.gov.ge	იბაშვილი ლევან - განყოფილების უფროსი								
8	გლდანის რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0159, ქ. თბილისი, სარაიძის გამზ. 1გ	(+995 32) 2 318 918	gdani@TBILISI.gov.ge		გლდანის რაიონის გამგეობა		ორმოციტი დიმიტრი - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 231 89 29	n.berelidze@tbilisi.gov.ge				ბერელიძე ნატო - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 231 89 39	m.japharidze@tbilisi.gov.ge				ჯაფარიძე მია - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება		(+995 32) 231 89 24	n.sordia@tbilisi.gov.ge				სორდია ნათია - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება		(+995 32) 231 89 82	t.puidze@tbilisi.gov.ge				ფრუაძე თინათინ - განყოფილების უფროსი									
9	საბურთალოს რაიონის გამგეობა	გამგეობის აპარატი	0160, ქ. თბილისი, ა. მიკვეციის # 29	(+995 32) 2 374 459	suburtalo@TBILISI.gov.ge		საბურთალოს რაიონის გამგეობა		მიქაუტაძე ბექა - გამგებელი									
		მომსახურების განყოფილება		(+995 32) 2 374 361	suburtalogramcha@gmail.com				მინაშვილი ნანა - განყოფილების უფროსი									
		სოციალური განყოფილება		(+995 32) 237 44 59	n.manishashvili@tbilisi.gov.ge				კვანტალიანი ლალი - განყოფილების უფროსი									
		ოურიდიული განყოფილება		(+995 32) 237 42 69	s.korkotadze@tbilisi.gov.ge				სორკოტაძე სოფიო - განყოფილების უფროსი									
		კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილება		(+995 32) 237 43 18	t.ponkhadze@tbilisi.gov.ge				ფოხაძე თენგიზ - განყოფილების უფროსი									
10	ოსინის რაიონის გამგეობა	მიმღები	0190, ქ. თბილისი, წავთელის ქ. 8/1	(+995 32) 237 50 29	osini@TBILISI.gov.ge		ოსინის რაიონის გამგეობა		ქობულავაშვილი ვახტანგი - გამგებელი									
